

ს.ს.ს.რ. განათლების სპეციალური უწყისების  
ყმველთვეური კარგობივეური ევერნარი

ნარ. VI

Handwritten notes in red ink:  
ქართული  
03 257

# ახალ სკოლისაკახ

№4

კახვიარი

1929



**ისმომწერთა საუხრადღებოდ.**

ნ ჟურნალის ახალი საგამომცემლო წელი დაიწყება  
 ნ. ხელისმოწერა მიიღება **ოქტომბრიდან** **ოქტომბრა-**  
 და წინანდელი 4 ფორმის (64 გვ.) ნაცვლად გამოვა  
 ნ. ჟურნალ კიდევ 1-2 ფორმა დამატების სახით, როგორც „და-  
**უხსწრებელი კურსების**“ მასალა. ამის გამო ჟურნალი ამ წლი-  
 დან ელირება წელიწადში (12 ნომერი დამატებით) 5 მანეთი წინან-  
 დელი 4 მან. ნაცვლად.

ერთ წელზე ნაკლები ვადით ჟურნალის გამოწერა არ შეიძ-  
 ლება.

ცალკე ნომრები არ იყიდება.

არ შეიძლება აგრეთვე „დაუხსწრებელი კურსების“ მასალის  
 ცალკე გამოწერა.

ხელისმოწერის პირობები შემდეგია:

1. გამოწერისას არა ნაკლებ 2 მანეთისა.
2. შემდეგი გადესახადი (1 მან.) არა უგვიანეს თებერვლისა.
3. შემდეგი (1 მან.)—მარტ-აპრილში.
4. 1 მან. არა უგვიანეს მაისისა.

ჟურნალის წესიერი მიღებისათვის ვთხოვთ ერთიდაიმავე სკო-  
 ლის მასწავლებლებს ერთად გაჰმოიწერონ ჟურნალი.

წარსული წლების დარჩენილი ვალი უნდა ახალი გამოწერის  
 წინ იყოს განაღდებული.

შენიშვნა: ვთხოვთ ამხანაგებს დაწვრილებით აღნიშნონ ხოლმე  
 ფულის გადმოსაგზავნ ბლანკზე, ჟურნალის რამდენ კომპლექტს  
 იწერენ და რამისამართით უნდა გაეგზავნათ ჟურნალი. ვთხოვთ გა-  
 მოწერისას სრული თანხა გამოგზავნონ ზემოაღნიშნული პირობის შე-  
 ხედვით.

**სარედაქციო კოლეგია.**

ს.ს.ს.რ. განათლებას სავალდებულო აკადემიური  
ყოველთვიური პარაგრაფული ჟურნალი

წიგ. VI

# ახალ საქონლსავე

4875

№4

იანვარი

1929



ტფილისი

# შ ი ნ ა ა რ ს ი

1929 წელი შ. სიხარულიძე . . . . . 3

## სკოლის ასაკამდე აღზრდისათვის

მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვა სკოლის ასაკამდე აღზრდის და- წესებულებებში ფ. ხუნდაძე . . . . .	6
საბავშვო ბაღის მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის სახეები სკოლის ასაკამდე აღზრდის ინსპექცია . . . . .	16
განსახკომის მე-2 საბავშვო კერის წლიური საწარმოო გეგმა მ. გოლოვკოვა . . . . .	21
სკოლის ასაკამდე აღზრდისათვის ნ. ძიძიგური . . . . .	41

## ჩვენი სკოლების მუშაობისათვის

მათემატიკა ჩვენს სკოლაში კრედო . . . . .	44
როგორ შევასწავლოთ ოთხწლედში ადამიანი ნ. ელჩანინოვი	48
ქართული ლიტერატურა ანტირელიგიური აღზრდის საქმეში ჩვენს შრომის სკოლებში ილია სიხარულიძე . . . . .	51
რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას არნ. ჩიქობავა . . . . .	57

## საკოლიტგანმანათლებლო მუშაობისათვის

ექსკურსია წარმოებაში გ. გიორგიძე . . . . .	130
კულტურული რევოლუციის პრობლემა და ქოხ-სამკითხველო- ების საქმიანობა პ. ხობუა . . . . .	136

## დაუსწრებელი კურსები

დაწყებითი სკოლის მუშაობის შინაარსი, მეთოდები და ორგანიზაცია . . . . .	74
--	----

პასუხისმგებელი რედაქტორი მარიამ ორახელაშვილი  
პასუხისმგებელი მდივანი რ. ნიკოლაძე.

ტფილისი. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფ ტრესტის 1-ლი სტამბა პლგბ. პროსპ. № 91.

მთავარლიტი № 122.

შეკვეთის № 830.

დაბეჭდა 4.000.

როდესაც ჯამს ვუკეთებთ 1928 წლის სინამდვილეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წელი თავისი სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობით, მიუხედავად რევოლუციონური სიტუაციის გაფართოებისა, მსოფლიო იმპერიალიზმისათვის შედარებით „მშვიდობიანი“ განვითარების პერიოდი იყო. ჩინეთის მუშებისა და გლეხების ბრძოლა კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, რომელიც ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ისტორიაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა, არალეგალურ პირობებში გადავიდა. ინგლისის მემლაროელების გენერალური გაფიცვა, რომელიც გაჰყიდეს ინგლისის მუშათა პარტიის ბელადებმა, შესუსტდა და ის არ გადასულა ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის გაღრმავებაზე. ცენტრალურ ევროპაში არაფერი არ ყოფილა იმის მსგავსი თავისი რევოლუციონური შინაარსით, რაც მოგვაგონებს 1927 წლის ზაფხულზე ვენის პროლეტარიატის თავგამოდებულ გამოსვლებს ავსტრიის იმპერიალისტების წინააღმდეგ. იმპერიალიზმისათვის ეს შედარებით „მშვიდობიანი“ განვითარების პერიოდი ხასიათდება იმ შინაგანი წინააღმდეგობით, რომელიც ყოველწლიურად არღვევს კაპიტალისტური საზოგადოების საფუძვლებს. არალეგალურ პირობებში გადასული ჩინეთის რევოლუცია ჰკრფეს ახალ ძალებს, ემზადება ახალი ბრძოლისათვის და ყოველდღე საფლავს უთხრის კაპიტალისტურ საზოგადოებას. ინგლისის მუშათა დამარცხებული გაფიცვები საუცხოვო გაკვეთილია ინგლისის პროლეტარიატისათვის, რომელიც ამ გაკვეთილის საფუძველზე გარდაქმნის თავის რიგებს და მოემზადება ახალი გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

ევროპის კონტინენტალურ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, მიუხედავად ფაშისტური მოძრაობის გაძლიერებისა, მუშათა კლასი შეუჩერებლივ იხრება კომუნისტური პარტიისაკენ, სტოვებს სოციალ-დემოკრატიულ რიგებს და ამრიგად აძლიერებს კომუნისტური რევოლუციისათვის საჭირო პირობებს. კაპიტალისტური სახელმწიფოების ეკონომიური საფუძვლები დღითი-დღე ირყევა. ინგლისის კაპიტალიზმის დაცემა ფაქტია. ბურჟუაზია იძულებული გახდა დაესვა საკითხი დამშეული მუშების დახმარების შესახებ. საგრძნობლად

გაუარესდა გერმანიის სამეურნეო კონიუნქტურა, რაც გამოიხატა რურის მრეწველობის მუშების გაფიცვებში. იმპერიალისტური ომის შემდეგ კაპიტალისტურ ევროპაში შემცირდა შინაგანი ბაზარი, ამას კიდევ უფრო ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის გამორიცხვამ კაპიტალისტური მეურნეობის კაპიტალისტური ბრუნვისაგან. ამ ეკონომიურმა ურთიერთობამ გააძლიერა ევროპის სახელმწიფოების შინაგანი წინააღმდეგობანი. „მშვიდობიან“ ბრძოლას ნავთის, კაუჩუკის, ბამბის, ქვანახშირის და ლითონისათვის აუცილებლად მიეყავართ ახალ მსოფლიო იმპერიალისტურ ომისაკენ. ამერიკისა და ინგლისის, ევროპისა და ამერიკის დამოკიდებულება დღითიდღე მწვავედება. ინგლისი დამარცხდა ამერიკასთან ბრძოლაში კაუჩუკის გარშემო. შეჯიბრება ამ ორ გიგანტს შორის კიდევ უფრო მწვავე ხასიათს იღებს ნავთის საკითხში. ინგლის-ამერიკის „თანამშრომლობა“ ფაქტიურად უკვე აღარ არსებობს, ასეთ თანამშრომლობაზე ოცნებაც კი არ შეიძლება. თანამშრომლობამ ადგილი შეჯიბრებას დაუთმო, რომელიც შეიარაღების სახესაც კი იღებს. გასულ წელს დაიდო „ქელოვის პაქტი“, პაქტი, რომელსაც განიარაღებისა და საერთაშორისო მშვიდობიანობის დაცვის საქმეში ფაქტიურად არაფერი არ შეუტანია, პირიქით, მუსოლინი ამ პაქტის შესახებ განაცხადა, მთელს ქვეყნიერებაზე სერიოზულად ამ პაქტს არავინ არ ეკიდება; პაქტი პაქტად დარჩება, ხოლო ცის, წყლისა და დედამიწის ყველა ძალა მაინც აუცილებლად უნდა იყოს საომრად გამზადებული. მართალია, სხვა სახელმწიფოების მესვეურები ასე დაცინვით არ ეკიდებიან და ასე არ აფასებენ პაქტის მნიშვნელობას, მაგრამ ფაქტიურად აკეთებენ იმას, რასაც მუსოლინი აცხადებს. კაპიტალიზმს მიეყავართ ახალი ომისაკენ. ეს ტენდენცია 28 წელს კი არ შემცირებულა, კიდევ გაძლიერდა. თუ, ერთის მხრივ, ასეთ დაჭიმულ პოლიტიკურ ატმოსფერასთან გვაქვს ჩვენ საქმე იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, მეორეს მხრივ, საბჭოთა კავშირი დღითიდღე ახალ-ახალ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით მიდის წინ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისაკენ. სახალხო მეურნეობის პროდუქცია იზრდება, ფართოვდება ნაციონალური შემოსავალი და იზრდება სოციალისტური დაგროვება. მეურნეობის აღდგენის ეპოქიდან რეკონსტრუქციის ხანაში გადავდივით, რასაც თან სდევს ახალი სიძნელენი. ეს სიძნელენი გამოაშკარავდა პურეული კულტურის შემცირებაში, რაც, სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, აიხსნება სასოკლო მეურნეობაში საჭირო იარაღების დამზადების დაბალი დონით. მომავალში ამ დანაკლისის შევსება უნდა მოხდეს მრეწველობის გაფართოების გზით.

წინააღმდეგობანი სამეურნეო ფრონტზე პოლიტიკურ წინააღმდეგობაში მტლავნდება. ნეკმანური და კულაკური ელემენტები შეტევაზე გადმოდიან, რასაც ჩვენ უნდა ვუპასუხოთ სწორი კლასობრივი ხაზის დაცვით. ყოველგვარ გადახრას და შემრიგებლობას შეუძლია პროლეტარიატის დიქტატურის შესუსტების გამოწვევა. ამიტომ ბრძოლა მემარჯვენეობასთან იდეოლოგიურ ფრონტზე სადღეისო და გადაუდებელ ამოცანად ითვლება.

საერთოდ იდეოლოგიურ ფრონტზე შემჩნეულ წინააღმდეგობათა დაძლევა, პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით, განათლების დარგში მომუშავეთა გადაუდებულ ამოცანას შეადგენს. ჩვენ ამ მხრივ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. კულტურული რევოლუციის ტემპი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპით განისაზღვრება. უახლოეს 5 წლის განმავლობაში ჩვენი მძიმე და მსუბუქი ინდუსტრიის განვითარება ნახევარმილიონიან კვალიფიკაციის მქონე მუშათა კადრის მომზადებას მოითხოვს, ეს კი შეუძლებელია, თუ შესაფერისად არ მოვაწყვეთ საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მუშაობის ორგანიზაცია, თუ არ გავაძლიერებთ შრომის ცენტრალური ინსტიტუტი და პროფტეხნიკური განათლების სხვადასხვა ტიპის სკოლები.

არა ნაკლები მოთხოვნილების მქონეა სასოფლო მეურნეობა. სოფლად სოციალისტური სექტორის ზრდის გასატარებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 300 მილიონი მანეთია გადადებული. ეს თანხა მთლიანად მოხმარდება საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობის ორგანიზაციის საქმეს. ამ მეურნეობათა ჩამოყალიბებისათვის საჭიროა, სათანადო მატერიალურ საშუალებებთან ერთად, შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე მომუშავეთა კადრი, ეს კადრი კი ჩვენმა სკოლებმა უნდა მოამზადოს. კერძოდ სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს ამ დარგში მეტად დიდი ამოცანის შესრულება შეუძლიათ. საჭიროა მხოლოდ ამ სკოლების მუშაობის ხარისხის ამაღლება და მატერიალურად მათი უზრუნველყოფა.

ყველა ეს საკითხი მთელი თავისი მნიშვნელობით დგას 29 წლის წინაშე. ეს ამოცანები არ შეიძლება ერთი წლის განმავლობაში გადავჭრათ, მაგრამ ყოველგვარი საშუალება უნდა გამოვინახოთ იმისათვის, რომ ეს გადაუდებელი ამოცანა შევასრულოთ.

ყველა იმ პრაქტიკული საკითხის გადასაწყვეტად, რომელსაც აყენებს დღევანდელი სინამდვილე სახალხო განათლების წინაშე, მიმდინარე წელს მოწვეულია პარტიული თათბირი საკავშირო მასშტაბით. ჩვენს ამოცანას შეადგენს დავაგროვოთ პრაქტიკული გამოცდილებანი თათბირისათვის, თავი მოვუყაროთ ჩვენს შეცდომებს, გამოვ-

თქვათ აზრი იმის შესახებ, თუ რა და როგორ უნდა შეიცვალოს. ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო აუცილებელია ავამოქმედოთ საბჭოთა საზოგადოებრივობის აზრი. მიმდინარე წლის უდიდესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ სისწორით გამოვიყენოთ ის თანხები, რომელიც საკონტროლო ციფრებში გამოხეულია სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგისათვის. უნდა ვეცადოთ საბჭოთა ყოველი კაპეიკის დაზოგვით ხელი შევუწყოთ შრომის ნაყოფიერების ზრდას გაცილებით უფრო მეტი პროცენტით, ვიდრე ეს მოცემულია საკონტროლო ციფრებში ის შეცდომები, რომელიც 28 წელს გვქონდა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამა თუ იმ დარგში, მიმდინარე სამეურნეო წელში უნდა გამოსწორდეს.

მსოფლიო იმპერიალიზმისა და მოსალოდნელი ომის წინააღმდეგ, საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის, საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისა და კულტურული რევოლუციისათვის უნდა დავრახმოთ ჩვენი რიგები. არცერთი წუთით არ უნდა დაგვავიწყდეს კულაკებთან ბრძოლა უღარიბეს გლეხკაცობაზე დაყრდნობით. აი ის უმთავრესი ამოცანები, რომელიც დგას 29 წლის წინაშე.

შ. სიხარულიძე

## მუშაობის აგეგმვა-ალრიცხვა სკოლის ასაკამდე ალზრდის დაწესებულებაში

ტფილისის სკოლის ასაკამდე ალზრდის ხელმძღვანელთა თვითგანვითარებითი წრეების მიერ წარმოდგენილი მასალის განხილვა.

ტფილისის სკოლის ასაკამდე ალზრდის ხელმძღვანელთა თვითგანვითარებითი წრეების მიერ 1926-27 და 1927-28 სასწავლო წლების განმავლობაში (სხვადასხვა დაბრკოლების გამო წრეების მუშაობა ამ ორი წლის განმავლობაში მთლიანად გრძელდებოდა არა უმეტეს 7-8 თვისა) დამუშავდა ორი საკითხი: აგეგმვა და ალრიცხვა სკოლის ასაკამდე ალზრდის დაწესებულებებში.

მუშაობის დასაწყისში, როდესაც თვითგანვითარების წრეებს წინადადება მიეცათ პირველ რიგში დაემუშავებინათ აგეგმვა-ალრიცხვის საკითხი, სკოლის ასაკამდე ალზრდის რამდენიმე ხელმძღვანელი ამ წინადადების წინააღმდეგ წავიდა. ფიქრობდენ, რომ სკოლის ასაკამდე ალზრდის დარგში ამ უძნელესი და ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი საკითხების დამუშავება ძნელი იქნებოდა პრაქტიკული მუშაკე-

ბისათვის. უნდოდათ პირველად უფრო ადვილი და ხაცნობი საკითხები აეღოთ, ორი წლის მუშაობის შედეგმა დაგვანახვა, რომ ეს აზრი შემცდარი იყო სწორედ იმიტომ, რომ აგეგმვა-აღრიცხვის საკითხი ერთი უძნელესი საკითხთაგანია საერთოდ.

პედაგოგიურ მუშაობაში და კერძოდ სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათათვის, რომელთაც ამ მხრით ნაკლები გამოცდილება აქვთ, ვიდრე სკოლებს, სწორედ იმიტომ, რომ ამ საკითხების გარშემო თავს იყრის სკოლის ასაკამდე აღზრდის დარგში მუშაობის მთავარი ამოცანები, — განსაკუთრებით საჭირო იყო პრაქტიკული მუშაკების მიერ თავიდანვე თვითგანვითარების წრეებში ამ ძნელი საკითხების დაწვრილებით შესწავლა და მათი გაშუქება საკუთარი პრაქტიკის საფუძველზე.

ასე რომ არ მომხდარიყო, ახლაც ტფილისის სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებს აგეგმვა-აღრიცხვის დარგში არ ექნებოდათ მუშაობის გარკვეული მიმართულება, გარკვეული პრინციპები, როგორც ამას ადვილი ჰქონდა აქამდე.

ამ მხრით ტფილისის სკოლის ასაკამდე აღზრდის ხელმძღვანელებმა თვითგანვითარების წრეებში საკმაოდ დიდი მუშაობა ჩაატარეს. მართალია, როგორც მათ მიერ წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ჩვენი საბ. დაწესებულებათათვის აგეგმვა-აღრიცხვის საკითხი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გაშუქებული, მათ ნამუშევარში ჯერ კიდევ ბევრია პრინციპული ხასიათის შეცდომა, მაგრამ პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით მაინც გადადგმულია, რაც მომავალში საკითხის საბოლოოდ — გამორკვევისათვის დიდ დახმარებას გაუწევს სკოლის ასაკამდე აღზრდის ხელმძღვანელებს.

აგეგმვის მასალის განხილვის დროს აქ შევეხები არა მარტო თვითგანვითარებითი წრეების მიერ წარმოდგენილ უკვე მოძველებულ მასალას, არამედ ახალ მასალასაც, სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა შარშანდელ და, ნაწილობრივ, წრევანდელ გეგმებსაც.

რადგან მუშაობის აღრიცხვის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული აგეგმვასთან, ამიტომ აგეგმვის მასალის გარჩევის დროს წაწილობა რივ ამოვწურავ მუშაობის აღრიცხვის საკითხსაც.

**ტფილისი** — თვითგანვითარებითი წრეების უმრავლესობა აგეგმვა-აღრიცხვის საკითხის დამუშავების დროს ხელმძღვანელობდა რუსეთის სამეცნიერო საბჭოს მე-5 და მე-9 მეთოდური წერილით <sup>1)</sup> და ამ წერილებში მოცემული აგეგმვა-აღრიცხვის სქემებით.

<sup>1)</sup> Методические письма по дошкольному воспитанию. ГИЗ. Москва. Письмо 5 и 9-ое. აგეგმვა-აღრიცხვის სქემები იხილეთ ამ წერილის ბოლოს.

აღნიშნული სქემები თვითგანვითარებითი წრეების მიერ (ერთი კოლექტივის გამოკლებით, რომელმაც სცადა თავისი საკუთარი სქემის დამუშავება და რომლის მუშაობის შედეგებზე ჩვენ აქ ახლა ვერ შევჩერდებით) უცვლელად იქნა მიღებული.

სხვა საკითხია, რამდენად სწორად იქნა ეს სქემები გაგებული და პრაქტიკულ მუშაობაში გამოყენებული.

როგორც მასალიდან ჩანს, მე-5 წერილში მოცემული აგეგმვის სქემის აგების ის მთავარი პრინციპები, რომელიც საფუძვლად უდევს მას, ნაკლებად არის გაგებული ზოგიერთი თვითგანვითარებითი წრეების მიერ. ამიტომ სქემის სხვადასხვა სვეტის შინაარსს ზოგიერთი საბ. ბალის აგეგმვაში არ აქვს ის ორგანიული კავშირი ერთმანეთთან, რაც სქემის მთავარ თავისებურებას წარმოადგენს.

როგორია ეს მთავარი პრინციპი, რომელიც უდევს საფუძვლად მე-5 მეთოდურ წერილში მოცემულ სქემას?

პედაგოგიური მუშაობის მიზნების სწორად დასახვა ყოველი ცალკე აღებული საბავშვო დაწესებულებისათვის ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც კარგად გავეცნობით იმ გარემოს და ბავშვთა იმ კოლექტივის თავისებურებას, რომელთანაც გვიხდება მუშაობა.

ამიტომ მე-3 მეთოდური წერილის აგეგმვის სქემაში მთავარი ადგილი უჭირავს პირველ ორ სვეტს, სადაც მოცემულ უნდა იქნეს დაწესებულების გარემოს (გარშემო და შიგნით მდებარე) და ბავშვთა კოლექტივის შესწავლის შედეგები.

სქემის ყველა დანარჩენი სვეტი, — როგორც ორგანიზაციული მომენტების, ისე ბავშვთა ცხოვრების რეჟიმის, მუშაობის შინაარსისა და მეთოდების და სხვა, — თავისი შინაარსის მიხედვით სავსებით დამოკიდებულია ამ პირველ ორ სვეტში მოცემული ცნობებიდან, ბავშვებთან მუშაობის კონკრეტული პედაგოგიური ამოცანები განსაზღვრული დროისათვის (წლიური თუ კვარტალური) ამა თუ იმ საბავშვო დაწესებულებაში მომუშავე ყოველმა პედაგოგმა შეიძლება დაისახოს შესწავლის მხოლოდ გარემოსა და ბავშვთა კოლექტივის დაკვირვებით შესწავლის საფუძველზე.

თუ ჩვენ ტფილისის სკოლის ასაკამდე აღზრდის ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილ მასალას ამ თვალსაზრისით მივეუდგებით, უნდა ვთქვათ, რომ აგეგმვის სქემა თვითგანვითარებითი კოლექტივების უმრავლესობის მიერ ნაკლებად არის გაგებული და დამუშავებული.

წარმოდგენილი გეგმების უმრავლესობაში ძალიან ნაკლები კავშირია პირველი ორი სვეტისა და მესამე სვეტის შინაარსთა შორის, ე. ი. საბ. დაწესებულების გარეთ და შიგნით მდებარე გარემოს და ბავ-

შთა კოლექტივის დახასიათებიდან სრულიად არ გამომდინარეობს მესამე სვეტში დასახული პედაგოგიური ამოცანები, რაც მნიშვნელობას უკარგავს თითოეულ სვეტში მოცემულ შინაარსს.

მაგალითისათვის გავარჩიოთ ერთ-ერთი საბ. ბაღის მიერ წარმოდგენილი ზამთრის მუშაობის კვარტალური გეგმა... პირველი სვეტი (ცვლილებები გარემოში — დაწესებულებების გარეთ) გეგმაში სრულიად შეუვსებლად არის დატოვებული, თუმცა თუ ზამთრის განმავლობაში სხვა ცვლილებები მოსალოდნელი არ იქნებოდა, შეიძლებოდა და აუცილებელიც იყო ბუნებრივი ცვლილებების წინასწარი გათვალისწინება და მათი ამ სვეტში აღნიშვნა.

მეორე სვეტში (საბ. დაწესებულების შინა-გარემო და ბავშთა კოლექტივი) ბავშთა კოლექტივის დახასიათებასთან ერთად, რაც ამ სვეტს ეკუთვნის, მოცემულია შემოდგომის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის დაწვრილებითი ანგარიში, რასაც ადგილი უნდა ჰქონდეს არა აქ, არამედ წლიური მუშაობის ანგარიშში. მეორე სვეტში მოცემულ ბავშთა დახასიათების (მათი ცოდნა-ჩვევების მხრით) წაკითხვის შემდეგ ბუნებრივად მოელი მესამე სვეტში ამ დახასიათებიდან გამომდინარე ბავშვების ცოდნა-ჩვევების საერთო მდგომარეობაზე დაფუძნებულ პედაგოგიურ ამოცანებს.

მოლოდინის წინააღმდეგ, მესამე სვეტში მოცემულ პედაგოგიურ ამოცანებს საერთო არა აქვთ რა წინა სვეტის შინაარსთან და არც იმ კონკრეტული ხასიათის მუშაობასთან, რომელიც ყოველ საბავშვო დაწესებულებაში უნდა წარმოებდეს მისი განსაკუთრებული პირობების თავისებურების მიხედვით. ამ სვეტში მხოლოდ ზოგადად არის ჩამოთვლილი შემდეგი პედაგოგიური ამოცანები: „ფიზიკური აღზრდა, შრომითი აღზრდა, კოლექტიური აღზრდა და სხვა, რაც არა მარტო ზამთრის განმავლობაში, არამედ ბავშვის საბავშვო დაწესებულებაში და თვით სკოლაში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში შეიძლება აღზრდის ზოგად მიზნად დავისახოთ. პედაგოგიური ამოცანების ასე ზოგადად, ისიც განსაზღვრული დროისათვის, დასახვა სრულიად არ იძლევა საბ. დაწესებულებაში განზრახული პედაგოგიური მუშაობის სურათს და ვერავითარ დახმარებას ვერ გაუწევს სკოლის ასაკამდე აღზრდის ხელმძღვანელს ყოველდღიური მუშაობის ჩამოყალიბებაში.

აღნიშნული გეგმის დანარჩენი სვეტების შინაარსსაც (მუშაობის შინაარსი, მეთოდები და სხვა) აკლია ის აუცილებელი კონკრეტულობა, რომლის გარეშე ყოველი გეგმა ჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

ასეთი მაგალითები, სამწუხაროდ, ტფილისის ზოგიერთი საბ. ბაღის მუშაობის წრეგანდელ გეგმებშიც გვხვდება. ერთი საბ. ბაღის წლიურ საწარმოო გეგმაში, მაგალითად, სრულიად გამოტოვებულია პირველი ორი სვეტი. აგეგმვა პირდაპირ იწყება პედაგოგიური ამოცანების სვეტიდან, მაგრამ ამ სვეტში ჩამოთვლილი პედაგოგიური ამოცანები მოცემულია არა ამ საბავშვო ბაღის პირობებთან შეფარდებით, არამედ მთლიანად ამოღებულია მე-11 მეთოდური წერილიდან <sup>1)</sup>.

აშკარაა, რომ ასე ფორმალურად შედგენილი გეგმები, რომლებშიც სრულებით არ არის მხედველობაში მიღებული თვით საბავშვო დაწესებულების მუშაობის პირობები, ამ პირობების შესწავლიდან გამომდინარე მისი განსაკუთრებული მოთხოვნილებები, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ყოველ სწორად დამუშავებულ გეგმას, სრულიად გამოუსადეგარი რჩება საბ. ბაღში მომუშავეთათვის.

პედაგოგიური ამოცანების ნათლად და გარკვეულად ჩამოყალიბებას აღნიშნულ გეგმებში ხელს უშლის აგრეთვე ის გარემოება, რომ კვარტალური გეგმების მთელი რიგი შედგენილია არა თითოეული ჯგუფისათვის ცალკე, არამედ მთელი დაწესებულებისათვის.

არ შეიძლება მუშაობის გეგმა და პედაგოგიური ამოცანები ერთნაირი იყოს 4-5 წლის და 6-7 წლის ბავშვებისათვის. ბავშვის ასაკის თავისებურების მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს პედაგოგიური ამოცანებიც თითოეული ჯგუფისათვის ცალკე.

შემდეგი საკითხი, რომლის მნიშვნელობა თვითგანვითარებითი წრეების უმრავლესობის მიერ აგეგმვის სქემის დამუშავების დროს ვერ იქნა სათანადოდ გაგებული, შეეხება სქემაში მოცემული ორგანიზაციული მომენტის საკითხს <sup>2)</sup>.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ორგანიზაციული მომენტი სკოლის ასაკამდე აღზრდის ხელმძღვანელთა მიერ გაგებულ იქნა როგორც კომპლექსური თემა.

ერთი კოლექტივი პირდაპირ ამ მნიშვნელობით აყენებს შემდეგ საკითხს: „რამდენად შესაძლებელია სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებაში კომპლექსური სისტემით მუშაობის წარმოება“.

კომპლექსის ორგანიზაციულ მომენტთან შერევა—ეს ერთი დიდი შეცდომაა, რომელიც, უთუოდ, აბრკოლებდა სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში ამ საქმით მუშაობის სწორ აგეგმვას.

<sup>1)</sup> Методические письма по дошкольному воспитанию. ГИЗ. Москва. 1928-г. Письмо № 11.

<sup>2)</sup> იხ. აგეგმვის სქემის მე-IV სვეტში.

ორგანიზაციულ მომენტსა და კომპლექსს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. მართალია ორგანიზაციული მომენტი სკ. ასაკამდე აღზრდის დაწესებულებაში ნიადაგს ამზადებს შემდეგ საფეხურებზე სკოლაში კომპლექსურ სისტემით მუშაობაზე გადასვლისათვის, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, თითქოს ორგანიზაციული მომენტი და კომპლექსი ერთიდაიგივე იყოს.

კომპლექსური სისტემით მუშაობის დროს მთავარი ყურადღება ექცევა ცხოვრების მოვლენათა შესწავლას მათ ვიწრო მიზეზობრივ დამოკიდებულებებში ერთმანეთისაგან, ორგანიზაციული მომენტი კი გულისხმობს არა ცხოვრების მოვლენათა შესწავლას, არამედ ბავშვთა მოქმედების ორგანიზაციას ბავშვების ინტერესებთან ახლო მდგომ, მათთვის გასაგებ ცხოვრების რომელიმე მომენტის გარშემო.

ამნაირად, მთავარი მნიშვნელობა ორგანიზაციულ მომენტში ეძლევა არა ამა თუ იმ მოვლენის შესწავლას, რაც სკოლის ასაკამდე ბავშვისათვის ჯერ კიდევ ნაადრევი და მათი ძალების, მათი ასაკის შეუფერებელი ამოცანა იქნებოდა, არამედ მუდმივი მოძრაობისა და მოქმედებისაკენ ინსტიქტურად ლტოლვის დაკმაყოფილებას, ეს ლტოლვა კი სკოლის ასაკამდე ბავშვის ბუნების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს.

რასაკვირველია, თავის მოქმედების დროს, რომელიც განსაზღვრული მიზნისაკენ არის მიმართული, ბავშვი გზადაგზა იძენს ამა თუ იმ ცოდნას იმ მოვლენების, იმ საგნების შესახებ, რომელთაც ის მოძრაობისაკენ მიმართული თავისი ინსტიქტის დაკმაყოფილების პროცესში ხვდება, მაგრამ აქ მთავარი არის არა მიღებული ცოდნა, არა ამა თუ იმ მოვლენის შესწავლა, არამედ სწორედ ბავშვის მოქმედება.

ავილოთ, მაგალითად, შემდეგი ორგანიზაციული მომენტი, — რომელიც ასე ახლოს დგას ბავშვების ცხოვრებასთან, — „ბოსტნის მოწყობა გაზაფხულზე“. ამ მომენტის გარშემო ორი-სამი კვირის განმავლობაში შეიძლება თავისუფლად შეჩერდეს სკოლის ასაკამდე ბავშვების საშუალო, განსაკუთრებით კი უფროსი ჯგუფის ყურადღება, მათი ინტერესები, მათი მოქმედება. ამ მომენტის დამუშავების დროს ბავშვების მისწრაფება მოქმედებისაკენ, მოძრაობისაკენ მთელი ასი პროცენტით კმაყოფილდება. ბოსტნის მოწყობისათვის საჭირო მუშაობის პროცესში ბავშვები, ცხადია, აკვირდებიან და იძენენ ცოდნას ბოსტნის დასამუშავებელი იარაღების, ნიადაგის, თესლეულის, ბოტანიკური მცენარეების, თვისებების და სხვათა შესახებ, მაგრამ აღნიშნული ცოდნის შექენას ბავშვებისათვის ამ ასაკში არ შეიძლება სის-

ტემატიური ორგანიზაციული ხასიათი მიეცეს. მთავარი მნიშვნელობა აქ იმ გარემოებას აქვს, რომ ბავშვების მოქმედების ინტერესს შესაფერის საზრდო ეძლევა, რომ ისინი ნელ-ნელა, მათთვის სახალისო შრომის საშუალებით ეჩვენებინათ თავისი მოქმედება განსაზღვრული მიზნისაკენ მიმართონ.

სკოლაში კი კომპლექსური თემის „ჩვენი ბოსტანი“ დამუშავების დროს, ბოსტანში ბავშვების უშუალო მუშაობის ორგანიზაციასთან ერთად, მთავარი ყურადღება მიექცეოდა სწორედ ბავშვების მხრით ბოსტანთან დაკავშირებული სხვადასხვა მოვლენისა და მათ შორის არსებული მიზეზობრივი დამოკიდებულების დაწვრილებით, სასტემატიურად შესწავლა-გამორკვევას.

ეს არის მთავარი, პრინციპული განსხვავება ორგანიზაციულ მომენტსა და კომპლექსს შორის.

მეორე დიდი შეცდომა, რომელიც თვითგანვითარებით წრეების მიერ წარმოდგენილი გეგმების უმრავლესობაში გვხვდება,— ეს არის ორგანიზაციული მომენტის შერევა წელიწადის დროსთან.

ტფილისის სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა როგორც აგეგმვის, ისე აღრიცხვის მასალაში ორგანიზაციულ მომენტებად ხშირად გამოყოფილია მთელი სეზონი, წელიწადის მთელი დრო, რაც სრულებით არ არის სწორი.

მართალია, ორგანიზაციული მომენტების უმრავლესობა, რომელიც სასურველია სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში გამოიყოს დასამუშავებლად, წელიწადის დროსთან არის დაკავშირებული, როგორც, მაგალითად, „ბოსტნის მოწყობა გაზაფხულზე“, „ცოცხალი კუთხის მოწყობა“ და სხვა, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქოს ორგანიზაციული მომენტი და წელიწადის დრო ერთიდაიგივე იყოს და შეიძლებოდეს დროის ხანგრძლივობის მხრით მათი ერთნაირად აღება. ეს სრულებით დაუკარგავდა ორგანიზაციულ მომენტს მის ნამდვილ მნიშვნელობას, სწორედ როგორც შედარებით მოკლე მომენტს, რომლის გარშემო ჩვენ ვაწესრიგებთ, ვაწყობთ ბავშვის მოქმედებას (ორგანიზაციული მომენტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2-3 კვირას) და თან წინააღმდეგი იქნებოდა ამ ასაკის ბავშვის თავისებურების, რომლის მიხედვით შეუძლებელია ბავშვის ყურადღების ასე ხანგრძლივად (მთელი სეზონი) რაიმე ერთ მოვლენაზე შეჩერება.

იმ გარემოებამ, რომ ორგანიზაციული მომენტის მნიშვნელობა ჩვენი თვითგანვითარებითი კოლექტივების უმრავლესობის მიერ ვერ იქნა სათანადოდ გაგებული, თავისი განსაკუთრებული ფორმალური

ბექედი დაასვა ჩენი სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულების გეგმებში მოცემულ ორგანიზაციულ მომენტებს. უმეტეს შემთხვევაში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ორგანიზაციულ მომენტებად გამოყოფილია ან მთელი სეზონი, ან სარეგოლუციო დღესასწაული. მართალია, ბავშბების ემოციის გამომჟღავნების, მათი მოქმედების ინსტიქტის დაკმაყოფილების მხრით სწორად მოწყობილი სარეგოლუციო დღესასწაულები მდიდარ საზრდოს აძლევენ ბავშბებს, მაგრამ მათ შორისაც საჭიროა ერთგვარი გამორჩევის მოხდენა, რომ ყოველი მათგანის მნიშვნელობა ერთმანეთში არ აირიოს და გაუგებარი არ დარჩეს ბავშბისათვის. ჩვეულებრივი წესით სკოლის ასაკამდე აღზრდის ყველა დაწესებულებაში აღინიშნება დაწესებული სარეგოლუციო დღესასწაული, მაგრამ ორგანიზაციულ მომენტად უნდა გამოიყოს მხოლოდ ისეთი სარეგოლუციო დღესასწაულები, რომელნიც თავისი მნიშვნელობის მხრით განსაკუთრებულ მდიდარ, ნათელ და მკვეთრ შთაბეჭდილებებს მისცემენ ბავშბებს.

როგორც თვითგანვითარებითი წრეების მასალიდან ჩანს, ზოგიერთ საბავშო ბაღს შესაძლებლად მიაჩნია ერთი რომელიმე განსაკუთრებული ორგანიზაციული მომენტის პარალელურად, ერთისადაიმავე დროის განმავლობაში, მეორე ორგანიზაციული მომენტიც დაამუშავოს, რაც ორგანიზაციული მომენტის შინაარსის, მისი მნიშვნელობის სრული უარყოფა იქნებოდა. ორგანიზაციული მომენტი სწორედ იმიტომ ითვლება ორგანიზაციულ მომენტად, რომ ის განსაზღვრული დროის განმავლობაში მთავარ სტიმულს იძლევა ბავშბების შემოქმედებითი მუშაობისათვის. არ შეიძლება ერთსადაიმავე დროს ბავშბების ყურადღება ორ მომენტზე შევაჩეროთ, — ეს მათი ასაკის თავისებურების საწინააღმდეგო იქნებოდა.

მართალია, ორგანიზაციულ მომენტთან დაკავშირებულ მუშაობასთან ერთად სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებაში სხვა სახის მუშაობაც წარმოებს, მაგრამ ასეთი სახის მუშაობა არ იქნება ბავშბების ყურადღების ცენტრში მოქცეული, არამედ შევა რეჟიმის საერთო მომენტში.

ამის მიხედვით შემცდარი იქნებოდა, როგორც ამას ზოგიერთი საბ. ბაღის გეგმებში აქვს ადგილი, რომ ყველა პედაგოგიური ამოცანა, რომელსაც ხელმძღვანელი ბავშბებთან მუშაობის დროს ისახავს, უსათუოდ დაკავშირებული ყოფილიყო ამ დროისათვის გამოყოფილ ორგანიზაციულ მომენტებთან.

ორგანიზაციული მომენტის დამუშავების დროს შეიძლება იქნეს მუშაობის ისეთი სახე, რომელიც თავისი შინაარსით სრულებით

არ უკავშირდება მას; მაგალითად, ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულისათვის მზადების პარალელურად (რაც სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში ორგანიზაციულ მომენტად გამოიყოფა) საბ. ბაღში გრძელდება მუშაობა ბავშვების ფიზიკური გაჯანმრთელების, ან ბავშვისათვის კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების მიცემის მიზნით, რასაც უშუალო კავშირი არ აქვს ოქტომბრის დღესასწაულისათვის მზადებასთან და არც არის საჭირო ამ სხვადასხვა მომენტის ერთმანეთთან ნაძალადევად და ხელოვნურად დაკავშირება. პედაგოგიური ამოცანებიდან ორგანიზაციულ მომენტში უნდა იქნეს შეტანილი მხოლოდ ისეთი ამოცანები, რომელთაც არსებითი კავშირი ექნებათ მასთან; დანარჩენი პედაგოგიური ამოცანები ორგანიზაციული მომენტების პარალელურად უნდა აიგეგმონ.

შემდეგი შეცდომები, რომელნიც თვითგანვითარებითი წრეების აგეგმვის მასალაში გვხვდება, უკვე აღნიშნული შეცდომებიდან გამომდინარეობს. მაგალითად, ზოგიერთი გეგმის მუშაობის შინაარსის სვეტში ორგანიზაციული მომენტის და კომპლექსის ერთნაირად გარემოსთან დაკავშირებით მუშაობის შინაარსი ისეა გაშლილი, როგორც რომელიმე კომპლექსური თემა, ე. ი. მეტის-მეტი ყურადღება ექცევა რაიმე მოვლენის ყოველმხრივ და სისტემატიურ შესწავლას, რასაც, როგორც უკვე ვთქვით, სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებაში არ შეიძლება ადგილი ექნეს იმ სახით, როგორც აქვს ადგილი სკოლაში.

მუშაობის შინაარსის სვეტის სამ სვეტად დაყოფა (ბუნებრივი მოვლენები, შრომითი მომენტები, საზოგადოებრივი მომენტები) ზოგიერთ გეგმაში იწვევს მუშაობის შინაარსის ყალბ, ხშირად ნაძალადევ განაწილებას ამ სამ სვეტს შორის: ის, რაც შრომის მომენტს შეეხება, მოთავსებულია ბუნებრივი მოვლენების სვეტში, საზოგადოებრივ-შრომითში და სხვა <sup>1)</sup>).

ვერ არის აგრეთვე სათანადოდ დამუშავებული მუშაობის მეთოდების სვეტი. მეთოდები უფრო ხშირად ზოგადად არის დასახელებული (კვლევითი მეთოდი და სხვა).

უმეტეს შემთხვევაში კონკრეტულად არ არის მითითებული, დაუ როგორ უნდა მოეწყოს ბავშვებთან მუშაობის ესა თუ ის სახე,

<sup>1)</sup> რადგან მუშაობის შინაარსის ამ სამ მომენტად დაყოფა ხშირად ხელოვნურია, — ზოგიერთ მოვლენაში სამივე მომენტი ისე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი გამოყოფა მოვლენის მთლიანობის დაზარალებულად შეუძლებელი ხდება, — ამიტომ თვითგანვითარებითი წრეების კონფერენციის მიერ მიღებულ აგეგმვის სქემაში ასეთ დაყოფას ადგილი აღარ აქვს.

როგორია მისი მიზანი, სტიმული, როგორ როლს თამაშობს ხელმძღვანელი მისი ორგანიზაციის დროს; ამის მაგივრად ზოგიერთ შემთხვევებში დასახელებულია მუშაობისათვის საჭირო მასალა, რაც აგეგმვის სქემის შემდეგ სვეტს ეკუთვნის.

საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობის სვეტში (აგეგმვის სქემის უკანასკნელი სვეტი), გარდა საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობის გეგმისა (მუშაობა მშობლებთან, მოსახლეობასთან), შეტანილია აგრეთვე მასალაც პედ. კოლექტივის მუშაობის შესახებ პედსაბჭოში და თვითგანვითარებითს წრეებში, რაც ამ სვეტს არ ეკუთვნის<sup>1)</sup>.

დანარჩენი სვეტების დამუშავების ნაკლი — ზოგადობა ამ სვეტის შინაარსაც ემჩნეოდა, პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მუშაობა გეგმებში მეტის-მეტათ ზოგადად არის დასახული.

რადგან მუშაობის აგეგმვის საკითხი მკიდროდ არის დაკავშირებული აღრიცხვასთან, ამიტომ, ცხადია, ჩვენ მიერ ზევით აღნიშნული შეცდომები თვითგანვითარებითი წრეების აღრიცხვის მასალაში ვხვდებოდა და ამიტომ მათზე ხელმეორედ აღარ შევჩერდებით.

აღრიცხვის სვეტში მუშაობის აღრიცხვისათვის დამახასიათებელია ბავშვათა გამომჟღავნების სვეტი, რომელიც თვითგანვითარებითი წრეების მასალაში, ამ სვეტში მოცემული თვალსაზრისის მიხედვით (ყოფა-ცხოვრებითი, სოციალური და ორგანიული გამომჟღავნება), ძალიან ნაკლებად არის დამუშავებული. ზოგიერთ აღრიცხვაში ამ სვეტში მოცემულია არა ბავშვის გამომჟღავნება, არა მისი რეაქცია მუშაობის ამა თუ იმ სახეზე, არამედ დასახელებულია მხოლოდ თვით მუშაობის სახე, რომელსაც აღნიშნული დროის განმავლობაში ადგილი ჰქონდა საბავშვო დაწესებულებაში.

ასეთია, საერთოდ, ის შეცდომები, რომელთაც ჩვენ თვითგანვითარებითი წრეების მიერ წარმოდგენილ მასალაში ვხვდებით. არის ძალიან კარგი ნამუშევარიც, მუშაობის ძალიან დაკვირვებული და სწორი აგეგმვა-აღრიცხვა, მაგრამ, როგორც წრევანდელი გეგმებიც გვიჩვენებენ, ჩვენი სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებების უმრავლესობას ჯერ კიდევ სავსებით ვერ დაუძლევია აგეგმვა-აღრიცხვის საკითხი, ჯერ კიდევ ისე ვერ დაუძმუშავებია მე-5 და მე-9 მეთოდურ წერილებში მოცემული აგეგმვა-აღრიცხვის სქემები, რომ

<sup>1)</sup> პედკოლექტივის მუშაობის ასაგეგმავად თვითგანვითარებითი წრეების კონფერენციის მიერ აგეგმვისა და აღრიცხვის სქემაში დამატებულ იქნა ახალი სვეტი შემდეგი სათაურით: პედ-საბჭოს მუშაობა (იხ. აგეგმვის სქემა).

მათ საფუძველზე შედგენილმა მუშაობის გეგმებმა მართლა თვალსაჩინო დახმარება გაუწიოს სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მათი ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობის სწორად მიმართვის საქმეში.

აქედან შემდეგი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: საჭიროა ჩვენმა სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებმა აგეგმვა-აღრიცხვის საკითხზე მუშაობა განაგრძონ როგორც თვითგანვითარებით სწრეებში, წელს წამოყენებულ საკითხების დამუშავებასთან დაკავშირებით, ისე თითოეულ საბავშვო ბაღსა და კერაში პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე ამ საკითხების დაკვირვებით განხილვისა და მათი ყოველდღიური, პრაქტიკული მუშაობის საფუძველზე შესწავლის საშუალებით.

აგეგმვა-აღრიცხვას მხოლოდ მაშინ შეიძლება პედაგოგიურ მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა მიეცეს, როდესაც ის უშუალოდ გამომდინარეობს საბავშვო დაწესებულების უტყუარი მოთხოვნილებებიდან, როდესაც ის მისი ყოველმხრივი პირობების სწორ ცოდნაზეა დამყარებული.

ფ. ხუნდაძე

## საბავშვო ბაღის მუშაობის აგეგმვა – აღრიცხვის სახეები

მიღებული ტფილისის სკოლის ასაკამდე აღზრდის ხელმძღვანელთა თვითგანვითარებითი წრეების კონფერენციის მიერ.

ტფილისის სკ. ასაკ. აღზრდის ხელმძღვანელთა თვითგანვითარებითი წრეების კონფერენციაზე, რომელიც შესდგა ა/წ 9-1 ნოემბრამდე, საბოლოოდ მიღებულ იქნა სკ. ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში მომავალი მუშაობისათვის სახელმძღვანელოდ მე-5 და მე-9 მეთოდურ წერილებში მოცემული აგეგმვა-აღრიცხვის სქემები შემდეგი შესწორებებით: <sup>1)</sup>

### აგეგმვის სქემები.

1. წლიური მუშაობის აგეგმვის სქემაში მეთოდის სვეტის მაგიერ უნდა იქნეს სვეტში შემდეგი სათაურით: მუშაობის შინაარსი და ფორმები.

2. პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის ასაგეგმავად დამატებული უნდა იქნეს ახალი სვეტი შემდეგი სათაურით: პედაგოგიური კოლექტივის მუშაობა.

<sup>1)</sup> იხ. ამ წერილის ბოლოს თავსებული აგეგმვა-აღრიცხვის სქემები.

3. კვარტალური აგეგმვის სქემაში მუშაობის შინაარსის სამ სვეტად დაყოფის მაგიერ (ბუნებრივი, შრომითი და საზოგადოებრივი მომენტები) უნდა იყო ერთი სვეტი—მუშაობის შინაარსი.

### მუშაობის აგეგმვის სახეები.

1. სასწავლო წლის დასაწყისში ხელმძღვანელები ადგენენ წლიურ გეგმებს თითოეული ჯგუფისათვის ცალ-ცალკე.

2. ჯგუფების გეგმების საფუძველზე საბ. დაწესებულების გამგე ადგენს მუშაობის წლიურ სასწავლო გეგმას მთელი დაწესებულებისათვის.

3. ამას გარდა უნდა იქნეს შედგენილი კვარტალური გეგმა თითოეული ჯგუფისათვის ცალკე. კვარტალურ გეგმაში შინაარსის სვეტში დაწვრილებით უნდა აიგეგმოს ორგანიზაციული მომენტები, ამასთან ერთად შინაარსის სვეტში უნდა აიგეგმოს ის პედაგოგიური ამოცანებიც, რომელიც იყო შეტანილი პედაგოგიური ამოცანების სვეტში, მაგრამ ორგანიზაციულ მომენტთან კავშირის უქონლობის გამო არ მოხვდა ორგანიზაციული მომენტის აგეგმვაში.

### სტაბილური ორგანიზაციული მომენტები.

რეგოლუციის დღესასწაულები:

- 1) ოქტომბრის,
- 2) 8 მარტის,
- 3) 1 მაისის.

**შენიშვნა:** თუმცა დანარჩენი სარეგოლუციო დღესასწაულები (25 თებერვალი, წითელი არმიის დღე, 21 და 22 იანვარი და სხვა) ორგანიზაციულ მომენტებად არ გამოიყოფა, მაგრამ მუშაობის გეგმაში მათი შეტანა აუცილებელია.

### სეზონური ორგანიზაციული მომენტები.

- 1) შემოდგომის კუთხის მოწყობა.
- 2) საშემოდგომო მუშაობის ორგანიზაცია ბოსტანში.
- 3) ზამთრის ცოცხალი კუთხის მოწყობა.
- 4) ზამთრის დღესასწაულის მოწყობა.
- 5) საგაზაფხულო მუშაობა ბოსტანში.
- 6) საბავშვო ბაღში ბავშვების შინაური ცხოვრების მოწყობასთან დაკავშირებული ორგანიზაციული მომენტები: ბავშთა ცხოვრების ორგანიზაცია ჯგუფებში.



შეიძლება აგრეთვე, ბავშვის ინტერესებსა და ადგილობრივ პირობებთან დაკავშირებით, გამოყოფილ იქნეს სხვა ორგანიზაციული მომენტებიც.

**ალრიცხვისათვის.** კონფერენციამ უცვლელად მიიღო მე-9 მეთოდური წერილის სქემა (ემატება მხოლოდ სვეტი პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის აღსარიცხავად).

ჩატარებული მუშაობის სახეების სვეტში დღის მუშაობის გეგმასთან შედარებით ჩატარებული მუშაობა, გამეორების თავიდან ასაცილებლად, უნდა აღინიშნოს პლიუსით (+), ჩატარებული კი მინუსით (-). ამავე სვეტში ქვევით აღინიშნება მუშაობის ახალი სახეები, რომელიც გეგმაში არ ყოფილა გათვალისწინებული.

ბავშვის გამომქლავნება უნდა აღირიცხოს იმ კითხვების მიხედვით, რომელიც აღრიცხვის სქემის გამომქლავნების სვეტში არის მოცემული, ე. ი. უნდა აღირიცხოს გამომქლავნება:

- 1) სოციალური,
  - 2) ყოფა-ცხოვრებითი,
  - 3) შრომითი,
  - 4) ორგანიული,
- და აგრეთვე ჩვევები.

**ალრიცხვის სახეები შემდეგი უნდა იქნეს:**

- 1) ყოველდღიური მუშაობის აღრიცხვა.
- 2) დაწვრილებით თითოეული ორგანიზაციული მომენტისა და დანარჩენი პედაგოგიური ამოცანების აღრიცხვა.
- 3) ორგანიზაციული მომენტების აღრიცხვის საფუძვლებზე სდგება მუშაობის წლიური ანგარიში.

**სკოლის ასაკამდე აღზრდის ინსპექცია.**

შენიშვნა: ამ წერილის ცხრილები მოთავსებულია შემდეგ ორ გვერდზე.

**სკოლის ასაკ. აღზრდის დაწესებულებათა მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის სქემები.**  
**წლიური მუშაობის საწარმოო გეგმის სქემა.**

პირობების აღრიცხვა და ანალიზი	პედაგოგიური ამოცანები	მთავარი ორგანიზაციული მომენტები	ბავშთა ცხოვრების რეჟიმი	მუშაობის შინაარსი და ფორმები	მასალა	დაწესებულების საზოგადოებრივ-დაგოგოური მუშაობა	პედაგოგიური კოლექტივის მუშაობა
საბ. დაწესებულების ირგვლივ მდებარე გარემო	საბ. დაწესებულების ბინა-გარემო და ბავშთა კოლექტივი						

**კვარტალური გეგმის სქემა.**

ცვლილებები გარემოში	პედაგოგიური ამოცანები ამ დროისათვის	სტრატეგია	საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობა	მასალა	საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობა	პედაგოგიური კოლექტივის მუშაობა
დაწესებულების გარეთ	ბავშთა კოლექტივში და საბავშვო დაწესებულებაში	სტრატეგია	სტრატეგია	სტრატეგია	სტრატეგია	სტრატეგია
		სტრატეგია	სტრატეგია	სტრატეგია	სტრატეგია	სტრატეგია



## განსახკომის მე-2 საბავშვო კერის წლიური სა- წარმოო გეგმა.

დაწესებულების წლიური საწარმოო გეგმის აგება სწარმოებს შემდეგნაირად. დაწესებულების გამგე აძლევს პედაგოგიურ კოლექტივს მუშაობის ზოგად ხაზებს, მიუთითებს იმ მომენტებზე, რომლებიც განსაკუთრებით უნდა იქნეს აღრიცხული და რომლებიც წარსული წლის მუშაობის გაგრძელებასა და გაღრმავებას წარმოადგენს. ამის შემდეგ ჯგუფების ხელმძღვანელები აწარმოებენ როგორც გარემო შუალის, ისე თვით ჯგუფების ანალიზ-აღრიცხვას საშინაო გარემოებისა და ბავშთა ჩვევების მოცულობის მხრივ, მათი გარკვეულობისა და საერთოდ მათი ინტელექტუალური ზრდის მხრივ. შუალის აღრიცხვა ხდება მხოლოდ ერთხელ, შემდეგ წელში კი აღინიშნება მხოლოდ ცვლილებანი შუალში. ყოველივე ამის აღრიცხვის საფუძველზე ხელმძღვანელები აგებენ თავის წლიურ გეგმებს. ჯგუფების ამ წლიური გეგმების საფუძველზე დაწესებულების გამგე ადგენს ზოგად წლიურ საწარმოო გეგმას. ამ გეგმაში არ შედის ექიმის მუშაობის გეგმა; ის სდგება ცალკე და აგრეთვე წარმოადგენს შუალის ანალიზისა და ექიმის მიერ ყველა ბავშვის წინასწარი შემოწმების შედეგს.

საბავშვო კერაში ჩვევათა შემოწმება სწარმოებს გარკვეული პროგრამის მიხედვით, რომელიც კერას აქვს. როგორც ჯგუფების წლიური გეგმების, ისე ზოგადი წლიური გეგმის შედგენის დროს საცხოვრებო-პედაგოგიური ამოცანებისა და მუშაობის შინაარსის დასახვა სწარმოებს ზოგადად, უდეტალებოდ. რაც შეეხება იმ ჩვევათა მოცულობას, რომლებიც არ შესულან დამაორგანიზებელ მომენტებში, მაგრამ სკოლამდე მუშაობის ერთერთ ძირითად მომენტს შეადგენენ (როგორიცაა: სანიტ.-ჰიგიენ., საცხოვრებო აუცილებელი და სხვ.), მათი დაგეგმვა სწარმოებს ტრიმესტრების მიხედვით და ისინი შედიან საცხოვრებო-პედაგოგიურ ამოცანებშიც და მუშაობის შინაარსშიც. თუმცა დამაორგანიზებელი მომენტი მათ არ შეიცავს, მაგრამ ისინი განაწილებულია დროში, მხედველობაშია მიღებული და სწარმოებს ბავშვების ყურადღების გამახვილება მათდამი პედაგოგიური თვალსაზრისით მოხერხებულ მომენტებში (მაგალ., ორ დამაორგანიზებელ მომენტს შუა). ჩვევათა მოცულობის დასახული პროგრამა რამდენად შეეფერება სკოლამდე ასაკს, ამ საკითხის შესახებ დასკვნებს პედაგოგიური კოლექტივი ნაწილობრივ ამ წლის დამლევს მიიღებს.

დაგეგმვა მუსიკალურ-რითმიული მეცადინეობისა, რომელსაც დაწესებულების მუშაობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, განცალკევებითაა წარმოდგენილი, მაგრამ მისი აგება ზოგად პედაგოგიურ მუშაობასთან კავშირის საფუძველზე ხდება.

ჯგუფობრივს წლიურ დაგეგმვას მოსდევს ტრიმესტრული დაგეგმვა, რომელშიც მუშაობა, მთელი მისი შინაარსი გადაიშლება უკვე დაწვრილებით დამაორგანიზებელი მომენტების მიხედვით.

რაც შეეხება უმცროსი ჯგუფის მუშაობის გეგმას, მას არ შეეძლო შესამჩნევი ყოფილიყო ზოგად გეგმაში, ვინაიდან იქ არ შეიძლება იყოს მკაცრი მუშაობა დამაორგანიზებელი მომენტების მიხედვით და როგორც მასალა, ისე მუშაობის მთელი შინაარსი ლაგდება საცხოვრებო-პედაგოგიური ამოცანების მიხედვით და შეუძლებელია მეტად მტკიცე ხასიათი ჰქონდეს.

მუშაობის გეგმაში წერაკითხვის სწავლებასა და ანგარიშს გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი. სკოლაში მიმავალი ბავშვების ჯგუფთან სწარმოებს სისტემატიური მუშაობა და მუშაობაში ბავშვები ერთიანდებიან საერთო დავალებით, მასალით. თავდაპირველად ამ მუშაობას ეთმობა 15-20 წუთი და თანდათანობით ეს დრო მატულობს ერთ საათამდე და უფრო მეტითაც. დანარჩენი ბავშვების გადაყვანა წერაკითხვის სწავლებაზე სწარმოებს გარემო შუალის ორგანიზაციის საშუალებით ამ მიმართულებით: საკუთარი სახელები, ამხანაგების სახელები და სხვ.

## I. ბაკიმო დაწესებულების ბაკიტი.

### 1. ბუნება.

1. საბავშვო კერის შენობა იმყოფება საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეების კლუბის დიდი ბალის გვერდით. ამ ბაღში ბავშვების სიარული ზამთარში ამ წლიდან ნებადართულია საბჭ. და სავაჭ. დაწეს. მოსამს. კავშირის მიერ. ბალი დიდია—აუზებით, სხვადასხვა შენობებით, ყვავილნარებით, სათბურებით, ორანჟერეებით. ყვავილნარებში მრავალი სხვადასხვაგვარი ყვავილია; ბაღში ბევრია სხვადასხვა ჯიშის ხეები; არის მსხვილი ხეები: პლატანი, ცაცხვი, ცხენის წაბლი, თუთა, აკაცია. ეს ბალი შეიძლება გამოყენებული იქნეს, იგი იძლევა მდიდარ მასალას ბუნების ცვლილებათა დაკვირვებისათვის სეზონურ მოვლენებსა და მებაღის შრომასთან დაკავშირებით წლის სხვადასხვა დროში.

2. ბალი გაშენებულია მტკვრის ნაპირზე. მტკვარზეც შესაძლებელია სეზონური მოვლენების დაკვირვება (წყლის მომატება-დაკლება, კუნძულების გამოჩენა, ნაპირების გაყინვა), დაკვირვება შრომისა და ცხოვრებისა მდინარეზე—თევზაობა, ქვიშის გაზიდვა, ცხენების დაბანვა, ხე-ტყის ჩამოზიდვა. მტკვრის ის ნაწილი, რომელიც საბჭ. და სავაჭრ. დაწეს. მოსამსახ. კლუბის პირდაპირ არის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა ჯგუფის მიერ, ვერის ხეივანთან კი, სადაც უმთავრესად მდინარეზე შრომისა და ცხოვრების დაკვირვება შეიძლება, მხოლოდ საშუალო და უფროსი ჯგუფების მიერ.

3. მე-100 სკოლის ბალი, რომელიც საბავშვო კერიდან 15 წუთის სავლელ მანძილზე იმყოფება, მდიდარია როგორც მცენარეულით, ისე ცხოველებით და იძლევა მასალას დაკვირვებისათვის. იქვე შეიძლება დაკვირვება მებაღისა და მოწაფის შრომისა, როგორც თვით ბაღში, ისე ორანჟერეაში.

4. ვერის ხეივანი საბავშვო კერიდან ნახევარი საათის სავლელ მანძილზე იმყოფება. ხეივანშია დიდი ხეივნებია ნეკერჩხლისა, კვიპაროსისა, აგრეთვე სხვადასხვა ჩირგვნარი. ყვავილნარები არ არის. ბალი თავმინებებულია. ბაღში მრავლადაა მწერები, ლოკოკინები. ბალი იძლევა მდიდარ მასალას დაკვირვებისათვის. იქვეა მტკვარიც.

5. ფერდობი ვერის ხეივანის გადაღმა. იქიდან იშლება მშვენიერი სანახაობა მახლობელ კერძო ბაღებზე და ბოსტნებზე. ფერდობზე ბევრია მწერები, ლოკოკინები, გაზაფხულზე მატლები.

6. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის ბალი (ყოფ. მუშტაიდი), რომელიც ტრამვაის ერთი გადასარბენის მანძილზე იმყოფება, სიშორის გამო შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დროგამოშვებით ვასეირნებისა და ექსკურსიებისათვის.

ვინაიდან საბჭოთა მოსამსახურეების კლუბის ბალით სარგებლობის დრო შეზღუდულია (მხოლოდ ზამთარში), სხვა ბაღები კი მოშორებითაა, ამიტომ ზოგჯერ შეუძლებელი ხდება სისტემატიური დაკვირვება; ამას გარდა როგორც ვერის ხეივანში, ისე ორჯონიკიძის სახელობის კლუბის ბაღში არ შეიძლება ბუნების მასალის შეგროვება საბავშვო კერაში ბავშვების მოტორული აქტივობის საშუალებით დამუშავებისათვის—ყოველივე ეს ერთად არასაკმარისად ხდის ბუნებრივ გარემოს. მისი სიღარიბე განსაკუთრებით საგრძნობია იმ სიმდიდრის შემდეგ, რომელიც ზაფხულში გვექონდა (კოჯორში).

## 2. რაიონის საწარმო-შრომითი ხასიათი.

საბავშვო კერა წამოწყებებითა და დაწესებულებებით მდიდარ რაიონში იმყოფება. აქ არის მუყაოს კოლოფების დამამზადებელი ქარხანა, გალეთის ქარხანა, ავტო-გარაჟი, ელსადგური, ფოსტა, სამხერხაოები, სახარაზო, საქუდე, სათერძო, სათუნუქო, საღურგლო, საზენკლო სახელოსნოები. საბავშვო კერის გვერდით იმყოფება მუშაკოოპის გამგეობა. ყველა დაწესებულებათაგან საბავშვო კერის მუშაობაში საშუალო ჯგუფისათვის გამოყენებული იქნება მუყაოს კოლოფების დამამზადებელი ქარხანა და ავტო-გარაჟი, უფროსი ჯგუფისათვის კი ესენი და აგრეთვე საღურგლო სახელოსნო და სამხერხაოები. უმცროსი ჯგუფი თავის კერის ფარგლებიდან არ გამოდის.

მუყაოს კოლოფების დამამზადებელი ქარხანა უკვე მეოთხე წელია, რაც საბავშვო კერის შეფად ითვლება. საბავშვო კერაში 35% შეადგენენ მუყაოზე მომუშავეთა შვილები, რომელთათვისაც ეს წარმოება მახლობელია. ქარხანა ამზადებს სხვადასხვა კოლოფებს, წარმოება მეტად მარტივია და თავისუფლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბავშვებთან მუშაობაში. მიუხედავად ამისა, ბავშვებთან მუშაობაში პირველი ადგილი ეთმობა არა თვით წარმოებას, როგორც ასეთს, არამედ ემოციონალურ განცდებს მოზრდილთა შრომის დაკვირვებასთან დაკავშირებით, მათ კოლექტივიზმს, ორგანიზაციულობას სამანქანო და ხელით წარმოებას შორის (ქარხანა ნაწილობრივ მექანიზაციქმნილია) და წარმოების ცალკე მომენტებს. ამნაირად, ქარხანა იძლევა სტიმულს შრომითი და კლასობრივი მიმართულების შექმნისათვის ბავშვებში.

## 3. რაიონის კულტურულ-საყოფაცხოვრებო ხასიათი.

ძნელია რაიონის საერთო სურათის აგება, მაგრამ ამას არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა მისი გავლენის მხრივ ბავშვებზე, ვინაიდან ბავშვები სხვადასხვა და საკმაოდ დაშორებულ რაიონებში ცხოვრობენ.

## 4. რაიონის სოციალურ-კლასობრივი ხასიათი.

რაიონის მოსახლეობა მეტად ჰრელია, მაგრამ მასთან ბავშვებს პირისპირ. შეხვედრა არ უხდებათ, ვინაიდან ისინი დაიარებიან სხვა რაიონებიდან და, მაშასადამე, სხვა სოც.-კლასობრივი შუალის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. სოც.-კლას. ორგანიზაცია, რომელიც მახლობელია საბავშვო კერისთვისა და ბავშვებისათვის—ესაა მუყაოს კო-

ლოფ. დამამზ. 1-ლი ქარხანა. მისი საშუალებით უახლოვდებიან ბავშვები მუშებს, აკვირდებიან ორგანიზაციულ კოლექტიურ შრომას, უკავშირდებიან მათ დღესასწაულებში, ხედავენ მუშების მზრუნველობას თავისადმი. კლასობრივი აღზრდის აზრით ბავშვებთან მუშაობაში ფართოდ სწარმოებს ქარხნის გამოყენება. ქარხნის გარემოს უფრო ღრმა ანალიზის აღრიცხვის საშუალებით კავშირი კერის საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მუშაობასა და ქარხანას შორის უფრო გაღრმავდება. ქარხანაში მომუშავეები მეტ წილად ქალებია (65%), ასაკის მიხედვით—ახალგაზრდობა.

მომავალი სასწავლო წლიდან განზრახულია სისტემატიური კავშირის დაჭერა სკოლასთან, რომელზეც მიმაგრებულია საბავშვო კერა (კომ. აღზრდ. სკოლა). კავშირის ფორმები დაწვრილებით ჯერ არ არის შემუშავებული, მაგრამ პირველ რიგში დასახულია ერთიმეორის პედაგ. კოლექტ. სხდომებზე დასწრება დაგეგმვისა და აღრიცხვის საკითხების გასარკვევად, განსაკუთრებით საბ. კერის უფროს ჯგუფში და სკოლის I ჯგუფში, დღესასწაულების ჩატარების ორგანიზაცია და პროგრამები, გაგრძელება სკოლაში მუშაობისა სანიტ.-ჰიგიენ. ჩვევების განმტკიცების დარგში. საზოგადოებრივი მუშაობის ხაზით საურთიერთო წარმომადგენლობა დამხმარე საბჭოებში და ნაწილობრივ მშობლებთან ერთად მუშაობა. კავშირის სახეების უფრო დაწვრილებითი დამუშავება თანდათანობით მოხდება მუშაობის პროცესში.

III. პიონერ-კოლექტივთან (იმავე სკოლის) მუშაობაში წარსული წლის გეგმასთან შედარებით ცვლილება არ არის შეტანილი, მაგრამ აუცილებელია, რომ კავშირი უფრო სისტემატიური და გეგმაშეწონილი გახდეს.

### 5. ოჯახური გარემო.

როგორც საზოგადოებრივი, ისე პედაგოგიური მუშაობის ცხადსაყოფად ჩატარებულ იქნა ბავშვთა ოჯახურ გარემოს გამოკვლევა მოლოჟაის სქემის მიხედვით, რომელიც რამდენადმე შეკვეცა და გამარტივა პედაგ. საბჭომ. ახალ ბავშვთაგან (22) გამოკვლეულ იქნა 16 და აგრეთვე ძველები იმის გამოსარკვევად, თუ სად რა ცვლილება მოხდა. სოც.-კლასობრივი მიმართულების მხრივ გარემოს ახალიათებს პროლეტარული შემადგენლობა—72%, რომელთაგან 35% მუყაოზე მომუშავეებია, ერთი წარმოების მუშები. ყოფაცხოვრების მხრივ 30 შემთხვევაში—45% მუშაობს მხოლოდ დედა, მუშაობს დედაც და მამაც 17 შემთხვევაში—26%; მასასადამე, დედების 71%

ჩაბმულია წარმოებაშიც ან დაწესებულებაში და დიასახლისობს კიდევ, და მხოლოდ 19% მარტო დიასახლისობს. მატერიალური უზრუნველყოფის მხრივ შემდეგ სურათს ვხედავთ: 43%-ს აქვს თვითეულ მჭამელზე 16 მან. და უფრო ნაკლები, 38%-ს—25 მან-მდე და მხოლოდ 19%—25 მან. ზევით. მიუხედავად ამისა, მრავალ შემთხვევაში, განსაკუთრებით მკუშათა იმ ოჯახებში, რომლებიც მუშათა სახლებში ცხოვრობენ, დიდი მისწრაფებაა ახალი რამის შექენისადმი: ტანისამოსის შკაპი, სკამები, სამოვრები—კვების, ტანისამოსის, ბავშვებისათვის საჭირო საგნების ხარჯზე. საბავშვო კერა იძულებულია მიაქციოს მშობლების ყურადღება ამ არანორმალურ მოვლენაზე. მთელი საშინაო გარემოების სანიტარიისა და ბავშვებისათვის სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების ჩანერგვის მხრივ ოჯახური გარემო შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად: I—სადაც საქმე კარგადაა, ბავშვებს აქვთ ცალკე ლოგინიც—67%, ყოველკვირა აბანავებენ კიდევ—75% და ძილის წინ ხელპირსაც ჰბანენ—70% და II—რომელიც ამ მოთხოვნებს სრულებით არ აკმაყოფილებს. ეს მეტ წილად იმ ოჯახებშია, რომელთა ბავშვებიც ახლა მოხვდენ საბავშვო კერაში. არადაამაკმაყოფილებელი სურათია საცხოვრებელი ფართობის მხრივ. ერთ ადამიანზე მოდის 9 კვ. არშ.—35%, 16 კვ. არშ.—45% და მხოლოდ 20% აქვს ნორმა და მეტი. ასეთი საცხოვრებელი ფართობის გამო საქმეში მზადდება ოთახში 35% და სარეცხი ორეცხება—32%.

კვების მხრივ, უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე კარგადაა დაყენებული, ვინაიდან ორ უმთავრეს ჯერს (სადილსა და საუზმეს) ბავშვები იღებენ საბავშვო კერაში. გამოკვლევის დროს ყურადღებას იქცევს ის, რომ ბავშვებს ბინებში არა აქვთ თავისი კუთხე, ასეთებია 57%, და თუ აქვთ, ან უარარაოდ, ან ისეთი რამეებით, რაც არ შეეფერება ბავშვის მოთხოვნილებას და პედაგოგიურ მოთხოვნებს. ამის გამო ბავშვები ფებში ედებიან უფროსებს, ხელს უშლიან, ხელს ჰკიდებენ მათ ნივთებს, ამტვრევენ, რაც განსაკუთრებით არსებითია, თუ მივიღებთ მხედველობაში მშობლების—დედების დაქანცვას სამუშაო დღის შემდეგ.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ % ბავშვისა, რომელთაც სახლში სჯიან, მეტად დიდია—70%. მართალია, ეს არ არის სერიოზული დასჯა: ცოტაოდენი წათაქება, სიამოვნებათა აღკვეთა, ერთ ადგილზე დაყენება, მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ მშობლები დასჯის პრინციპს მტკიცედ ადგიან. ამავე დროს კი წარსული წლის საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობის გეგმაში დასჯის საკითხი დაყენებული და გატარებული იყო. პედაგოგიურ საბჭოს შარშან ჩატა-

რებული მუშაობა ამ საკითხში არასაკმარისად მიაჩნია. წელს კი საბოლოო მიზნისათვის—დასჯასთან ბრძოლისათვის—პედაგოგიურ საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია შემდეგი საკითხის დაყენება: „სკოლამდელთა კუთხის ორგანიზაცია ოჯახში (და მათი თავისუფალი დროის ორგანიზაცია“. ამ საკითხის დამუშავების დროს მშობლების ყურადღება მიექცევა ბავშთა ცხოვრების (ორგანიზაციას, მითითებული იქნება ბავშთა ისეთ საქციელზე, რაც მოუწესრიგებელ გარემოს შედეგს წარმოადგენს, და საბავშო კერა ამით ნაწილობრივ მაინც გადასწყვეტს დასჯის საკითხს.

## II. ბავშვთა თვით დაწესებულებაში.

### 1. ბინა.

საბავშვო კერა მოთავსებულია ქუჩაზე, სადაც განუწყვეტელი ისმის ხმაურობა ტრამვაისა, ავტომობილებისა, ურმებისა. ეზოში ბევრი შენობაა, ძველი, მოუვლელი; არიან კერძო მობინადრეები (ეზო დიდი და თუმცა კერის ბინა პირდაპირ ამ ეზოში გადის, მაგრამ მით არ ვსარგებლობთ, ვინაიდან იგი სასადილოს ეკუთვნის. მაგრამ კერას სასადილოს შენობებს უკან აქვს თავისი მოედანი, სივრცით 50 კვ. საფ., რომლითაც მხოლოდ ბავშვები სარგებლობენ. მოედანზე რამდენიმე დიდი ხეა და ბევრი, ახალი, ბავშვების მიერ დარგული. მოედანზე გაკეთებულია კვლები, ყვავილნარები; ყველაფერი პრიმიტიულია, რადგან ბავშვების ხელითაა გაკეთებული და მათი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ამავე მოედანზე იმყოფება მთელი გროვა სილისა და სააღმშენებლო მასალა: ფიცრები, აგური, ტოტები, ქვები და სხვ. თვით ბინა—4 ოთახი—მეტად პატარაა, ვიწრო, ძველი, არ არის სამზარეულო, არ არის სასადილო (3 სამუშაო ოთახია და 1 დარბაზი; ბავშვები საუზმობენ და სადილობენ დარბაზში; იძულებული ვართ სკამები და მაგიდები შევიტანოთ და გამოვიტანოთ). ბინა ცივია, რადგან იგი დიდ სარდაფს ზემოდანაა მოთავსებული. იატაკები ცუდია. ბინის დადებითი მხარეებია: დიდი აივანი, რომელიც კლუბის ბაღში გადის, ლამაზი სანახაობა ბალისა-კენ, სუფთა კედლები. საბავშვო კერის წინაშე მდგომარე საკითხი მისი სხვა ბინაში გადაყვანის შესახებ (საბჭ. მოსამს. კავშირის მოთხოვნა), მდგომარეობის გაურკვევლობა გვართმევს როგორც თვით ბინის, ისე მის გარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობასა და ხალისს.

## 2. ინვენტარი, მოწყობილობა, მასალები და ხელსაწყოები.

მთელი ავეჯეულობა ხელახლა შეღებილია კარგი ზეთის საღებავით, მისი რაოდენობა საკმარისია, ვინაიდან განსახკომიდან შილებულია ახალი ავეჯი 40 ბავშვისათვის. ვინაიდან წელს მე-3 ჯგუფი მიემატა, ამიტომ მისთვის არა ჰყოფნის მოწყობილობა: შკაპი დიდაქტიური მასალისათვის, თვით მასალა, სათამაშოები, თამაშობანი. საერთოდ სათამაშოების რაოდენობა მეტად მცირეა. სამაგიეროდ კერას აქვს საღმშენებლო მასალა დიდი ზომისა № 1, გაკეთებული მეთოდური წერილის მიხედვით; დაკვეთილია მომცრო ზომისაც № 2, რომელიც წლის შუაში იქნება. დაბრკოლებებია ცოცხალი კუთხის მოწყობაში: ცხოველების შენახვა ოთახში ჰიგიენას ეწინააღმდეგება, სხვა ბინა კი არ არის; საკუქნაო, რომელშიც წინად ვათავსებდით ცხოველებს, ამჟამად სამზარეულოდაა გადაქცეული. სრულიად მოუწყობელია მოედანი—არ არის გორაკი, კიბე, საქანაო ფიცარი.

## 3. სახსრები.

სახსრები საკმარისია კვებისათვის; მათ ვიღებთ განსახკომიდან პროდუქტებით და მშობლებისაგან ფულით. სამეურნეო ხარჯისათვის კი სახსრები მეტად არასაკმარისია. აუცილებელია ენერგიული მუშაობის ჩატარება კერის საბჭოს საშუალებით სახსრების გამოსაძებნად.

## 4. პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი.

პედაგოგიურ პერსონალს (მუშაობის კერისებური სისტემის დროს ბალი ღიაა ბავშვებისათვის დღის 7 საათიდან დღის 4<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათამდე) უხდება დიდი დროს ხარჯვა უშუალო მუშაობაზე ბავშვებთან.

ტექნიკური პერსონალი სავსებით საკმარისია: შეყვანილია შტატში მზარეული ქალი. გარდა ამისა კერას ჰყავს დიასახლისი, რაც უეჭველია სათანადო სიმაღლეზე დააყენებს კერის მუშაობის სამეურნეო მხარეს და განტვირთავს პედაგოგიურ პერსონალსა და გამგეს სამეურნეო მუშაობისაგან. შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს შემდეგი: კერაში, პედაგოგიურ მოთხოვნათა წინააღმდეგ, მუშაობა წრევანდლამდე 2 ჯგუფში მიმდინარეობდა, ვინაიდან ჯგუფის მხოლოდ ორი ხელმძღვანელი იყო. ეს არანორმალური მდგომარეობა თავის კვალს აჩნევდა პედაგოგიურ მუშაობაზე. დაწყებულ სასწავლო წელში კი, კერისებურ სისტემაზე

ოფიციალურად გადასვლასთან დაკავშირებით, მომატებულ იქნა მესამე ხელმძღვანელიც და ამნაირად შესაძლებელი გახდა ყველა ბავშვის განაწილება სამ ჯგუფში.

### ბავშთა კოლექტივი.

ბავშთა სულ 67, მათგან ძველი 45 და ახალი 22. ახლებმა უმთავრესად უმცროსი ჯგუფი შეადგინეს. ჯგუფთა 3, ბავშვის რიცხვით დაახლოვებით ერთნაირი. სქესის მიხედვით: ვაჟია—37, ქალი—30. ასაკის მიხედვით: 3-წლიანი 8—12<sup>0</sup>/<sub>100</sub>, 4-წ. 13—20<sup>0</sup>/<sub>100</sub>, 5-წ. 14—21<sup>0</sup>/<sub>100</sub>, 6-წ. 24—35<sup>0</sup>/<sub>100</sub> და 7-წ. 8—12<sup>0</sup>/<sub>100</sub>. სამშობლო ენის მიხედვით: რუსია—84<sup>0</sup>/<sub>100</sub>, სომეხი—12<sup>0</sup>/<sub>100</sub>, ქართველი—4<sup>0</sup>/<sub>100</sub>. ეს არანორმალური და დაუშვებელი მოვლენა შეიქმნა იმის გამო, რომ რაიონში არ არსებობს ქართული და სომხური კერა გაგრძელებული დღით, და აგრეთვე მუყაოს კოლოფების დამამზადებელ ქარხნის მუშა ქალების—დედების მოძალების გამო, რომლებიც მოითხოვდნენ თუნდაც მარტო ფიზიკურ მოვლას მათი ბავშვისათვის. ახლა ვახსნალია ქართული საბავშვო კერა, ისე რომ საკითხი ქართველი ბავშვის შესახებ უკვე მოგვარებულია. მოუგვარებელი დარჩა საკითხი სომეხი ბავშვის შესახებ.

ფიზიკური მდგომარეობის მხრივ ექიმის წინასწარი შემოწმებით გამოირკვა, რომ განსაკუთრებული გამოკეთება დაეტყობთ იმ ბავშვებს, რომლებიც კოჯორში იყვნენ: 26<sup>0</sup>/<sub>100</sub>-მა მოიმატა ოთხ-ოთხი გირვანქა, 23<sup>0</sup>/<sub>100</sub>—2-3 გირ., 7<sup>0</sup>/<sub>100</sub>—1 გ., 14<sup>0</sup>/<sub>100</sub>—5 გ., 7<sup>0</sup>/<sub>100</sub>—6 გ.

### ჯგუფების ზოგადი დახასიათება.

უმცროსი ჯგუფი (13 ახ., 7 ძვ.) მეტად საინტერესოა; საკმარისია რიცხვი ბავშვისა მკაფიო ინდივიდუალობით. ეს ჯგუფი მოითხოვს მეტად მოფიქრებულ მიდგომას. საშუალო ჯგუფი თითქმის მთლად შარშანდელია (4 ახალი); უფერული თავისი ინდივიდუალობით, იგი გამოცოცხლდა ახლების ხარჯზე; მოითხოვს გულმოდგინე სისტემატიურ მუშაობას მათი განვითარების აწევისა და შემოქმედების აქტიურობის გამოლვიძებისათვის. უფროსი ჯგუფი შრომისმოყვარეა, დინჯი, მწყობრი. აღსაზრდელად ძნელი ბავშებიდან საჭიროა აღინიშნოს კაზაროვი, მეტად უორჯანიზაციო, ძლიერ სუსტი მდგრადობის მქონე.

ბავშვის საერთო განვითარებისა და ჩვევათა მოცულობის გამორკვევის მიზნით ჩატარებულ იქნა შემოწმება ტესტებით, რომლებიც კერაში არსებული ჩვევათა პროგრამის მიხედვით იყო დამუშა-

ვებულო. შემოწმებამ მოგვცა შემდეგი სურათი: მუსიკალურ-რიტმიულ ჩვევებში (სმენა, მეხსიერება, რიტმი, მუსიკის ხასიათის შემოქმედებითი გადმოცემა მოძრაობით) გამოჩეკავდა, და სავსებით დამაკმაყოფილებლად საშუალო და უფროს ჯგუფებში, მკაფიო სურათი რიტმის მხრივ და სუსტი სმენისა და მეხსიერების მხრივ. შესაძლებელია, რომ ამ მიმართულებით დიდი მოთხოვნები იყო წარმოდგენილი. წლის განმავლობაში აუცილებელია ამ საკითხის გადასინჯვა. ბავშთა კოლექტივის შრომითი ჩვევების შემოწმებისას ასეთი შედეგი მივიღეთ: არა აქვს ასეთი ჩვევები ყველა ახალ ბავშვს როგორც უმცროს, ისე საშუალო ჯგუფში. ძველი ბავშვები ამჩვენებენ სუსტ ჩვევებს სადღურგლო იარაღების ხმარებაში (ჩაქუჩს გარდა). განსაკუთრებით სუსტად აქვთ განვითარებული ეს ჩვევები გოგონებს. ბიჭებს სუსტი აქვთ ჩვევები კერვასა და რეცხვაში. სანიტარულ-ჰიგიენურ ჩვევებში ბევრ ბავშვს ემჩნევა დაუღვერობა შესრულებაში და თვით ხერხების უსწორობაც.

გაგნებულობის (ориентировка) შემოწმებამ ცხადჰყო, რომ საშუალო ჯგუფში სუსტია ბუნებრივი გაგნებულობა. დანარჩენ საკითხებში შედეგები ამ ჯგუფში ისეთია, რომ ისინი სავსებით აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რომლებიც საბავშვო ბაღის პროგრამაშია მოცემული. ამ ჯგუფში მეტად საგრძნობია ბიჭებისა და გოგონების სხვადასხვა დამოკიდებულება მუშაობისადმი: ბიჭები აქტიურებია, დიდი ხალისით იყენებენ მუშაობაში ახალ მასალას, გოგონები კი პასიურებია, იჩრჩევენ უფრო ადვილ სამუშაოს, ეშინიათ ახალი მასალისა.

რაც შეეხება უფროს ჯგუფს, გამოაშკარავდა არასაკმაო სიერციითი გაგნებულობა. კარგი გაგნებულობაა ზოგად-პოლიტიკურ საკითხებში: კარგად იცნობენ ლენინს და ლაპარაკობენ მის შესახებ, როგორც მუშების მეგობრისა და მასწავლებლის შესახებ. სავსებით დამაკმაყოფილებელია გაგნებულობა ბუნებაში, ანგარიშში, ოდენობებში და სხვ.

### საცხოვრებო-პედაგოგიური ამოცანები.

#### 1. საორგანიზაციო.

1. ჯგუფებში ბავშთა რიცხვის გაუდიდებლობა.
2. სამზარეულოს (საკუჭნაოდან გადაკეთებულის) შეკეთება და ჭლიტის დადგმა.
3. კარის გაჭრა სამზარეულოდან ბინაში.

4. ახალი ჯგუფისათვის ავეჯისა და მასალის შეესება და სა-  
მკერვალო და სამრეცხაო კუთხეების მოწყობა.

5. სააღმშენებლო მასალის № 2 გამოყიდვა.

6. მოედნის თუნდაც ნაწილობრივი მოწყობა.

7. დაყენება შენობის შეკეთების საკითხისა გაზაფხულზე.

### 2. საზოგადოებრივ-პედაგოგიური

1. მუშაობის ჩატარება ახალ ბავშვების მშობლებთან სანიტა-  
რულ-ჰიგიენური ხაზით.

2. ყველა მშობლებთან ერთად სკოლამდელისათვის სახლში კუ-  
თხის მოწყობის და მისი თავისუფალი დროის ორგანიზაციის საკით-  
ხის დამუშავება.

3. მშობლების მეტი რიცხვის ჩაბმა აქტიურ მუშაობაში საბავ-  
შო კერის ირგვლივ.

4. აქტიური მშობლების გაერთიანება სოციალური აღზრდის  
წრეში.

5. ქარხნის მიმართ: ქარხანასთან კავშირის გაღრმავება კულტ-  
კომისიის მუშაობის გეგმაში მონაწილეობისა და კედლის გაზეთში  
მონაწილეობის გზით.

6. სკოლასთან და სკოლის დამხმარე საბჭოსთან კავშირის და-  
მყარება.

### 3. მეთოდური

1. დაგეგმვისა და აღრიცხვის საკითხების გაზუსტება.

2. ჩვევათა მოცულობის შემოწმების ჩატარება იმ პროგრამის  
მიხედვით, რომელიც აქვს საბავშვო ბაღს, და აგრეთვე თვით შემოწ-  
მების მეთოდის დამუშავება.

3. მუშაობის გაგრძელება მუსიკალურ-რითმიული მეცადინეო-  
ბის საორიენტურო პროგრამაზე.

4. საკითხის მეთოდური დამუშავება მშობლებთან ერთად.

### 4. ბავშთა კოლექტივის მიმართ

1. მუშაობის ჩატარება გაჯანსაღების მიზნით ჰაერითა, მზითა  
და წყლით სარგებლობის საშუალებით.

2. ძველ ბავშვებში სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების გაღრმავება,  
ახლებში მეთოდურად სწორად დაწყება და ბავშვების საშუალებით  
მათი სახლში გადატანის მოწყობა.

3. სააღმშენებლო მასალის საშუალებით ბავშთა თამაშობების  
გამდიდრება.

4. საშუალო ჯგუფის გოგონების აქტივობის აწევა მუშაობაში საერთოდ და კერძოდ ყველა გოგონების ხეზე მუშაობის დარგში.
5. კერვასა და რეცხვაზე მუშაობაში ბიჭების ჩაბმა.
6. საშუალო ჯგუფში გადიდება იმ დამაორგანიზებელ მომენტთა რიცხვისა და მოცულობისა, რომელნიც ბუნების მოვლენებთან არიან დაკავშირებული.
7. მუსიკ.-რითმიულ დარგში ტექსტისა და მელოდის შეთვისების მხრივ მკაფიოებისა და სიმტკიცის გატარება.
8. მუსიკის ხასიათის შემოქმედებითს გადაცემაში სხვადასხვაობის მიღწევის ცდა.
9. უფროსი ჯგუფის ნაწილის მომზადება სკოლაში გადასასვლელად.
10. დაცვა და განმტკიცება კავშირისა კომ. აღზრდის სკოლის ოქტომბრულებთან.

#### რ ე ქ ი მ ი.

მუშაობის გაგრძელება კვების რაციონალიზაციის მხრივ სახსრების გადიდების საშუალებით მშობლების ხარჯზე. ექიმის მუშაობის გაღრმავება პედოლოგიურ ლაბორატორიასთან კავშირის დამყარების საშუალებით. წელიწადში სამჯერ ჩატარება საექიმო შემოწმებისა, ყოველთვე აწონვა და სიმაღლის გაზომვა. სანიტარული დათვალეობა ყოველკვირა ექიმის მიერ და ყოველდღე ხელმძღვანელის მიერ.

#### დ ღ ი ს გ ა ნ წ ე ს ი.

- 7—9 საათი. ბავშვების თავმოყრა. დღის ჩაი ქარხანაში მომუშავეთა შვილებისათვის. თავისუფალი თამაშობები.
- 9—9<sup>1</sup>/<sub>2</sub>. სანიტარული დათვალეობა, მორიგეობა, კომისიების მუშაობა.
- 9<sup>1</sup>/<sub>2</sub>—11. მეცადინეობა დავალებით, მუსიკალურ-რითმიული მეცადინეობა.
- 11—11<sup>1</sup>/<sub>2</sub>. ხელების დაბანვა, მასალის ალაგება, საუზმისათვის მზადება.
- 11<sup>1</sup>/<sub>2</sub>—12. საუზმე.
- 12—2. მეცადინეობა დავალებით, თავისუფალი.
- 2—3. სადილი.
- 3—4. თავისუფალი თამაშობანი და მეცადინეობა.
- 4—4<sup>1</sup>/<sub>2</sub>. სახლში წასვლა.

მ ა ს ა ლ ა

ძირითადი დამაორგანოებელი მომენტები

1. ცხივრების ორგანიზაცია ჯგუფში.  
1/X — 10/X.

2. ორგანიზაცია და ჩატარება საშემოდგომო მუშაობის ბოსტანში.  
10/X — 1/XI.

მუშაობის ზოგადი შინაარსი და ფორმები

ავეჯის დალაგება, უჯრების და ჩამოსაყიდებლების განაწილება. ჯგუფურ ცხოვრებაში ჩაბმა; უფროს ჯგუფებში სასადილოსა და სამუშაო ოთახისათვის მორიგების ამორჩევა, საშუალოში კი მხოლოდ სასადილოსათვის. საბავშვო კერის წესების გამოჩვენება და მათთვის დამორჩილება. ყოველდღიური თვითრეგისტრაცია.

დაკვირვება შემოდგომის ცვლილებებზე ბუნებაში: ჭ დაწვევა, ცვლილებანი მცენარეთა და მწერების სამეფოში, კვლების დაბარება, დათესვა, დაკვირვება ნათესის ამოსვლაზე (თანდათანობით). მოგროვება სხვადასხვა თესლისა, ბოსტნეულისა, შემოდგომის ყვავილებისა. ბოსტნეულის და ნაყოფების კუთხეების მოწყობა ჯგუფებში. მიწის მომზადება ოთახის მცენარეებისათვის, მათი დარგვა. სხვადასხვა საგნების დამზადება გადანაყარი და ბუნების მასალიდან, თიხიდან. კოლექტიურ სამუშაოებში ჩაბმა. ექსკურსიების მოწყობა.

მოთხზ. გოტლიბის „Шурик в детском саду“.  
სიმღერა: მუსიკა ბიზესი (120 სმდ. კრებ.) „У ребят порядок строгий“ (უფრ. ჯგ.).  
მუსიკა რაჟესვერების (კრებ. „Октябры“) „Октябрыта“ (საშ. ჯგ.).  
მუსიკა რაჟესვერების (კრებ. „Солнышко“) „Ножками затопали“ (უმცრ. ჯგ.).

მოთხზ. „Бабушкин сад“. „Наш огород.“  
სიმღერა: მუს. კრუსი „Осень“.  
ღმესი „Осень кругом“ (ურზნლი „მურზილკა“ № 10 1928 წ.).  
მუსიკის მოსმენა: ჩაიკოვსკის „Осень“.

ძირითადი დამალორგანიზებელი მოძენები	მუშაობის ზოგადი შინაარსი და ფორმები	მ ა ს ა ლ ა
<p>3. მზადება ოქტომბრის რევოლუციისათვის და მისი ჩატარება.</p> <p>1/XI — 15/XI.</p>	<p>დღესასწაულის მნიშვნელობის გამოყენება. პლაკატების, კედლის გაზეთისათვის სურათების და დროების დამზადება. სიმღერების შესწავლა. კარბანაში მისვლა მუშების მოსაწვევად დღესასწაულზე. ბინის მორთვა. პიონერებთან ერთად მზადება დღესასწაულისათვის. დღესასწაულის ჩატარება მუშებთან, მშობლებთან, პიონერებთან, ოქტომბრელებთან (სკოლის 1-ლი ჯგ.) ერთად.</p>	<p>მოთბრ. გურიანის „Праздник“. სიმღერა: მუს. ფედორენკოსი „Призыв“. მუს. ფედორენკოსი „Октябрьская песня“.</p>
<p>4. ცოცხალი კუთხის მოწყობა ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით.</p> <p>15/XI — 1/XII.</p>	<p>დაკვირვება ბუნების მიხინებაზე; ხშირი წვიმა; ფოთოლცვენა; კუს დაძინება, ბაკაყის ჩაძვრომა მიწაში. ბინის მოწყობა ზღვის გოჭებისათვის, ბუნებისათვის. ყვავილების გადატანა ბოსტნიდან ოთახში. ცოცხალი კუთხის მომწვლილი კომისიის ორგანიზაცია. ინდივიდუალური და კოლექტიური მუშაობანი. „ტყე შემოდგომის დამღვეს“.</p>	<p>მოთბრობა მეკსინის „Как пятнашка нашла себе дом.“ სიმღერა: მუს. რაუტსვერგერის „Рыбка“ (უმცრ. ჯგ.) მუს. კიუის „Птичка“ (საშ. და უფრ. ჯგ.).</p>
<p>5. უფრ. ჯგ. საღურტლო კუთხის გაფართოება.</p> <p>1/XII — 10/XII.</p>	<p>ექსკურსია საღურტლო სახელოსნოში. ხის მასალის შეყენა დასამუშავებლად. იარაღის (ჩაჭურჩის, გაზის) ყიდვა. ინდივიდუალური და კოლექტიური სამუშაოები: თარო, ფიცარი იარაღისათვის, ყუთები ლურსმნისათვის.</p>	<p>სიმღერა: მუს. ალექსანდროვის „Пильщики“.</p>

<p>ძირითადი დამატორგანიზებელი მომენტები</p>	<p>მუშაობის ზოგადი შინაარსი და ფორმები</p>	<p>სიმღერა: მუს. ფედორჩენკოს „Волшебник“</p>
<p>5. საშ. ჯგ. ფრინველებისათვის საკენკის დასაყრდელის მოწყობა. 1/XII — 10/XII.</p>	<p>დაკვირვება ზამთრის ბუნებაზე, ფრინველებზე (ბელურები, ყვავები); მათი ცხოვრება. ფრინველებით-სათვის საკენკის დასაყრდელის მოწყობა. ფრინველებზე ზრუნვა. მორიგეების არჩევა.</p>	<p>მთხრობა მიტელის „Как Боря гулял по Нью-Йорку“ (ფურ. ჯგ.). მთხრ., ბარტოსი „Кто быстрее“ (საშ. ჯგ.). სიმღერა: მუს. გლინკასი „Автономия“.</p>
<p>6. ქუჩის მოძრაობაში გარემო. 10/XII — 20/XII.</p>	<p>დაკვირვება მოძრაობის სვებასზე საშუალებაზე. ქუჩაში მოძრაობის მოწყობა (მილიციელი). ტრეტუარებზე და ქვანოვზე მოძრაობის წესები. ინდივიდუალურად და კოლექტურად დამზადება საგნებისა გადანაყარი მასლიდან, მუყაოდან, ხიდან: მტლები, ტრამვაები, ავტომობილები, ქუჩა.</p>	<p>მუს. მუსორგსკის „Грузовик“ (13 რომ. თამაშ. კრებ.).</p>
<p>7. ზამთრის დღესასწაულის მოწყობა. 20/XII — 5/I.</p>	<p>დაკვირვება ზამთრის ბუნებაზე: თოვლი, ყინვა, საზამთრო თამაშობანი, გასართობები. ბინის სათანადოდ მოწყობა. დღესასწაულის ჩატარება.</p>	<p>სიმღერა: მუს. კრუსის „Зима“, მუს. გრენანინოვის „Мороз“, „Зайцы“. მუსიკის მოსმენა რიმსკი-კორსაკოვის „Снегурочка“-დან.</p>

მ ა ს ა ლ ა

ძირითადი დამატარებელი მომენტები

მუშაობის ზოგადი შინაარსი და ფორმები

8. სახლში სკოლამდელს კუთხის მოწყობაში მონაწილეობა ბავშვებისა.  
5/1 — 18/1

თავისი სათამაშოებისა და წიგნების მოწესრიგება მათი საბავშვო კერაში შეკეთების საშუალებით. ჩამოსაკიდებლისა და თაროს დამზადება სახლისათვის, ბაასი.

9. ლენინის კუთხის მოწყობა.  
18/1 — 21/1.

ლენინის ალბომის შედგენა: სურათების შერჩევა, ამოკრა და დაწებება. ჩაჩოს მორთვა. ბაასი ლენინზე. ლენინის ხსოვნის დღის აღნიშვნა.

10. ბინაში ბუნების კუთხის მოწყობა.  
21/1 — 10/II.

შემდეგი დაკვირვება ზამთრის ბუნებაზე. თოვლის, ყინულის თვისება. ორანჟერეის, სანერვის დათვლილება. ყვავილების ყიდვა და დარგვა საბ. კერაში. გამორკვევა სითბოს მნიშვნელობისა მცენარეებისათვის.

11. მუყაოს კოლოფების დამამზადებელი ქარხნის გაცნობა.  
10/II — 20/II

ქარხნის დათვალილება. მოზრდილთა შრომაზე დაკვირვება. მანქანით და ხელით მუშაობა. ნახული მუშაობისათვის მიბაძვა (კოლოფების დამზადება ქარხნიდან წამოღებული მასალიდან).

12. ბავშვების მონაწილეობა 8 მარტის დღის ჩატარებაში.  
20/II — 10/III.

დედებისათვის საჩუქრების დამზადება. ბინის მორთვა მწვანით, ყვავილებით, პლაკატებით. ქარხანაში მისულა მუშა-ქალების მოსამზადებლად დღესასწაულისათვის. დღესასწაულის ჩატარება პიონერებთან, დედებთან და მუშა-ქალებთან ერთად.

მთხზ. „Ленинский уголок“ წიგნ. „Ленин и дети“  
სიმღერა: „Любимая песня Ильича“ (1-ლი კუპლეტი).  
მუსიკის მოსმენა: შტენის „Похоронный марш“.

სიმღერა: მუს. შტრეიხერის „Фабричная работница“.

მ ა ს ა ლ ა

მუშაობის ზოგადი შინაარსი და ფორმები

ძირითადი დამორგანიზებელი მომენტები

მოთბრ. ბარტოსი „Толстуха купая“.  
 „Крылатая армия“ („მურზილკა“ № 5, 1928 წ.).  
 სიმღერა: მუს. რომეი-კორსაკოვის „Весенняя песня“.  
 მუს. რაუკსვერგერის „Солнышко“

მოთბრ. ბაგრიანტოვის „Ребятня выдумка“ — მურზილკა“ № 6 — 28 წ. (უფრ. ჯგ.)  
 „Как мы праздновали 1 мая“ (საშ. ჯგ.)  
 სიმღერა: მუს. ალექსანდროვის „1 мая“ (უფრ. ჯგ.)  
 მუს. ფედორჩენკოსი „1 мая“ (საშ. ჯგ.)

დაკვირვებუ ბუნების გაღვივებაზე. ბოსტნის კვლევის მომზადება დასათესად. კლუბების დამზადება ყვავილების დასათესად. ბოსტნეულის დათესვა. ნათესის ამოსვლაზე დაკვირვება. ხეების შემობარვა. ექსკურსიები.

1-ლი მაისის დღესასწაულის გაცნობა. დღესასწაულისათვის მზადება: დამზადება პლაკატებისა, მორთულობისა, კედლის გაზეთის მასალისა. დღესასწაულის ჩატარება.

ბავშვის მონაწილეობა ბოსტნის მოწყობაში მზისა და ჰერის აბაზანების მისაღებად. ბაასი ჯანმრთელობის დაცვაზე. შემოწმება (ბავშვის გამოკითხვითა და სახლში მიხედვით) სანიტარიისა და ჰიგიენის ჩვენების გადატანის სახლში. ჰაერისა და წვის აბაზანების და წყლის გადავლების გატარება. ჰაერზე ბუნებრივ მოძრაობათა რეგულიაცია.

13. ბოსტანში მუშაობის ორგანიზაცია. 10/III — 10/IV.

14. 1-ლი მაისის დღესასწაულის ორგანიზაცია და ჩატარება. 10/IV — 1/V.

15. მონაწილეობა ბავშვის გასაჯანსაღებელი ცხოვრების ორგანიზაციაში. 1/V — 20/VI.

საზოგადოებრივი-კულტურული მუშაობა.

საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობას აწარმოებენ პედაგოგიური საბჭო საბ. ბაღის მთელ საბჭოს აქტიური დახმარებით, განსაკუთრებით კი მისი საზოგადოებრივ-პედაგოგიური კონსოლის დახმარებით. მუშაობის ხაზები შემდეგია: მუშაობა მშობლებთან, პარზანაში, პიონერებთან, სკოლასთან. მშობლებთან მუშაობა სწავრობის ინდივიდუალური ბაზის, სახლში გამოკვლევის, საზოგადოებრივების საშუალებით. ნაგარაუდევია საზოგადოებრივ კრებებს ყოველთვიურად მოწვევა; თვითმული მათგანი შეიცავს საკითხებს: პედაგოგიურ-საზოგადოებრივ, სამედიცინოს და საორგანიზაციოს. როგორც ოჯახურ გარემოს ანალიზის შედეგი, მშობლებთან დასამუშავებლად აღებულია შემდეგი საკითხები: 1) ძველი ბავშვების ჯანსაღი აღზრდა; 2) სკოლამდელის კუთხისა და მისი თავისუფალი დროის ორგანიზაცია.

ამოცანები	შინაარსი	შედეგი
<p>1. „მოწყობა ოჯახში სკოლამდელის კუთხისა“. ამ საკითხის დამუშავების დროს საჭიროა შევინოთ დასჯის უსარგებლობისა და მშვიდობის საკითხი, აგრეთვე საკითხი ბავშვის ყოფაქცევში გადახრების შესახებ, რაც ოჯახურ გარემოს მოუწესრიგებლობის შედეგს წარმოადგენს.</p>	<p>მოხსენება, როგორც შედეგი ამ საკითხის დამუშავებისა სახლში. ბავშვის კუთხის უკონტროლო უარყოფითი მხარეები (იწვევენ დასჯას). მისი ორგანიზაციის მართვა და იაფი საშუალებანი. კუთხის მოწყობილობა. ორგანიზაცია მშობლებთან, როგორც შეისწავლის სოციალური აღზრდის საკითხებს. ნოემბერი.</p>	<p>გამოკვლევა ბავშვებთან და მშობლებთან ბაასით, სახლის დათვალიერებით (ბაღის საბჭოს საზოგ. პედაგ. კომისიის დახმარება). სანიმუშო კუთხის მოწყობა (ავეჯი, ჩამოსაკიდებელი, ყუთი. მასალები: გადანაკარი, საღმწმენბლო, ბუნებრივი).</p>

ამოცანები	შინაარსი	შეთადი
<p>2. სკოლამდელი ბავშვის თავისუფალი დროის ორგანიზაცია.</p>	<p>მობსენებები: 1. გამოკვლევის შედეგები— დეკემბერი. 2. თამაშობა და სათამაშო (სასარგებლო და მავნე სათამაშოები; რას წარმოადგენს თამაშობა ბავშვის ცხოვრებაში)—იანვარი. 3. რა წიგნი სჭირდება სკოლამდელს— თებერვალი. 4. როგორ და რით უნდა შეივსოს ბავშვის თავისუფალი დრო — აპრილი. 5. განმეორებითი გამოკვლევის შედეგები, მიღწევები ამ დარგში — ივნისი.</p>	<p>„აუთზის“ გამოკვლევასთან ერთად მიმდინარეობს ბავშვის თავისუფალი დროის გამოკვლევაც; როგორ ატარებს დროს სახლში, დაიარება თუ არა კინოში, აქვს თუ არა წიგნები, სათამაშოები და როგორი და სხვ. თვითეული მოხსენებისათვის ეწყობა განიფენა: 1) სასარგებლო და მავნე სათამაშოებისა. 2) სასარგებლო და მავნე წიგნებისა. გამოიკიდება მოწონებული წიგნების სია. დედებისათვის მოეწყობა პატარა ბიბლიოთეკა სხვადასხვა პედაგოგიურ საკითხებზე.</p>
<p>3. სანიტარულ-ჰიგიენური ჩვენების გადატანა ოჯახში.</p>	<p>იხ. ექიმის მუშაობის გეგმა.</p>	
<p>4. მიღწევანი ოქტომბრის 11 წლის თავისათვის.</p>	<p>მობსენება — ოქტომბერი</p>	
<p>5. მუშა-ქალის დღე და სკოლამდე აღზრდა.</p>	<p>მობსენება — მარტი.</p>	
<p>6. 1-ლი მასი.</p>	<p>მობსენება — მაისი.</p>	

## ქარხანაში მუშაობა

1. გაცნობა კულტკომისიისა და ქალთა კომისიისა მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საკითხებთან დაკავშირებით და მათთან კავშირის გაბმვა.

2. სკოლამდე მუშაობის პროპაგანდა საქარხნო ორგანიზაციებში; ქარხნოში, კულტკომისია, ქალთა კომისია.

3. ექსკურსიების მოწყობა საბავშვო ბაღში — 8/III და წლის დასასრულს სააღრიცხვო გამოფენის დასათვალიერებლად.

4. საერთო დღესასწაულების მოწყობა.

5. კერაზე მიმაგრებულთა მოხსენებანი სადღეღვატო კრებებზე.

6. კედლის გაზეთში მონაწილეობა.

საბავშვო ბაღის საბჭოს მუშაობა ტარდება ორ კომისიაში:

თვით საბჭო მოისმენს კერის და კომისიების გეგმებს და ანგარიშებს, აწარმოებს ბავშვების მიღებას, აწესრიგებს დაწესებულების მთელ ცხოვრებასა და მუშაობას.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო კ ო მ ი ს ი ა :

1. ზრუნავს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე: გააწერს მშობლებს გამოსაღებს, მართავს კინოს.

2. ზრუნავს ბინის საკითხზე ან ახლის მოძებნით ან ძველის შეკეთებით.

3. კვების დარგში: იმუშავენს მენიუს (ექიმთან ერთად), ყიდულობს პროდუქტებს.

4. აწყობს დღესასწაულს.

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ე დ ა გ ო გ ი უ რ ი კ ო მ ი ს ი ა :

ვინაიდან ამ კომისიის შემადგენლობაში შედიან საქარხნო ორგანიზაციების და სკოლის წარმომადგენლები, იგი ამ დაწესებულებებთან დაკავშირებულ რგოლს წარმოადგენს. მისი საშუალებით ეცნობა ქარხანა სკოლამდე მუშაობას, მისი საშუალებით მუშავენს საკითხები საერთო დღესასწაულების შესახებ, ეწყობა, ექსკურსიები საბავშვო კერაში და სხვ.

მ. გოლოვკოვა.

## სკოლის ასაკამდე აღზრდისათვის.

წინადადების სახით

საბჭოთა სახელმწიფო, რომელსაც ამჟამად გარდამავალ ხანაში უხდება მუშაობა საუკეთესო მერმისის შესაქმნელად, უდიდეს ყურადღებას ახალი თაობის აღზრდას აკუთვნებს. ეს საფასებით სწორი არის, რადგან კაცობრიობის სანეტარო სოციალიზმის და კომუნიზმის დამყარება მხოლოდ ახალ ადამიანს შეუძლია, ეს უკანასკნელი კი შესაფერი აღზრდით უნდა შეიქმნეს. რევოლუცია პოლიტიკურ წყობილებას სწრაფად სცვლის. ეკონომიური დოვლათის შექმნაც; შედარებით კულტურულ დონესთან, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ ყოფა, შეგნება, ახალი ფსიქიკის ჩამოყალიბება, რაც ეკონომიური მდგომარეობის შედეგია, ნელ-ნელა ყალიბდება, თანდათან მტკიცდება და ახალ ფორმებში ისახება. რომ დაჩქარდეს ახალი ადამიანის შექმნა, საჭიროა შესაფერი პარობების შექმნა და ხელის შეწყობა. ჩვენი ქვეყანა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკური მონობის და ეკონომიური სიღატაკის სიმწვავეს განიცდიდა, ცხადია, კულტურულადაც მეტად ჩამორჩენილი იყო. ტალახი, ქუჩუკი, უფიცობა, ცრუმორწმუნეობა, კერძო საკუთრების ნიადაგზე წარმოშობილი შური, მტრობა, ვიწრო ინდივიდუალიზმი, ეგოიზმი, ტაცება, ყვლეფა და სხვა მეშინური დაწვრილმანება ჩვენი ხალხის თვისებად გადაიქცა. ექვს გარეშეა ასეული წლობით განმტკიცებული თვისებანი რამდენიმე დღისა და თვის განმავლობაში ვერ შეიცვლება. ადამიანის შეგნება, შემეცნება უნდა გარდაიქმნეს, მაგრამ ამისათვის საჭიროა დრო და დაუღალავი მუშაობა. პროფკავშირები, საბჭოები, სხვადასხვა ორგანიზაციები და საზოგადოებრივ ასპარეზზე მუშაობა ხელს უწყობს ახალი ყოფის შექმნას, მაგრამ სკოლას კი, რომელმაც უნდა აღზარდოს მოქალაქე, ახალი ადამიანი, ჩვენ უმთავრეს ყურადღებას ვაქცევთ და მის წინსვლას მუშათა კლასის მზრუნველი თვალი არ შორდება.

შეუძლია თუ არა სკოლას შეასრულოს ის დიდი ამოცანა, რომელიც დაკისრებული აქვს, თუ მის კედლებში ბავში მხოლოდ 8 წლიდან მოხდება? ამხ. ლუნაჩარსკი ამბობს: „Ей (школе) приходится биться, при её ещё слабых воспитывающих силах над почти готовым человеческим экземпляром“ (ხაზი ჩვენია. ნ. დ.). მეორე ადგილას: „...после восьми лет в три года не сделаешь того, что можно сделать в полгода с шестилетним ребёнком“. (ხაზი ჩვენია. ნ. დ.) და მართლაც ბავში დაბადების დღიდანვე განიცდის ოჯახის გავლენას, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, ჯერ კიდევ ვერ გასცილებია

ძველი ტრადიციების და ჩვეულებათა ხლართს. აქედან იწყება ჩვენი ახალი თაობის დამახინჯება. იმავე ლუნაჩარსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „жизнь дает вначале бесформенное человеческое существо, коллоидальное в психическом отношении, т. е. готовое принять любую форму... но потом с каждым годом этот коллоидальный психо-организм покрывается твердой корой... чтобы изменить его форму, надо болезненно ломать его“... ეს უდაო კემარიტება ჩვენთვის, მასწავლებელთათვის, კარგად გასაგებია, რადგან სკოლის მუშაობის დიდი ნაწილი უმთავრესად ძველის, უკვე შეთვისებული ალმოფხვრას უნდება. წრე უდიდესი სკოლაა ადამიანისთვის და მით უმეტეს ბავშვისთვის, რომელიც წრის თარგით იჭრება და იკერება. დღევანდელ პირობებში ახალი სკოლა ებრძვის ძველი ოჯახის ტრადიციებს, მაგრამ იმდენად ძნელია ეს ბრძოლა, რომ ჯერ-ჯერობით თვალსაჩინო შედეგებს ვერ ვხედავთ.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ახალი ადამიანი შეიქმნეს? ბავში დაბადებიდანვე თუ არა, 2-3 წლიდან ოჯახს უნდა მოშორდეს და სახელმწიფოს მიერ მოწყობილ ბავშთა კერებში, ბაგებში და ბაღებში იზრდებოდეს. ეს დებულება ჩვენი ხელისუფლებისათვის უდავოა. მაგრამ სავალალო ის არის, რომ ჩვენი კავშირი მეტად ნორჩია, მას დაბადებიდან მხოლოდ 11 წელი შეუსრულდა, წლები “შიმშილის, ომების, განადგურებული მეურნეობის და ცალიერ ხაზინის აღდგენა-შევსების. ისტორიისათვის ათი-თერთმეტი წელი წვეთია ზღვაში! თუმცა ჩვენივე თვალით ვხედავთ საბჭოთა რესპუბლიკების სასწაულებრივ მეტამორფოზას, მაგრამ სოციალიზმის უდიდესი მოთხოვნა—ბავშვების დაბადებიდან დავაჟკაცებამდე სავსებით სახელმწიფო ხარჯზე აღზრდა ჩვენთვის ჯერ კიდევ იდეალია. სახელმწიფოს ჯერ არ შეუძლია ბავშვების სრულიად თავის ხარჯზე აღზრდა, საამისოდ მას ჯერ არ გააჩნია ქონებრივი დოვლათი. ნიშნავს ეს თუ არა, რომ მან (სახელმწიფომ) ხელი უნდა აიღოს ბავშვების აღზრდაზე თავის კონტროლის დაწესებაში? არამც და არამც. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ბავშვების 100% მიიღოს სასკოლო აღზრდა. ამ საქმეში სახელმწიფოს უნდა დაეხმარონ როგორც დაწესებულებანი, ისე ნებაყოფლობითი ორგანიზაციები და კერძო პირები. ამ მხრივ ნაბიჯი უკვე გადადგმულია. კოოპერატივები, საზოგადოებანი ხსნიან ბაგებს, კერებს, ბაღებს, მაგრამ მათი რიცხვი ისე მცირეა, რომ ისინი ვერ აკმაყოფილებენ ჩვენი მოთხოვნილებების  $\frac{1}{100}$  ნაწილსაც კი. საჭიროა ამ ხაზით მუშაობის გაცხოველება, გაშლა და სხვა ზომების გამონახვა. ჩვენში ერთი აზრი ძალიან ფეხ-

მოკიდებულია:—წარმოებაში ჩაბმული, დაზგასთან მომუშავე მშობლების შეილები პირველ რიგში უნდა ეწყობოდენ საბავშვო დაწესებულებებში,—ეს უდავოა და მას მტკიცება არ სჭირდება. მაგრამ არ უნდა ვიფიწყებდეთ იმ ბავშვებსაც, რომლებიც ცოტად თუ ბევრად უკეთეს ქონებრივ პირობებში იზრდებიან. საბჭოთა და თავისუფალ პროფესიის მქონე მოსამსახურეების, ზოგი პარტიული მუშაკების და სპეციალისტების შეილები ხშირ შემთხვევაში ოჯახის ქალის—დედის—მზრუნველობის ქვეშ იზრდებიან. ნიშნავს ეს, რომ ბავში კარგი აღმზრდელის ხელშია? არა! აღზრდის იდეოლოგიური მხარე დიდ კრიზისს განიცდის. უმრავლეს შემთხვევაში ოჯახში დარჩენილი დედა ძალზე დაშორებულია სახელმწიფოს მიერ გადასაჭრელად დასახულ ამოცანებს. ტრადიციული მეშჩანური რუტინა, რომელიც ჩვენთვის ასე საშიშია, სწორედ მყუდრო და უზრუნველყოფილი ოჯახის ფანჯრებიდან გამოიციქირება უტიფრად. ჩვენ ვიცით, ოჯახის ქალის ყოფა ჯერ რამდენად ჩამორჩენილია და რაგვარ შალაშინს მოითხოვს, ეს თანდათან მოხდება, რევოლუციის ქურას გაუქვდავი არც ერთი კუნძული არ გადაურჩება, მაგრამ მანამ ჩვენი ახალი თაობა ზომ აწი იცდის, ის იზრდება, ინაკვთება და ცხოვრებაში გამოდის!

ვინ ზრდის ამ ბავშვებს? თუ ცოტაოდნავ ოჯახი უზრუნველყოფილია, ძველი „мадам“-ები, „ბონები“ თვისი მორალით, მანერებით და მსოფლმხედველობით. ამგვარ „აღზრდაზე“ მშობლების დიდი ფული იხარჯება და, რაც მთავარია, ეს აღზრდა სახელმწიფო კონტროლის გარეშეა. სახელმწიფოს არ აქვს საკმაო რიცხვი სკოლის ასაკამდე დაწესებულებებისა, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, თითქოს ის ბავშვები, რომლებიც დაწესებულებებში არ არიან, „აღზრდელი“ რჩებოდენ. იმათი აღზრდა ენდობა (მშობლების მიერ) საექვო პირებს, იხარჯება აუარებელ თანხა და აუცილებელია ამ თანხების რაციონალურად გამოყენება. ამისათვის საჭიროა განსახკომმა გახსნას ისეთი საბავშვო დაწესებულებანი, სადაც ბავში მიიღებს, ყოველგვარი ფუფუნების გარეშე, კოლექტიურ, ფიზიკურ, გონებრივ და ესთეტიურ აღზრდას. ამისათვის საჭიროა მშობლებმა გაიღონ გადასახადი თავისი შეილების აღსაზრდელად, იმ მშობლებმა, რომლებიც მაინც იხდიან გადასახადს სახელმწიფოსათვის მავნე იდეების გასავრცელებლად. გადასახადით მოარსებე ბალები არაფრით არ უნდა განირჩეოდეს იმ ბალებიდან, რომლებიც სახელმწიფო ხარჯზე არსებობენ. კოლექტიური სულისკვეთებისათვის კიდევ უკეთესი იქნება, თუ ასეთი ბალები ცალკე კი არ იარსებებს, არამედ ფულის გადამხდელი ბავშვები ისწავლიან რაიონულ საბავშვო ბალებ-

ში. ეს განტვირთავს საბავშვო ბალებს ქონებრივად უკეთეს პირობებში მყოფი ბავშებისაგან, რომელთა ხარჯზე აღიზრდებიან მუშათა შვილები, ნიადაგი გამოეცლება ბონების და მადამების დრომოჭმულ ინსტიტუტს და, რაც მთავარია, ჩვენი ახალი თაობის დიდი ნაწილი გაივლის სასკოლო ასაკამდე აღზრდას, რაც დიდად შეუწყობს ხელს ახალი ადამიანის შექმნას.

ნ. ძიძიგური

## მათემატიკა ჩვენს სკოლაში.

ყოველი პატიოსანი მოქალაქის სურვილია ჩვენი ქვეყნის სახალხო განათლების უმაღლეს დონეზე დაყენება, ხოლო, კერძოდ, ყოველი მათემატიკოსის სურვილი უნდა იყოს, რომ ჩვენს სკოლაში მათემატიკას მიკუთვნებული ჰქონდეს ის ადგილი, რომელიც მას საერთოდ უჭირავს სხვა მეცნიერებათა შორის.

მათემატიკის სწავლების უმთავრესი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ამ მეცნიერების შესწავლის დროს, უმეტეს შემთხვევაში, როგორც მასწავლებლები და, ცხადია, მოწაფეებიც, ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორ უნდა სრულდებოდეს ესა თუ ის მათემატიკური მოქმედება და არ უწყევენ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ მათემატიკური მეცნიერების ყოველგვარი დებულების შესწავლის დროს მთავარი საკითხი არის „რატომ“ და მხოლოდ ამის შემდეგ კი — „როგორ“.

თუ საერთოდ მეცნიერების მიზანია იმ ფარდობათა და დამოკიდებულებათა გახსნა, რომელნიც არსებობს, ერთის მხრივ, ბუნებაში ჩვენს გარშემო არსებულ საგნებს შორის და; მეორეს მხრივ, ამ საგნებსა და ჩვენს შორის, და ამ მიზნის მიღწევისათვის მეცნიერება ყოველ ნაბიჯზე სვამს საკითხს: „რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა ასე და არა სხვანაირად“, მით უმეტეს მათემატიკოსი, რომელიც ყველაზე უფრო სუსტი მეცნიერებითაა დაინტერესებული, უნდა არაკვევდეს საკითხს: „რატომ იღებს მათემატიკური დებულება ასეთ სახეს და არა სხვანაირს“ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს საკითხი სავსებით ამოწურული იქნება, უნდა დაისვას ახალი საკითხი, თუ როგორ უნდა იქნეს პრაქტიკულად გამოყენებული ჩვენს მიერ დამტკიცებული დებულება.

ჩვენს სკოლაში კი უმეტეს შემთხვევაში საკითხი „რატომ“ მათემატიკურ დებულებათა შესწავლის სფეროდან განდევნილია. ნათქვამის დასახასიათებლად მოვიყვანოთ სულ უბრალო მაგალითები:

ჩვენი მოწაფე ადვილად გეტყვისთ თქვენ წილადების გამრავლება-გაყოფის წესს, გეტყვისთ, თუ როგორ უნდა მოახდინოს აღნიშნული მოქმედებანი წილადებზე, მაგრამ საკმარისია შეეკითხოთ: რატომ იქცევით ასე და არა სხვანაირად, გამრავლების დროს „რატომ ამრავლებთ მრიცხველს მრიცხველზე, ხოლო მნიშვნელს მნიშვნელზე, ანდა გაყოფის დროს რატომ ხდება გადამრავლება ჯვარედინად“, რომ ის უკვე დაიბნევა და პასუხს ვეღარ გაგცემს.

ჩვენი მოწაფე ადვილად გეტყვისთ და კარგადაც ახსოვს მას, რომ ალგებრაში ორი რიცხვის ერთმანეთზე გამრავლება-გაყოფის დროს ერთნაირი ნიშნები იძლევა დადებითს ნიშანს, ხოლო სხვადასხვა კი—უარყოფითს. მაგრამ სცადეთ და შეეკითხეთ ჩვენს მოწაფეს, რატომ ხდება, რომ უარყოფითი რიცხვების ნამრავლი დადებითი გამოდის, და მოწაფე თქვენ პასუხს ვერ გაგცემსთ, თუმცა დასძინს, რომ „მეც მიკვირს—წაგება წაგებაზე მრავალდება და მოგება გამოდისო“. სამწუხაროა, რომ მოსწავლეს ასეთი წარმოდგენა ექნეს გამრავლებაზე. ეს კიდევ ცოტაა... თუ გაუშეორეთ კითხვა და დაუჩინებთ მოითხოვეთ ახსნა-განმარტება, ის გიპასუხებსთ, რომ მასწავლებელმა გვითხრა—წესი არის ასეთიო, და ჰკონია, ვითომ ესა თუ ის მათემატიკური დებულება ან წესი ციდან ჩამოვარდნილიყოს გამზადებული.

განტოლებათა ამოხსნაც, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელს მათემატიკაში, მექანიკურად ხდება უმეტეს შემთხვევაში და განტოლებათა თეორია ზერელედ ისწავლება. განტოლებათა გეომეტრიულ ინტერპრეტაციაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

ლოგარითმებიდანაც მოწაფემ იცის, რომ უარყოფით რიცხვს ლოგარითმი არა აქვს, მაგრამ რატომ არა აქვს, ეს კი აღარ იცის.

და მათემატიკურ დებულებათა დიდი უმრავლესობა ასე ისწავლება. ეს კი დიდ გაურკვეველობას ბადებს, ხოლო გაურკვეველობა არის იმის მიზეზი, რომ ძველსა და ახალ მასალას შორის წყდება ძაფი და მოწაფე იძულებს მათემატიკას. ამის გამო არა თუ მარტო მოწაფეები, მათი მშობლებიც კი მწყურალად არიან განწყობილი მათემატიკისადმი და ყველაზე მეტი საყვედური და სამდურავი ხვდება ისევ მათემატიკის მასწავლებლებს.

კერძოდ, რაიც შეეხება გეომეტრიას, რომელიც მათემატიკური ანალიზის დებულებათა გამოყენების ყველაზე უფრო ფართო არეს წარმოადგენს, აქ მოწაფეებს დაზვიანებული აქვსთ მხოლოდ თეორემები და უმრავლესობას წარმოდგენაც კი არა აქვს იმაზე, რომ ამ თეორემების გამოყენებით შესაძლოა და აუცილებლად საჭიროა გე-

ომეტრიულ ამოცანათა გადაწყვეტა<sup>1)</sup>. ეს კი ზოგიერთი ჩვენი სასწავლებლის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ტრიგონომეტრიაშიც მოწაფეები მოისუსტებენ განტოლებათა გადაწყვეტაში და განსაკუთრებით არ იციან პასუხების ზოგადი სახით გამოხატვა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში არ ექცევა ყურადღება სახელმძღვანელოებს და ალგებრა—ტრიგონომეტრიის შესწავლა ხდება კლასში ნაკარნახევი და ჩაწერილი კონსპექტების მიხედვით, კონსპექტით მეცნიერების სწავლა კი, ცხადია, ვერ გამოიღებს ამ მეცნიერებაზე დახარჯული დროისა და ენერჯიის შესაფერ ნაყოფს.

საჭიროა, რომ მათემატიკური მეცნიერების შესწავლის დროს ისწავლებოდეს ამ მეცნიერების განვითარების ისტორია და მისი მნიშვნელობა კაცობრიობისათვის.

ეს მეტად მცირე შენიშვნებია და, ვფიქრობ, საჭიროა მათემატიკის სწავლებაში არსებული ყოველგვარი დეფექტის დაუყოვნებლივ გამოსწორება. საჭიროა, რომ მათემატიკის მასწავლებელნი იყონ დაინტერესებული ჩვენი მათემატიკის აღორძინებით; ისინი უნდა აინტერესებდნენ ამ მეცნიერებით მოსწავლე ახალგაზრდობას, რისთვისაც საჭიროა მათემატიკური მასალის არა მშრალი გადაცემა, არამედ ცოცხალ ფორმებში ჩამოყალიბება, მაგალითების ცხოვრებიდან ამოღება და მათემატიკურ დებულებათა ცხოვრებასთან დაახლოება, ცხოვრების არეზე გაშლა.

და თუ მათემატიკის შესწავლა იწარმოებს ისე, როგორც ეს საჭიროა და გათვალისწინებულიცაა ჩვენი სკოლის პროგრამით (რომელიც უეჭველად უნდა სრულდებოდეს 100 %ით), მაშინ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა დარწმუნდება იმაში, რომ არ შეიძლება მოძებნილ იქნეს ენა მათემატიკურ ენაზე უფრო უნივერსალური, იმაზე უფრო თავისუფალი შეცდომებისა და ბუნდოვანებისაგან, ე. ი. იმაზე უფრო ღირსეული ბუნების საუკუნოებრივი კანონების ჩამოყალიბებაში. მათემატიკის სწავლების სათანადო დონეზე დაყენებით დარწმუნდება მოსწავლე ახალგაზრდობა, რომ მათემატიკის არც ფართოა ისე, როგორც თვით მსოფლიო, რომ მათემატიკას ხელთ უჭირავს ყოველი ფარდობანი დროის, სივრცის, ძალების. მათემატიკის საფუძვლიანად შესწავლით მოსწავლე დარწმუნდება, რომ მათემატიკა,

<sup>1)</sup> რედაქცია არ იზიარებს ავტორის ასეთ პესიმისტურ თვალსაზრისს მათემატიკის დაყენებაზე ჩვენს დღევანდელ სკოლაში.

მართალია ნელა, მაგრამ თანდათანობით იპყრობს ბუნებას და მის მიერ ჩამოყალიბებულ კანონებს მუდმივი და ურყევი ხასიათი აქვს.

მათემატიკის სწავლების დროს ყოველი მასწავლებელი უნდა ცდილობდეს მოსწავლის არსებაში ღრმად გაიდგას ფესვები იმაზე, რომ მათემატიკის დამახასიათებელი თვისება გარკვეულობაა, რომ მათემატიკას არა აქვს ბუნდოვანი ცნებებისათვის სიმბოლოები. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველა მეცნიერებასთან შედარებით მათემატიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რომელსაც სხვა დარგის არა ერთი და ორი წარმომადგენელი შენატრის, მართლაც, რომელია მეცნიერების ისეთი დარგი, რომელიც თავისი დებულებების ჭეშმარიტების ღირებულებაში შეედრებოდეს მათემატიკას?

საჭიროა ყოველივე ეს კარგად ესმოდეს მოსწავლეს, გათვალისწინებული ჰქონდეს, რომ მათემატიკა ბუნების ნამდვილი ლოლიკაა, რომ თანამედროვე ტექნიკის გიგანტური ნაბიჯებით წინსვლა მათემატიკურ დებულებათა ნაყოფიერი გამოყენების შედეგია. ამავე დროს საჭიროა მოსწავლეს ექნეს ნათელი წარმოდგენა იმაზე, რომ ყოველი მეცნიერული მეთოდის უმთავრესი დანიშნულება და მიზანია— მოახდინოს ადამიანის აზროვნების მუშაობის ეკონომია. ეს მიზანი კი ყველაზე უფრო მიღწეულია მათემატიკურ მეთოდში მისი სიმბოლიური ანალიზის საშუალებით. ამიტომ საჭიროა მოსწავლე კარგად იცნობდეს მათემატიკურ მეთოდს, რომელიც ჰქმნის მათემატიკას არა მარტო უნივერსალურ მეცნიერებად, არამედ კვლევა-ძიების ძლიერ იარაღადაც. სამწუხაროდ, ამ საკითხს ჩვენს სკოლებში მასწავლებლები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას.

განსაკუთრებული მოვალეობა აქვთ დაკისრებული ჩვენი პირველი საფეხურის სკოლის მასწავლებლებს, ვინაიდან მათ ხელში იწყება არითმეტიკის შესწავლა. არითმეტიკის საფუძვლიანად ცოდნაზე კი დამოკიდებულია მათემატიკის შემდეგი საფეხურების შესწავლა.

და სწორედ აქ მოიკოჭლებს საქმე. ეს იმიტომ, რომ პირველი საფეხურების სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობა არ არის გარკვეული მათემატიკის პრინციპებში, არა აქვს გათვალისწინებული ის ძაფი, რომელზედაც, როგორც მძივები, ისე აცმული მათემატიკური დებულებანი. ხელის შემშლელად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ მეორე საფეხურის ზოგიერთ სკოლაში მათემატიკის სწავლება მინდობილი აქვსთ საშუალო სასწავლებელშივე კურსდამთავრებულ პირებს, რომელთაც არავითარი წარმოდგენა არა აქვსთ უმაღლეს მათემატიკაზე. ცხადია, ასეთი პირები ვერ იქნებიან გარკვეული მათემატიკის პრინციპებში და ვერც მოსწავლეთა შეკითხვებს გააოკვევენ, როგორც ეს საჭიროა.

კრელო.

## როგორ შევასწავლოთ ოთხწლედში ადამიანი.

სადისკუსიოდ

ადამიანის სხეულის ანაგობისა და მუშაობის საკითხების დამუშავების დროს ოთხწლედში ჩვეულებრივ ორ მთავარ შეცდომას უშვებენ: ჯერ ერთი, ყველა ცნობას ადამიანის შესახებ აჯგუფებენ ერთ დამოუკიდებელ თემაში „ადამიანი“, რომელსაც იმუშავებენ მთელი დანარჩენი კომპლექსური მასალისაგან განცალკევებით ან და სუსტად უკავშირებენ მას სიტყვიერად; მეორე—ამ თემას იმუშავებენ მეთოდურად არასწორ საშუალებით—სიტყვიერ-წიგნური გზით და იყენებენ, ისიც მხოლოდ უკეთეს შემთხვევაში, კედლის თვალსაჩინო ტაბულებს.

ორივე ეს ნაკლი შედეგია ერთისა და იმავე მიზეზისა: განცუბული მიდგომისა ადამიანისადმი, როგორც შესწავლის ობიექტისადმი.

ჩვენი მასწავლებელი თანდათანობით ეჩვევა პროგრამის თემებისადმი მხარეთმცოდნეობითს მიდგომას: იგი ასწავლის ბავშბს ათა ქალაქს თუ სოფელს „საზოგადოდ“, არა შრომას „საზოგადოდ“, არა შემოდგომას „საზოგადოდ“, არამედ საკუთარ ქალაქს (თუ სოფელს), გარშემო მყოფი მოსახლეობის შრომას, შემოდგომას საკუთარ სოფელში. მაგრამ იმავე დროს მას უცნაურად და ახირებულად არ ეჩვენება „ადამიანის“ შესწავლა გარემო სინამდვილესთან ყოველგვარი კავშირის გარეშე, რომელიდაც აბსტრაქტული ადამიანის შესწავლა, რომელიც კედლის ტაბულაზე ან წიგნის გვერდზეა გამოსახული, და არა გარკვეული, კონკრეტული ადგილობრივი ადამიანისა მისი მოთხოვნილებებით, მისი ჯანსაღობა-ავადმყოფობებით, მისი მუშაობით, მისი ცრურწმენებით. სასკოლო მუშაობის ამ მნიშვნელოვან პუნქტში ძველ მეთოდებს ჯერ ისევ ტყვეობაში ვყევართ.

ოთხწლედის ახალი პროგრამების მიხედვით „ადამიანის“ შესწავლას არა აქვს თვითმკმარი მნიშვნელობა, არამედ დაქვემდებარებულია უფრო ზოგადი ქვეთემებისათვის („ჯანსაღობისათვის აუცილებელი პირობები“, „კვება“, „ტანსაცმელი“), რომლებიც შედიან თემაში „ჩვენი სოფელი“. მასალის ასეთი კონსტრუქცია მოითხოვს, რომ განყოფილება „ადამიანის“-ს ძირითადი მომენტი და ღერძი იყოს მხარეთმცოდნეობითი შესწავლა მოცემული რაიონის საზოგადოებრივ-ჰიგიენური პირობებისა.

საკითხს სწორე გადაწყვეტილად ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩავთვლით, თუ საზოგადოებრივ-ჰიგიენური მომენტები მხოლოდ ემა-

ტება, ეწებება ანატომიურ-ფიზიოლოგიურ მასალას. პირიქით, გაცნობა, მაგალითად, სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევისა უნდა გამომდინარეობდეს რაიონის საბინაო პირობების შესწავლიდან და უნდა მთავრდებოდეს სკოლის საზოგადოებრივი ძუშაობით ამ პირობების გაუმჯობესების დარგში, როგორცაა: პროპაგანდა სიტყვით და საქმით ბინის ყოველდღე დასუფთავებისა, ჰაერის გაწმენდისა, ბავშვისათვის ცალკე საწოლების მოწყობისა, ქალაქებსა და სოფლებში მწვანე მოედნის გადიდებისა და სხვ.

საქმლის მომწელებელი ორგანოების შესწავლის აუცილებლობა უნდა გამომდინარეობდეს იმ საკითხის დაყენებიდან, თუ როგორ იკვებება ადგილობრივი მოსახლეობა, და უნდა მთავრდებოდეს ისევე საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომით ოჯახებში ჰიგიენური ჩვევების შესატანად, მაგალითად: ჭამის წინ ხელის დაბანვა, თვითულისათვის ცალკე ქურჭელი, ცალკე პირსახოცი, ბუზებისაგან საქმლის დაცვა და სხვ.

ადგილობრივი მოსახლეობის შრომის სახეების შესწავლა იწვევს მოძრაობის ორგანოების—ჩონჩხისა და კუნთების— გაცნობის აუცილებლობას.

აი როგორი უნდა იყოს პროგრამების ანატომიურ-ფიზიოლოგიურ მასალისადმი მიდგომა.

საქმის ასე დაყენებით შეგვეძლება მივალწიოთ: ბავშთა შეგნებულ დამოკიდებულებას საკუთარი სხეულის მოთხოვნილებისა და სისალისადმი, შეგნებულ დამოკიდებულებას თავისი რაიონის მშრომელთა მოთხოვნილებებისა და სისალისადმი, მისწრაფებას ცხოვრებისა და შრომის ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისადმი, მოსწავლეთა მიერ კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების შეძენას, კულტურისათვის მავნე რელიგიურ ცრურწმენათა მოსპობას.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ამნაირად აგებული კურსის გავლა არავითარ შემთხვევაში არ მოხერხდება წიგნური ან სიტყვიერი გზით. ამ შემთხვევაში ერთადერთ გამოსადეგ მეთოდს კვლევითი მეთოდი წარმოადგენს.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ კვლევითი ხასიათის რამდენიმე თემა.

1. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა საღი ბანა. რგოლები იკვლევენ ადგილობრივ მცხოვრებთა ზრუნებს შენობის მასალის, ჰაერის კუბატურის, ვენტილიაციის, გათბო-

ბის წესების, სინათლის რაოდენობის და სისუფთავის დაცვის თვალსაზრისით <sup>1)</sup>).

ქალაქში გამოიკვლევენ მუშათა კომუნალურ სახლს და არკვევენ მის სანიტარულ პირობებს. გამოჰყავთ სათანადო დასკვნები, შეჩერდებიან სუნთქვისათვის მანევ პროფესიებზე (მბეჭდავები, ზეინკლები—ლითონის მტვერი; ქვის მთლელები, მლესავეები, მემალაროეები, ქუჩის მომკირწყველელები—მინერალური მტვერი; მატყლის მპენტავეები, ჯაგარების მკეთებლები, მენახშირეები, თამბაქოს ქარხნის მუშები --ორგანიული მტვერი და სხვ.). არკვევენ ღონისძიებებს შრომის დაცვის დარგში. ამის შემდეგ ან ამასთანავე ერთად არკვევენ მისაწვდომ საშუალებებს ბინების გაუმჯობესებისათვის ამ მხრივ და ამით სწარმოებს ადამიანის სასუნთქი აპარატის, სუნთქვის პროცესის გაცნობა. ბავშვები ათვალეირებენ ცხერის ან ხბოს ფილტვებს, ითვლიან თავის სუნთქვითი მოძრაობის რიცხვს წუთში, სპირომეტრის საშუალებით ზომავენ ამონასუნთქი ჰაერის მოცულობას, ანგარიშობენ ამონასუნთქი ჰაერის რაოდენობას ერთ საათში, დღე-ღამეში, ზომავენ მკერდის მოცულობას ამოსუნთქვა-ჩასუნთქის დროს. წიგნიდან ან ექიმისაგან იგებენ საასაკო ნორმებს, ებასებთან ექიმს ვარჯიშობის საშუალებით ფილტვების განვითარების შესახებ, საუბრობენ ფილტვების ავადმყოფობათა (ტუბერკულოზი) შესახებ, ხაზავენ დიაგრამებს ამ ავადმყოფობათა გავრცელების დასასურათებლად.

**2. კვების საკითხები.** არკვევენ, რითი იკვებება ადგილობრივი მოსახლეობა. ეცნობიან კვების ნორმებს ზოგიერთი უმთავრესი პროფესიებისათვის. გამოჰყავთ დასკვნები, თუ რამდენად წესიერი ან არაწესიერი კვებაა მათ რაიონებში. არკვევენ, არანორმალობებს, რომლებიც კვებას თან სდევს: ჰამის წინ ხელების დაუბანელობას, ბუზებისაგან საჭმლის გაბინძურებას და სხვ. აწყობენ ექსკურსიას კომუნალურ სასადილოში, თუ ასეთი არის, არკვევენ მის უპირატესობას ჰიგიენური, ეკონომიური და საზოგადოებრივი მხრით და, მაშასადამე, საზოგადოებრივი სასადილოების მნიშვნელობას ახალი ყოფაცხოვრებისათვის. ამასთანავე ეცნობიან საკვებ პროდუქტებს, სამზარეულოში საჭმლის მზადების წესს, საჭმლის მომწებელი ორგანოების მუშაობასა და აგებულობას, დაწყებული პირის ღრუდან.

<sup>1)</sup> ჰაერის კუბატურის ნორმად მიღებულია: 20 კუბ. მეტრი მოხრდილთათვის და 10 კუბ. მეტრი ბავშვთათვის ბინებში და 7,5 კუბ. მეტრი კლასში. ფანჯრების სინათლის ზედაპირის მიმართება იატაკისადმი უნდა იყოს 1:12-დან 1:8-მდე. ჰაერის საუკეთესო ტემპერატურა საცხოვრებელ ოთახებში არის 12°-14°, სახელოსნოებში—9°-13°, საკრებულო დარბაზში—11°,—12°.

საქმლის მონღლებასთან დაკავშირებით ეცნობიან სისტემას, რომელსაც საკვები ნივთიერება მიაქვს მთელ სხეულში, ე. ი. სისხლის მიმოქცევის სისტემას. ეცნობიან სისხლის ავადმყოფობას—მალარიას. აწყობენ ბრძოლას ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ: კოლოების მოსპობას მათ ზამთრის თავშესაფარში, კოლოიან წყლებში ნავთის ჩასხმას. რა თქმა უნდა, ამ ბრძოლას აწარმოებენ იმ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, რომელნიც მას ხელმძღვანელობენ.

3. ადამიანის სამუშაო აპარატის გაცნობა იწყება სამუშაო მოძრაობათა დაკვირვებით სხვადასხვა სამუშაოების დროს: სახელოსნოებში, ფიზკულტურის გაკვეთილებზე, სასოფლო სამუშაოების დროს და სხვ. სწარმოებს დაკვირვება საკუთარ თავზეც: ზომავენ მკლავის კუნთებს დამშვიდებულ და დაჭიმულ მდგომარეობაში (განსხვავება აჩვენებს კუნთების მუშაობის უნარს), პოულობენ თითების მომკუმშავ და გაშლელ კუნთებს, ფეხის წვერებზე სხეულის დამაყენებელ კუნთებს და სხვ. ანასთანავე სარგებლობენ კედლის ტაბულით. შემდეგ ეცნობიან ჩონჩხს, როგორც მოძრაობის პასიურ აპარატს: ითვლიან თითების სახსრებს, სინჯავენ მაჯას, მკლავის ძვლებს, ბარძაყის ძვალს და სხვ., სარგებლობენ კედლის ტაბულით და სინჯავენ გახერხილ ან გაპობილ ძვალს.

6. ელჩანინოვი.

## ქართული ლიტერატურა ანტირელიგიური აღზრდის საქმეში ჩვენს შრომის სკოლებში.

ჩვენი შრომის სკოლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მოწაფეებში დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავება ითვლება. ამ მიზანს ყოველი სასწავლო საგანი, დისციპლინა უნდა ისახავდეს. აღნიშნული მსოფლმხედველობის გამომუშავებაში ყოველმა საგანმა უნდა შეიტანოს სათანადო წვლილი.

გარემოს და ადამიანთა საზოგადოების სალი მეცნიერული თვალსაზრისით შესწავლა მტკიცედ ამყარებს რეალობაში მოწაფეს—მომავალ მოქალაქეს. ყველაფერი, რაც ხდება ბუნებაში და საზოგადოებაში, განხილული უნდა იქნეს როგორც პროცესი. მოწაფე უნდა წარმოიდგენდეს მოვლენებს და საგნებს მიზეზობრივ ურთიერთობაში, არა სტატიურობა-შემოძრაობაში, არამედ დინამიურობაში, მოძრაობა-ცვალეზადობაში და წინააღმდეგობაში.

ლიტერატურული მოვლენების შესწავლა მარქსისტული მეთოდით ძლიერ იარაღს იძლევა ცხოვრების შესასწავლად და მისი ორგანიზაციისათვის, ვინაიდან ლიტერატურა სოციალური ყოფის სწორი სარკეა, ის ცხოვრების არა მარტო ამსახველია, არამედ მისი მძლე ორგანიზატორიც. სხვა სასკოლო საგანთა შორის ლიტერატურამაც საგრძნობი წვლილი უნდა შეიტანოს მოზარდი თაობის გარდაქმნაში, ახალი ადამიანის მომზადებაში კომუნისტური საზოგადოების შექმნისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის.

ცხოვრების საღი, მეცნიერული თვალსაზრისით შესწავლისათვის საჭიროა ბრძოლა გამოცხადოს ყოველგვარ რელიგიურ მისტიურს, ანიმისტურს, ვიტალისტურს და მსგავს იდეალისტურ მსოფლმხედველობათ, რაც ხელს უშლის ადამიანის რეალობაში დამყარებას. ამგვარი ბრძოლა უნდა აწარმოოს უპირველეს ყოვლისა სკოლამ სასწავლო საგნების ფარგლებში როგორც თვით სასწავლებლებში, ისე საზოგადოებაში შეძლებისდაგვარად.

ამ წერილის საგანია ზოგადად მოხაზოს ის გზები და საშუალებანი, რომელნიც გააჩნია ქართულ ლიტერატურას ანტირელიგიური აღზრდის საწარმოებლად.

მხატვრული ლიტერატურა ერთ-ერთი უმაღლესი იდეოლოგიათაგანია. ეს იდეოლოგია მრავალფეროვანია: ზოგი თანამედროვე თვალსაზრისით მისაღები და გამოსაყენებელი, ზოგი მიუღებელი და მავნე. სასკოლო მუშაობაში მოსწავლეებს ორივე სახის ლიტერატურული ნიმუშების განხილვა უხდება. ერთი ამგვარი იდეოლოგიათაგანია რელიგიურ-მისტიური მსოფლმხედველობა, რომელიც საკმაოდ გვიხდება ჩვენს ლიტერატურაში. ჩვენ მას გვერდს ვერ ავუქცევთ. არც არის საჭირო გვერდი ავუქციოთ. წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობა ამგვარია, მას ვერ უარვყოფთ. წარსულის ცხოვრების შესასწავლად ის ძლიერ საჭიროა. წარსულის ცოდნა და შესწავლა აუცილებელია, საჭიროა მოწაფეებმა იცოდნენ ის, მაგრამ უნდა ერკვეოდნენ, რა არის მისაღები იქ და რაა უარსაყოფი. მარქსისტი ლიტერატუროლოგი, პროფესორი ვ. ფ. პერევერზევი საჭიროდ აღიარებს ჭკოლამ გამოუმუშაოს მოწაფეებს ლიტერატურული ფაქტების შეფასებაში იდეოლოგიური იმუნიტეტი. „ლიტერატურა უნდა დავიპყროთ, ამბობს ის, და კი არ უნდა ვემოწოთ მას“. ჩვენებურად რომ ვსთქვათ ლიტერატურული ნაწარმოების ემოციური ზეგავლენის ბრმა ქვევრი არ უნდა ვიყოთ, რასაც ის ჩავგვახეხს, არ ამოვცახოთ, არამედ უნდა ვარჩევდეთ თეთრსა და შავს, კარგსა და ავს, კარგი ვიცნოთ, მივიღოთ, ცუდი და მავნე უარვყოთ. მაშასადამე, იდეოლოგიური

იმუნიტეტი და არა პროფილაქტიკა. ამას შესძლებს მხოლოდ ის სკოლა, სადაც მასწავლებელი ლიტერატურული ნაწარმოების გარჩევას დიალექტიურ-მატერიალისტური თვალსაზრისით უდგება.

ანტირელიგიური პროპაგანდა, რელიგიასა და ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლა ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში უნდა აწარმოოს მასწავლებელმა მოწაფეებთან ერთად ლიტერატურული მასალების გარჩევის დროს, სადაც ამის საშუალებას მასალა მოგვცემს.

საამისო საშუალებას კი ქართული ლიტერატურის საპროგრამო და კლასგარეშე საკითხავი მასალები საკმაოდ იძლევიან.

ეს ლიტერატურა ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: ერთი რიგი ნაწარმოებთა ანტირელიგიური აღზრდისათვის თვალსაჩინო მასალებს იძლევა, ამგვარ ნაწარმოებში ცხადად ჩანს რელიგიის მესვეურთა და თვით რელიგიის საქმენი საგმირონი ხალხის გონების დახშვაში, ჩაგრულთა დაბეჩაევებაში. სანიმუშოდ მოვიყვანოთ „სურამის ციხე“ (მღვდელი, გლეხების მჩაგვრელი), „პირველი მაისი“ ჭ. ლომთათიძისა (ადგილები, სადაც ავტორი ეკლესიას და მის მსახურთ უყიჟინებს არსებული წყობილების დაცვას), „მუშა ბოქულაძე“ გრ. ორბელიანისა (მუშა ამბობს: „მაშა, მღვდელი ლაპარაკს რომ დამიწყებს, ... გულს კი უხარიან მათ სმენა! სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშცემისა, გულში ქრება ღელვა. სიბოროტისა... ვგრძნობ სიმშვიდეს... მაშინ შრომაც მიადვილდება“...), „ღმერთი დიდია, ღარიბო“! რაფ. ერისთავისა (გლეხს ავტორი მიმართავს ამ ლექსში: „როცა რომ იასაული უმართლოდ ჩაგაფრინდება, ღმერთი დიდია, ღარიბო, გული ნუ შეგიშინდება“... ან და იქვე: „რაც დაგდო ბედმა ვალადა, თავთავის დროზე აძლიე, სათემო საძსახურები არ შეირჩინო, დასძლიე, — და მაშინ მამასახლისი თუ რამეს აგინირდება, — ღმერთი დიდია, ღარიბო, გული ნუ შეგიშინდება“ და სხვა მისთანები). ამ ლექსში და მისთანებში გამოსჭვივის ავტორის ქრისტიანობის ბოროტების შეუბრძოლებლობა. იქ, სადაც საჭიროა და შესაძლებელი (უფროს ჯგუფებში: 7-8-9-ში), შევხებით ავტორის იდეოლოგიას, მის რელიგიურ მსოფლმხედველობასაც აღვნიშნავთ იმდენად, რამდენადაც ეს მის შემოქმედებაში გამოსჭვივის.

ანტირელიგიური აღზრდისათვის გამოსადეგია „განდევილი“ ილ. ჭავჭავაძისა, „ფულის ძალა“ ვ. რუხაძისა, „შერისხვა“ დ. კლდიაშვილისა, „ეკლესიის გარშემო“ ან. ერისთავ ხოშტარისი და მრავალი მისთანანი, რომელთაც ქვემოთ დავასახელებთ ჯგუფების მიხედვით.

მეორე რიგის ნაწარმოებნი მხატვრული სახეებით გადმოგვცემენ ობიექტიურად ხალხის რელიგიურ-მისტიურსა და ცრუმორწმუნეობრივ სულისკვეთებას. ასეთია: „ალი“ ნ. ლომოურისა, „ქაჯანა“

მისივე (რომელიც ანტირელიგიურ მომენტსაც შეიცავს), „ქაჯის ბაწარი“ ირ. ევლოშვილისა, „ბნელო“ მელანიასი, „ალეზი“ რ. ერისთავისა, „ღვთისშვილი ალექსი“ ეკ. გაბაშვილისა და მრავალი მისთანანი. ამგვარ ნაწარმოებთა ანალიზის დროს ერთ-ერთ მომენტად უნდა მივიჩნიოთ აღნიშნული რელიგიურ-ცრუმორწმუნეობრივი იდეოლოგიის გაშუქება-განქიქება და ანტირელიგიური აღზრდისათვის გამოყენება. ამგვარი მასალები ობიექტურად უნდა იქნენ გაშუქებული, როგორც წარსული ცხოვრების შემსწავლელი თავისი ნაკლით თუ დადებითი მხარეებით. მასწავლებელი სათანადო ხელმძღვანელობით, ლიტერატურული ფაქტების მარქსისტული მეთოდით გაშუქებით ეცდება თავიდან ააცილოს მოწაფეებს ის ემოციური ზეგავლენა ამგვარი ნაწარმოებისა, რომელსაც არასასურველი გზით შეუძლია წარმართოს მოწაფის ჯერ გამოურკვეველი მსოფლმხედველობა.

ანტირელიგიური აღზრდისათვის ნდიდარ მასალას იძლევა ხალხური პოეზია. ის მდიდარია რელიგიურ-მისტიკური, ანიმისტურ-ანთროპომორფისტული მსოფლმხედველობით; მითები ღმერთებზე, შელოცვები, ზღაპრები, არაკები, ანდაზა-გამოცანები და მსგავსნი ნათლად მოწმობენ ამას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც პოეტურ ხერხს არაკს, ანთროპომორფიზმს, ზღაპარს წარსულშიაც და დღესაც ხმარობენ მწერლები. საჭიროა მოწაფეები გაერკვენ, მსოფლმხედველობასა და პოეტურ ხერხებს შორის რა განსხვავებაა: არაკები დღესაც იწყება (ხოზიკა, ონისიმე ჩვენში, რუსეთში დემიან ბედნი), ანთროპომორფისტული ნაწარმოები მრავალია ვაჟას შემოქმედებაში, რომელნიც ჩვენს სახელმძღვანელოებშიაც საკმაოდ არის შესული („ქუჩი“, „ხმელი წიფელი“, „ჩხიკვათა ქორწილი“, „მთანი მალაღნი“ და სხვა). ანთროპომორფიზმი, იგავი, ზღაპარი არ არის უარსაყოფი, თუ ის ნახმარია როგორც პოეტური ხერხი, თუ სინამდვილეს არ ამახინჯებს და ნათლად გადმოგვცემს. ამგვარ ნაწარმოებში მწერალი ცხოველ-ფრინველებს, მცენარეებს თუ სხვა საგნებს მართლაც აჯილდოვებს ადამიანისებური მსჯელობის, მეტყველება-აზროვნების და მოქმედების უნარით, რათა სინამდვილე, რეალობა ნათლად წარმოგვიდგინოს („ფესვები“, „შელის ნუკრის ნაამბობი“ ვაჟასი, „პურის მარცვლის თავგადასავალი“ ილ. სიხარულიძისა და მსგავსი ბოტანიკურ-გეოგრაფიული შინაარსის ნაწარმოებნი).

ავილოთ ზღაპარი „მებაღურის შვილი“. როგორ უნდა განემართოს მოწაფეებს ზღაპრის შემდეგი მომენტები: მებაღურის შვილი თევზს შეაჯდება, მელიას ზურგზე შემჯდარი უფსკრულში მიძვრება. ეს ხომ რეალობა არ არის? არც შეიძლება, სათანადოდ თუ არ გან-

ვმარტეთ, ასეთი ზღაპრის მიწოდება მოზარდი თაობისათვის. იმ ჰასაკის მოწაფეს, რომელსაც ამის გაგება შეუძლია (უფროს ჯგუფში), უნდა განემარტოს, რომ ადამიანს უძველესი დროიდანვე აწვალბდა სურვილი ყველაფრის გაგება-შემეცნებისა: უნდოდა აფრენილიყო ცაში, ჩასწვდომოდა უფსკრულს, ზღვის ფსკერს და გაეგო, თუ რა ხდებოდა იქ. რასაკვირველია, ამ სურვილებს მაშინ ისე კი ვერ ახორციელებდენ, როგორც დღეს: აეროპლანებით, წყალქვეშა ნავეებით და მიწისქვეშა მატარებლებისა თუ გვირაბების გაყვანით. მაგრამ ამ დაუდგრომელმა სწრაფვამ ადამიანის, კაცობრიობის ფსიქიკისამ მიიყვანა ის ტეხნიკის დღევანდელ განვითარებამდე და ბუნების დაპყრობამდე. ადამიანს რომ ასეთი სწრაფვა, ძიების წყურვილი არ ჰქონებოდა, ვერც ამ მდგომარეობამდე მოაღწევდა, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს მაქსიმე გორკი „Читатель и писатель“-ის ერთ-ერთ ნომერში ზღაპრების შესახებ მოთავსებულ წერილში. მფრინავი ხალიჩა-ნოხებიც ასევე აიხსნება ზღაპრებში. აქედან დასკვნა: ხალხური პოეზიისა თუ ინდივიდუალური მწერლობის ლიტერატურული შემკვიდრეობა უნდა შესწავლილ იქნეს და გაშუქდეს ობიექტიურად, მეცნიერული თვალსაზრისით, მარქსისტული დიალექტიკური მეთოდით და გამოყენებული უნდა იქნეს ცხოვრების შესასწავლად, ცხოვრების გარდაქმნის მიზნით.

ქვემოთ მოვიყვანოთ ის ლიტერატურული, საპროგრამო თუ კლასგარეშე კითხვისათვის განკუთვნილი მასალები, რომელნიც დასახული თემისათვის—ანტირელიგიური აღზრდისათვის გამოსადეგია\*).

### მე-V ჯგუფი.

1. „ყოველი მხრიდან“ ნ. ლომოურისა, 2. „ქაჯანა“ მისივე,
3. „ალი“ მისივე, 4. „როგორ გაჩნდენ ქვეყანაზე ბუები“—ვაჟისი,
5. „ქაჯის ბაწარი“ ირ. ევდოშვილისა, 6. „ბნელო“ მელანიასი,
7. „ღვთის შვილი ალექსი“ ეკ. გაბაშვილისა, 8. „სახლების მხურავის სიმღერა“ ირ. ევდოშვილისა. 9. „გოგია უიშვილი“ ეგ. ნინოშვილისა,
10. „ალები“ რაფ. ერისთავისა, 11. „მეკვლევი“ მისივე.

### მე-VI ჯგუფი

1. „სურამის ციხე“ დ. ჭონქაძისა, 2. „კაცია ადამიანი“ ი. ჭავჭავაძისა, 3. „გლახის ნაამბობი“ მისივე, 4. „გლახის აღსარება“ აკ. წერეთ-

\*) საპროგრამო და კლასგარეშე საკითხავი მასალები ჯგუფობრივად ერთად არის დალაგებული. აქ არის დასახელებული რაოდენიმე მასწავლებელს ასეთი მასალა მოაველად შეზღუდვა როგორც პროგრამაში, ისე საკითხავ ლიტერატურაში.  
ავტორი.

ლისა, 5. „შერისხვა“ დ. კლდიაშვილისა, 6. „ეკლესიის გარშემო“ ან. ერისთავ-ხოშტარიასი, 7. „ფულის ძალა“ ვ. რუხაძისა, 8. „ოქროს კერპი“ მისივე, 9. „ვინ არის დამნაშავე“ ნ. ნაკაშიძისა, 10. „უჩვეულო აღდგომა“ მალაქიაშვილისა. 11. „ვითომ და იგიც ქრისტიანია“ ვ. რუხაძისა, 12. „ცხრა იანვარი“ ს. ეულისა.

### მე-VII-ჯგუფი

1. სიმონა ევ. ნინოშვილისა, 2. პირველი ნაბიჯი გ. წერეთელისა, 3. პირველი მაისი ჭ. ლომთათიძისა, 4. განდევნილი ილ. ჭავჭავაძისა, 5. სახრჩობელაზე მისივე, 6. უკანასკნელი დღე სიკვდილით. დასასჯელისა ირ. ევდოშვილისა, 7. ნათელა აკ. წერეთელისა, 8. ბა. ში-აჩუკი მისივე, 9. ღმერთი დიდია, ღარიბო! რ. ერისთავისა. 10. თედუა მისივე, 11. „აჩრდილი“ ილ. ჭავჭავაძისა, 12. „მუშა ბოქუ-ლაძე“ გრ. ორბელიანისა. 13. „ლომისკარელი ძლიერი“ პიესა ერ. შარაშიძისა, 14. სულია მამა (პიესა) მაშაშვილისა.

### მე-VIII ჯგუფი

მე-8 ჯგუფში ანტირელიგიური აღზრდისათვის გამოსადეგია მთლიანად ხალხური პოეზია მითოლოგიური, საგმირო და საისტორიო პერიოდებით და აგრეთვე ძველი მწერლობა; კლასიური მწერლობის მასალებშიც („ამირან-დარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „ვეფხვის ტყაოსანი“) ბლომად გვხვდება რელიგიურ-მისტიური და ცრუმორწმუნებრივი ელემენტები იმ ეპოქის ხალხისა, რომელსაც ავტორნი ასახავენ თავიანთ ნაწარმოებში. ხალხურ პოეზიაში წარმოდგენილი ჩვენ წინაპართა პირველყოფილი სარწმუნოება მდიდარ მასალას იძლევა რელიგიის წარმოშობის საილუსტრაციად.

### მე-IX—X ჯგუფი

აქ გასავლელ ლიტერატურულ მასალებშიაც უნდა ცხადვყოთ შომენტები დასახული მიზნებისათვის. მე-XIX საუკუნის მწერალთა შემოქმედებაში მრავლად მოიპოება ასეთი ნაწარმოები, რომელთაგან ზემოთ საკმაოდ დავასახელეთ შვიდწლედის თვითეული ჯგუფისთვის. შრომის სკოლის მეორე საფეხურის მეორე კონცენტრში მწერლის იდეოლოგიასაც ვეხებით. საჭიროა მწერლის მსოფლმხედველობის ანალიზის დროს ხაზგასმული იქნეს რელიგიურ-მისტიური თვალსაზრისი, სადაც ეს ნათლად ჩანს შემოქმედების ანალიზის ნიადაგზე.

დაბოლოს, კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტირელიგიურ აღზრდაში ლიტერატურას სათანადო წვლილი უნდა შექონდეს მუდამ,

შრომის სკოლის კურსის მთელ მანძილზე და არა მარტო დაკვირვითი კამპანიის სახით. არც უკიდურესობაში უნდა გადავევარდეთ: ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზი მხოლოდ და მხოლოდ ანტირელიგიურ მომენტს არ უნდა შევსწიროთ: ეს უკანასკნელი გარჩევის ერთ-ერთ მომენტად უნდა იქნეს, მასალიდან ბუნებრივად გამომდინარე და არა ყურით მოთრეული.

ილია სიხარულიძე.

## რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?

### I

საკითხი რომ ნათელი იყოს, წინასწარ აუცილებელია ზოგი რამ განვმარტოთ. „აგებულების“ შესახებ რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის თვისებები, რომლითაც ხასიათდება ცალკე სიტყვა (სახლი, კედელი, მდინარე... ააშენა, მოუკლავს...) და შესიტყვება (ანუ სიტყვათა შეხამება: ხურომ სახლი ააშენა... მონადირეს დათვი მოუკლავს... მეზობელს ცხენი ყავს...). ამათი თვისებების გათვალისწინება არსებითად ქართულის აგებულების დახასიათება იქნება.

ახლა „თავისებურების“ შესახებ. „თავისებურად“ რამე მიიჩნევა სხვა რაღაცასთან შედარებით: „ეს ასეთია, ის კი—სხვაგვარია, თავისებურია“, ვამბობთ ხოლმე. ქართული ენის თავისებურება-სხვაგვარობის შესახებაც ლაპარაკი შეიძლება რაიმე სხვა ენასთან შედარებით; ამ მიზნით ჩვენ აღებული გვაქვს ინდო-ევროპული ენები, კერძოდ, მისი ის წევრები, რომელთაც ჩვენში უკეთ იცნობენ: ინგლისურ-ფრანგულ-გერმანული და პირველ რიგში—რუსული. ეს ენებზე ერთისა და იმავე ტიპის არის, თუმცა ზოგს რაშიმე თვალსაჩინოდაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან...<sup>1</sup>

კითხვა ისმის: რაღა მაინც-და-მაინც ევროპულ ენებთან შედარებით ვმსჯელობთ ქართულის შესახებ? მართალია, პრაქტიკულად ეს მოხერხებულა, მაგრამ არსებითად ეგების არ იყოს მიზანშეწო-

<sup>1</sup>) ასე, მაგალითად, ინგლისურში კანკლედობა სახელთა თითქმის გადაშენებულია, ფრანგულში აღინიშნება აღწერით, სინტაქსურად, მაშინ როდესაც გერმანულში კარგად არის დაცული, თუმცა რუსულისებრი სიმდიდრე ფორმათა არც მას აქვს... ზმნის ფორმებით ყველაზე ღარიბია ისევე ინგლისური, შეუდარებელიც მდიდარია სხვა აქ მოხსენებული ენები... ტიპი ყველასი მაინც ერთია.

ნილი, ეგებ უკეთესი იქნებოდა მხედველობაში გვექონოდა რომელიმე სემიტური ენა (მაგალ., არაბული) ან კავკასური ენები (დალესტინის ენები, ჩაჩურის...)? პრაქტიკულ მომენტს გარდა არის ერთი გარემოება, უალრესად ანგარიშ-გასაწევი, და იგი ევროპულ ენათა არჩევას გვიკარნახებს.

საქმე შემდეგშია. ენათმეცნიერება პირველად ჩამოყალიბდა ინდო-ევროპულ ენათა სინამდვილეში, ამ ენათა მასალაზე; ეს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ამბავია. გრამატიკა კი, როგორც სისტემატურად დალაგებული აღწერა ენობრივ მოვლენათა, შეიქმნა ქრ. წინ, ჩვენი ერას დაწყებამდე. ორ ხალხს ეკუთვნის ამაში პირველობა: ინდოელებსა და ბერძნებს, და ორივე ინდო-ევროპულ ენაზე მოლაპარაკეა. ინდოელებმა და ბერძნებმა შექმნეს გრამატიკა კი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ, ინდოელებმა უფრო ადრეც და „უკეთესიც“: პანინის ცნობილი შრომა ეკუთვნის მეხუთე საუკუნეს ქრ. წინ, დიონისე თრაკიელის პირველი ბერძნული გრამატიკა („ხელოვნება გრამატიკული“) თარიღდება მეორე საუკუნით ქრ. წინ.

იშვიათი ბედი ეწვია ამ ბერძნულ გრამატიკას: მისი შაბლონი საუკუნეები ბატონობდა, მის მიხედვით ჩამოყალიბდა ჯერ ლათინური და მერე ყველა სხვა ევროპულ ენათა გრამატიკები, მისი ცნებები (სახელი, ზმნა, მიმღეობა, ნაცვალსახელი...) დღესაც ცოცხალია; და რაც ჩვენთვის აქ მთავარია, მის პრეპარატების (ზემოხსენებულისა და მრავალი სხვა ცნების) მომხმარებელი ჩვენცა ვართ; ჩვენი ენის გრამატიკათა აგებულებას ეს ბერძნული საგრამატიკო სისტემა განსაზღვრავდა მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე წლებამდე და თუ შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან, რუსული გრამატიკის გავლენა შეეცილა ბერძნულ-ლათინურისას, ამით არსებითად არაფერი შეცვლილა: რუსულიც ხომ იმავე საგრამატიკო სისტემაზე იყო დაფუძნებული.

ერთის სიტყვით, ქართული გრამატიკის ბედი ამ ბერძნულ გრამატიკულ აზროვნებასთან არის ისტორიულად დაკავშირებული ისევე, როგორც სხვა ევროპულ ენათა გრამატიკებისაც. რაში შეგვიწყობ ამან ხელი ან რა ზიანი მოუტანია თუ მოაქვს ჩვენთვის, მხოლოდ მაშინ იქნება გასაგები, თუ გვეცოდინება, რაში გავს ტიპოლოგიურად ჩვენი მეტყველება ბერძნის, რომაელის, გერმანელის თუ რუსის მეტყველებას. აი ამიტომაც არა მარტო პრაქტიკულად მოხერხებული, არამედ არსებითადაც მიზანშეწონილი ევროპულ ენათა აღნაგობა გვექონდეს მხედველობაში ქართულის თავისებურებათა შესახებ. საუბრისას.

გვეგონია, რომ ქართულის თავისებურებათა მიმოხილვა ზედმეტი არ იქნება: მასწავლებელი, რომელიც იცნობს ერთ-ერთს ევროპულ ენას, ისეთ რასმე მიაპყრობს ქართულის აგებულებაში გულისყურს, რაც ჩვეულებრივ შეუმჩნეველი რჩებოდა; ხოლო მოწაფე, რომელმაც ქართულის გარდა სხვა ენა არ იცის, იმ მხრივ მაინც გამოიყენებს სათანადო ცნობებს, რომ ეცოდინება, რა არის სპეციფიკური ქართული და, მაშასადამე, რას არ უნდა მოელოდეს იგი, მაგალ., ევროპულს ენებში; ამისდა კვალობაზე უფრო ადვილად მიხვდება, რატომ არის შეუფერებელი: „я прошу ему, вам...“ (მე ვთხოვ მას) ანდა „უცნაური“ ფრაზა, ასე ხშირად რომ ისმის ტფილისის ტრამვაის ვაგონებში:—„кому не имеют билеты?“ (ვის არა აქვს ბილეთი?)

ქართული ტიპოლოგიურად<sup>1</sup> კავკასური ენაა. ასეთის-სახელწოდებით ცნობილია არა ყოველი ენა, რომელსაც კავკასიაში ვხვდებით, არამედ სასტიკად გარკვეული წრე ენებისა: დაღისტნის ენები (ხუნძური, ლაკური, დიდოური და სხვ.), ჩაჩური (ბაცბიური, ქისტური, ინგუშური...) ჯგუფი და აფხაზურ-ყაბარდოულ-ადიღეური (ჩერქეზული) ჯგუფი; ქართული ჭანურ-მეგრულითა და სვანურით ქართველურ ჯგუფს შეადგენს.

სხვა კავკასურ ენათა შორის ქართული ერთად ერთი ენაა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე მწერლობა აქვს (სახელდობრ, მეექვსე საუკუნიდან ქრ. შემდ.). თავის დროზე (1895 წ.) ეს ხაზგასმით აღნიშნა გამოჩენილმა გერმანელმა ენათმეცნიერმა ჰ. შუხართმა, რომლის საენათმეცნიერო ჰორიზონტის სიფართოვეს მისივე აზროვნების სიღრმე-ლა თუ შეედრება. ქართული ენა, როგორც სამწერლობო ენა, ქართული კულტურის პროდუქტია; მის გამოუმავება-ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდა არა ერთი ქართველი ტომი, მათ შორის ისიც, ახლა რომ ჭანურად და მეგრულად ლაპარაკობს... ამ ენის თავისებურებათა საკითხი დგას ჩვენ წინ.

I. ქართულში ცალკე სიტყვისა და შესიტყვების ანალიზს საჭიროა წარვეუძღვაროთ ორიოდე ცნობა ქართული ბგერების შესახებ: 1) ქართულს არა აქვს  $\phi$  (f), კბილბაგეობითი ბგერა; ნასესხებ სიტყვებში მის ნაცვლად იგი ხმარობს ფ'ს: ფრონტი, ფორმა, ფინანსი, ფონდი, ფუტბოლი... 2) ქართულს აქვს სპეციფიკური ბგერები: წ,

<sup>1</sup>) მკვლევართა რიგი: უსლარი, ჰ. შუხართი, ნ. მარი (ნაწილობრ.), ივ. ჯავახიშვილი...—ფიქრობს, რომ მსგავსება ტიპოლოგიით არ ამოიწურება: კავკასური ენები ერთერთს ენათესავენ. ქართველურ ენების სხვა ენებთან ნათესაობის საკითხი შეიძლება ცალკე განვიხილოთ სხვა დროს.

პ, ყ... ეს ბგერები ჩვეულებრივია კავკასურ ენათათვის, მაგრამ სრულიად უცხო ევროპულ ენებისათვის<sup>1</sup>... 3) ქართულში მოიპოება ამის გარდა რამოდენიმე ბგერა, რომლებიც, ერთის შეხედვით, ევროპულ ენებშიაც ყოველ ფეხის გადადგმაზე გვხვდება; ესენია: პ, ტ, კ. აბა ვინ იფიქრებდა, რომ პ, ტ, კ სპეციფიკური ქართული ბგერებია, და მაინც ესენი იმდენად თავისებურნი არიან, რომ საკმარისია ქართველმა წარმოთქვას *которых... так как... потому что...*, წარმოთქვას რუსული სიტყვები ქართულ პ, ტ, კ-ს ხმარებით, რომ სრულიად უეჭველი იქნება: ლაპარაკობს ყოველ შემთხვევაში არა რუსი! ასეთი პ, ტ, კ იცის ქართველურს გარდა სხვა კავკასურმა ენებმაც (მათი ბუნების შესახებ მოიპოება სპეციალური გამოკვლევა პროფ. გ. ახვლედიანისა „მკვეთრი ხშულნი ქართულში“)... 4) არც ქართული ვ არის რუსულ *в*-ს ბადალი; რუსული *в* კბილ-ბაგეობითია, ქართული ვ უფრო წყვილ-ბაგეობითი (შდრ.: *вино—ღვინო, война—ვაჭარი...*)...

ქართული ბგერების თავისებურებათა ზოგადი დახასიათებისას შეიძლება ამას დავჯერდეთ.

II. ცალკე სიტყვათა შორის მთავარია სახელი და ზმნა; სახელი ანუ ისეთი სიტყვა, რომელსაც ბრუნვის კატეგორია გააჩნია, რომელიც იკანკლედება (კედელი, მდინარე, დროშა); ზმნა ანუ ისეთი სიტყვა, რომელიც იცვლება პირის მიხედვით: კლავს, აშენებს, ყავს... სხვა ნიშნებიც გააჩნია ზმნას, მაგრამ ძირითადია—პირი; მეტყველების ხერხემალს ეს ორი მეტყველების ნაწილი, სახელი და ზმნა შეადგენს.

სახელი ქართულში მაქსიმალურად მარტივია, ზმნა—უაღრესად რთული; ქართული მორფოლოგიის დახასიათება ამით უნდა დაიწყოს.

რაში გამოიხატება სახელის სიმარტივე?

ა) ქართულში სახელი არ იცვლება სქესის მიხედვით, სქესი ქართულ სახელს არა აქვს; რუსული: *красивый дом, красивая картина, красивое озеро* ქართულში გადმოიკვება ერთნაირად: ლამაზი

<sup>1</sup>) მართალია სომხურს აქვს წ, ჭ, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს ინდო-ევროპული ფენის კუთვნილება. ბგერები ძ, ჯ, ც, ჩ უცხო არ არის ინდო-ევროპულ ენათათვისაც; ასე, მაგალ., ჯ ქონდა ძველს ინდურს, ახალ ენებში აქვს—ინგლისურს, იტალიურს..., ძ—ძვ. ბერძნულს და ახლა—იტალიურს... ც და ჩ ხომ უფრო ჩვეულებრივია.

სახლი, ლამაზი სურათი, ლამაზი ტბა... „ლამაზი“ უდრის რუსულს: красивый, красивая, красивое-ს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, ხალხურს სიტყვახმარებაში რუსული გამოთქმები რომ თავისებურად კეთდება: „სუხოი დრავა, სლივოჩნი მასლა, ანტონოვსკი აბლუკი, ჩაინი კალბასი, ზდობნი ბულკი, სვეეი ააიცა, ხაროში უგლი“... და მრავალი სხვა, ტფილისის ქუჩებს რომ აყრუებს.

არც ერთს შემთხვევაში რუსულ ზედსართავს მდებრობითის და საშვალო სქესის ფორმა არა აქვს, ყველგან მამრობითი ჩანს, თითქოს ქართულმა უპირატესობა მხოლოდ ამ ერთს ფორმას არგუნაო; მაგრამ ეს მხოლოდ გვეჩვენება: სლივოჩნი, ანტონოვსკი, ჩაინი... ისევე არ არის მამრობითის ფორმის მატარებელი ზემოხსენებულ ფრაზების მოქმელთათვის, როგორც ქართ. „ლამაზი“, „კარგი“, „მაღალი“, „წითელი“... ამ ფრაზების მოქმელი რუსულ ზედსართავებს ყველგან აბოლოებს ქართულ სახელობითის ი-თი, ისევე როგორც სიტყვებში: სტოლ-ი, ოჩერედ-ი, პესოკ-ი (შაქრის)...

ამიტომაც, „სუხოი“ მისთვის ისეთივე ფორმაა, როგორც ქართული „ხმელი“; ამით აიხსნება ისიც, რომ „სუხოი“ ისევე უბოდიშოდ არის ნახმარი „დრავა“-სთან, ისევე არ უწევს ანგარიშს უკანასკნელის რიცხვს, როგორც ქართული „ხმელი“: ხმელი შეშა; შდრ. მაღალი ხე — მაღალი ხეები...

ბ) ქართულში სახელი მრავლობითში დაირთავს იმავე დაბოლოებას, რაც მხოლოდობითში ქონდა სათანადო ბრუნვას; ასე მაგალითად:

**მხოლოდობითი:**

სახელობითი:	სახლ-ი	კედელ-ი	.ი ეს დაბოლოებ- -მა ბები საერთოა -ს(ა) მრავლობითი- -ა-დ სა და მხო- -ის(ა) ლობითისა -ით(ა) თვის <sup>1</sup> .
მოთხრობითი:	სახლ-მა	კედელ-მა	
მიცემითი:	სახლ-ს(ა)	კედელ-ს(ა)	
ვნებითი:	სახლ-ა-დ	კედელ-ა-დ	
ნათესაობითი:	სახლ-ის(ა)	კედელ-ის(ა)	
მოქმედებითი:	სახლ-ით(ა)	კედელ-ით(ა)	
<b>მრავლობითი:</b>			
სახელობითი:	სახლებ-ი	კედლებ-ი	
მოთხრობითი:	სახლებ-მა	კედლებ-მა	
მიცემითი:	სახლებ-ს(ა)	კედლებ-ს(ა)	
ვნებითი:	სახლებ-ა-დ	კედლებ-ა-დ	
ნათესაობითი:	სახლებ-ის(ა)	კედლებ-ის(ა)	
მოქმედებითი:	სახლებ-ით(ა)	კედლებ-ით(ა)	

1) მხედველობაში არ ვიღებთ „ნი“-თ წარმოებულ მრავლობითს; სახელობითი აქაც იმეორებს მხოლოდობითს: სახლ-ი—სახლ-ნი; მაგრამ მოთხრობითი-მიცემითი ნათესაობაში -თ-ა დაბოლოება გვაქვს, რომელსაც განსაკუთრებულ ისტორია აქვს.

თუ სათანადო სიტყვებს რუსულში დავაკანკლედებთ, დავინახავთ, რაოდენი განსხვავებაა რუსულსა და ქართულს შორის, რამდენად მარტივია ქართული რუსულთან შედარებით:

	მხოლოდობა:	მრავლობა:
სახელობითი:	дом	дом-а
ნათესაობითი:	дом-а	дом-ов
მიცემითი:	дом-у	дом-ам
ბრალდებითი:	дом	дом-а
მოქმედებითი:	дом-ом	дом-ами
ადგილობითი:	о дом-е	о дом-ах
	ანდა: მხოლოდობა:	მრავლობა.
სახელობითი:	стен-а	стен-ы
ნათესაობითი:	стен-ы	стен
მიცემითი:	стен-е	стен-ам
ბრალდებითი:	стен-у	стен-ы
მოქმედებითი:	стен-ою	стен-ами
ადგილობითი:	о стен-е	о стен-ах

მრავლობითის სულ  
სხვა დაბოლოებანი  
აქვს, მხოლოდობითის—სხვა.

არის ქართულშიაც ზოგიერთი შემთხვევა, როცა მრავლობითში ესა თუ ის ბრუნვა განსხვავებულად ბოლოვდება მხოლოდობითთან შედარებით, მაგრამ ასეთი მოვლენა ყველგან მერმინდელია, და, მაშასადამე, თავდაპირველად აქაც ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორც სხვაგან; ასე, მაგალ.: ახლა გვაქვს მთა-მ (მოთხრობითი მხოლოდობითისა), მაგრამ: მთებ-მა (მოთხრობითი მრავლობითისა); განსხვავება ახალს ქართულში შეიქმნა; ძველს ქართულში ორსავე შემთხვევაში იყო -მან: მთა-მან, მთებ-მან; ეს -მან ახალს ქართულში ხან ნ-ს კარგავს და მა-ს სახეს იღებს, — სახელდობრ, მაშინ, თუ ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება- (მთებ-მა), ხან -ან-ს კარგავს და მხოლოდ მ გვრჩება, თუ ფუძე ხმოვნით ბოლოვდება (მთა-მ).

ეგვე უნდა ითქვას მეორე შემთხვევის შესახებ; მრავლობ. სახელობითში ყოველთვის არის -ი: სახლებ -ი, კედლებ ი, მთებ-ი, კლდეებ-ი, წყაროებ-ი, ყრუებ-ი, მხოლოდობითში კი პირველ ორ სიტყვას აქვს ი, სხვებს—არა: სახლ-ი, კედელ-ი, მაგრამ: მთა, კლდე, წყარო, ყრუ! არც ერთს სიტყვას, რომლის ფუძე ხმოვნით ბოლოვდება, -ი არ გააჩნია. მაშასადამე, ირღვევა დებულება ერთისა და იმავე დაბოლოების

შესახებ მრავლობითსა და მხოლოდობითში? სრულებითაც არა: ესეც მერმინდელი მოვლენაა; ძველს ქართულში მხოლოდობითის სახელობითში ყოველ სახელს ისევე ქონდა ი(ა), როგორც ახლაც გვაქვს მრავლობითში; იყო: სახელ-ი, კედელ-ი, მთა-ა (←მთა-ი), კლდე (←კლდეა ←კლდე-ი), წყარო-ა (←წყარო-ი), ყრუ-ა (←ყრუ-ი). ახლაც კილოებში ცოცხალია ეს ი, როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთს საქართველოში; მოვიგონოთ: ბაბაა (ბაბეა), ნანაა... კალოა, გზაა... ფუძისეულ თანხმოვნების შემდეგ ი შეგვჩა, ფუძისეულ ხმოვნების შემდეგ კი — დაიკარგა.

ასე რომ, ძალაში რჩება დებულება: მრავლობითში ამა თუ იმ ბრუნვას იგივე დაბოლოება აქვს, რაც მხოლოდობითში ქონდა, დაბოლოების მიხედვით მრავლობითსა და მხოლოდობითს შორის განსხვავებას ადგილი არა აქვს<sup>1</sup>.

მაშ როგორღა იწარმოება მრავლობითი, რაღა აღნიშნავს მრავლობითობას? მრავლობითობა ფუძეში აღინიშნება ცალკე ფორმანტი; ეს ფორმანტია -ებ: სახლ-ი, —სახლ-ებ-ი, სახლ-ებ-მა, სახლ-ებ-ს(ა), სახლ-ებ-ად, სახლ-ებ-ის(ა), სახლ-ებ-ით(ა)... როგორც ვხედავთ, კანკლედობის ფორმანტებს განაწილებული აქვსთ ფუნქციები: ერთი ფორმანტი -ებ- მხოლოდ მრავლობითობას აღნიშნავს, სულ ერთია რა ბრუნვაც იყოს; მეორე ფორმანტი მხოლოდ ბრუნვას აღნიშნავს, სულ ერთია, რა რიცხვიც იქნება, მხოლოდობითი თუ მრავლობითი: ი —სახელობითს, მა(ქმ), —მოთხრობითსა და სხვ...

არაფერი ამის მსგავსი რუსულში არ არის: იქ ერთი და იგივე ფორმანტი ბრუნვასაც აღნიშნავს და რიცხვსაც (მაგალ. дом-у; у იმის მაჩვენებელიცაა, რომ ეს სახელი მიცემითს ბრუნვაშია და იმისიც, რომ ეს მიცემითი — მხოლოდობითისაა; სიტყვაში: стен-е კი е-ს ეკისრება იგივე მოვალეობა, მაგრამ არც у და არც е აღარ გამოდგება მრავლობითის მიცემითის გამოსახატავად; ვერც მრავლობითობისათვის გამოგვადგება ეს ფორმანტი და ვერც მიცემითობისათვის; გეჭირდება ახალი ფორმანტი -ам: дом-ам, стен-ам...

გ) ზემოთ ვნახეთ, რომ მრავლობითს იგივე დაბოლოებები აქვს, რაც მხოლოდობითს; ამას უნდა დავძინოთ: მხოლოდობითში ყველა სა-

<sup>1</sup>) აღმართა სახელების კანკლედობას არ ვებები, არც განსაკუთრებულ სიტყვათა (ვინ, რა, მე, შენ, იგი...) კანკლედობას... ეს ზოგადი ანალიზისათვის საჭირო არ არის.

**ზელი ერთსა და იმავე დაბოლოებას დაირთავს**, ასე რომ, ქართულში არსებითად ერთი კანკლედობაა; მცირეოდენ სხვაობას აქვს ადგილი, მაგრამ ეს განსხვავება ფონეტიკურ ნიადაგზეა მიღებული; სათანადო მთავარი მოვლენები ასეთი სახისაა: 1) ფუძისეულ ხმოვნის შემდეგ იკარგება სახელობითის ი (იხ. ზევ.); 2) ხმოვნით დაბოლოებული ფუძე მოთხრობითში— მ-ს დაირთავს (მთა-მ, კლდე-მ, წყარო-მ, ყრუ-მ), თანხმოვნით დაბოლოებული კი— მა-ს: სახლ-მა, კედელ-მა... (იხ. ზევ.) 3) ა-თი დაბოლოებული ფუძე კარგავს ამ ა-ს ნათესაობითსა და მოქმედებითში -ის, -ით ფორმანტების წინ, აგრეთვე მრავლობითის -ებ ფორმანტის წინ: მთ-ის, მთ-ით... მთ-ებ-ი... 4) ე-თი დაბოლოებული ფუძე კარგავს ამ ე-ს აგრეთვე ნათესაობითსა და მოქმედებითში, მაგრამ ინარჩუნებს მრავლობითში: კლდე; კლდ ის, კლდ-ით... კლდე-ებ-ი... 5) ო-თი და უ-თი დაბოლოებული ფუძეები ნათესაობითსა და მოქმედებითში ინარჩუნებენ ბოლოკიდურ ხმოვანს, საშავიეროდ, იკარგება ფორმანტის ი: წყარო, ყრუ: წყარო-ს, ყრუ-ს... წყარო-თ(ი), ყრუ-თ(ი)... ამის გამო ასეთ სიტყვათა ნათესაობითი დაემსგავსება მიცემითს: წყაროს (ნათესარბ.) წყალი დავლიე, წყაროს (მიცემ.) მივუახლოვდი... ასეთ შემთხვევათა მიხედვით ჩვენ ვერ დავასკვნით, რომ ნათესაობითს ორნაირი დაბოლოება ქონდეს: -ის და -ს, ისევე, როგორც ზოგიერთ დასახიჩრებულ ცალფეხა ადამიანთა არსებობიდან არავინ ასკვნის, თითქოს ადამიანი ორფეხაც იყოს და ცალფეხაც...

სხვადასხვა სახელების დაბოლოებათა ერთგვარობა ქართული კანკლედობის მთავარი მორფოლოგიური ფაქტია. განა რუსულში ან ძველს ბერძნულში, ლათინურში გინდ თანამედროვე გერმანულში არის ამის მსგავსი რამ? რა თქმა უნდა, არა: ყოველ მათგანში არის ორი, სამი და მეტი კანკლედობა; სხვადასხვა სახელი სხვადასხვაგვარად იკანკლედება; ქართულში კი, როგორც ვნახეთ, არსებითად ერთი კანკლედობაა.

დ) თუ მთელი შესიტყვება იკანკლედება, ორისა და მეტის ჭიტყვისაგან შემდგარი, და მსაზღვრელი სიტყვა წინ უძღვის სასაზღვრს (ღრმა მდინარე, მხნე ვაჟკაცი, ყრუ მოხუცი, ბეჯითი მოწაფე...), კანკლედობაში თავს იჩენს საკმაოდ თავისებური მოვლენა: წინა სიტყვა ან სრულიად არ იღებს ბრუნვის დაბოლოებათ არც მხოლოდობითში, არც მრავლობითში, ანდა მხოლოდ ნაწილობრივ იღებს; სახელდობრ, თუ ხმოვნით დაბოლოებული ფუძე აქვს, სულ

არ იცვლება, თუ თანხმობით დაბოლოებული, იცვლება ნაწილობრივ; ასე, მაგალითად:

<b>მხოლოდ.:</b>	<b>მრავლობ.:</b>	
სახელობ.: ღრმა მდინარე	ღრმა მდინარეები	} ასევე იბრუნვის: მხნე ვაჟ- კაცი, თოთო ბავში, ყრუ მოხუცი და სხვა.
მოთხრობ.: ღრმა მდინარემ	ღრმა მდინარეებმა	
მიცემ.: ღრმა მდინარეს	ღრმა მდინარეებს	
ვნებითი.: ღრმა მდინარედ	ღრმა მდინარეებად	
ნათესაობ.: ღრმა მდინარის	ღრმა მდინარეების	
მოქმედ.: ღრმა მდინარით	ღრმა მდინარეებით	

რუსულში ამის მგავსი რამ წარმოუდგენელია: იქ მსაზღვრელიც იბრუნვის და სასაზღვრიცა; მაგალ., მხოლოდ.: глубокая река, глубокой реки, глубокой реке, глубокую реку... მრავლობ.: глубокие реки, глубоких рек, глубоким рекам... და სხვა.

თანხმობით დაბოლოებული ფუძე, როგორც ვთქვით, ნაწილობრივ იცვლება:

<b>მხოლოდ.:</b>	<b>მრავლობ.</b>
სახელ.: ბეჯითი მოწაფე	ბეჯითი მოწაფეები
მოთხრ.: ბეჯითმა მოწაფემ	ბეჯითმა მოწაფეებმა
მიცემ.: ბეჯით მოწაფეს	ბეჯით მოწაფეებს
ვნებ.: ბეჯით მოწაფედ	ბეჯით მოწაფეებად
ნათესაობ.: ბეჯითი (  ბეჯით ბეჯითის) მოწაფის	ბეჯითი (  ბეჯით ბეჯითის) მოწაფეების
მოქმედ.: ბეჯითი (  ბეჯით ბეჯითის) მოწაფით	ბეჯითი (  ბეჯით ბეჯითის) მოწაფებით.

მრავლობითში, როგორც ვხედავთ, მსაზღვრელი არ შეიცვალა: **კანკლედობაში იგი მონაწილეობს მხოლოდობითის ფორმით**; მრავლობითობა მხოლოდ სასაზღვრში, მომღვენოში, აღინიშნება; მხოლოდობითში მხოლოდ სახელობითსა და მოთხრობითში მიიღო სრული დაბოლოება; მიცემითსა და ვნებითში დაბოლოება მას არა აქვს, მხოლოდ ფუძეა; ნათესაობითსა და მოქმედებითში შესაძლოა სამი საფეხური გექონდეს: ბეჯითის, ბეჯითი, ბეჯით... ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ **მსაზღვრელი შეიძლება ნათესაობითში იყოს, სასაზღვრი მოქმედებითში: ბეჯითის მოწაფით (გახარებული მასწავლებელი)... მშვენიერის ხმით (მოძღვრალი)... ჩემის აზრით... რუსულ-**

ში ეს შეუძლებელია: прилежным учеником... прекрасным голо-  
сом...: ორივე ერთს ბრუნვაშია. რა თქმა უნდა, ქართულში ეს იმის  
მაჩვენებელია, რომ ნათესაობითი და მოქმედებითი ერთის წარმო-  
შობისაა, მაგრამ ასეა თუ ისე, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: მსაზ-  
ღვრელი ნათესაობითში, სასაზღვრი მოქმედებითში ძალზე ორიგინა-  
ლური რამ არის.

თავი რომ მოვუყაროთ ყველაფერს, რაც სახელის შესახებ ით-  
ქვა, მივიღებთ შემდეგს: სქესი სახელს არა აქვს; მრავლობითში მას  
იგივე დაბოლოებანი აქვს, რაც მხოლოდობითში; მხოლოდობითში ყვე-  
ლა სახელი ერთნაირ დაბოლოებას დაირთავს; თუ შესიტყვება იკან-  
კლედება, მსაზღვრელი, წინდასმული, სრულებით არ იცვლება, თუ მი-  
სი ფუძე ხმონით ბოლოვდება, და ნაწილობრივ და იცვლება, თუ  
ფუძე თანხმონით ბოლოვდება (ისიც ოდენ მხოლოდობითში). ყოვე-  
ლივე ეს ამარტივებს კანკლედობის პროცესს ქართულში.

რაც შეეხება ცალკე ფორმებს, ბრუნვებს, დიდმნიშვნელოვანია  
ორი ფაქტი: ბ რ ა ლ დ ე ბ ი თ ი ს (accusativus, винительный) უქონლო-  
ბა და მოთხრობითის არსებობა. რუსულმა (და სხვა ევროპულმა  
ენებმაც) არ იცის მოთხრობითი, ქართულისა და სხვა კავკასურ ენე-  
ბისთვის ზოგიერთის გამოკლებით უცხოა ბრალდებითი; ორივე ბრუ-  
ნვის შესახებ საუბარი მქონდა ამ ეურნალის წინა ნომერში, „რატომ  
არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში?“

ცალკე სიტყვათაგან განსახილველად დაგვრჩა ზმნა, ზმნის  
აგებულების თავისებურებანი. ამის შესახებ შემდეგს წერილში.

ა.რ. ჩიქობავა.

## ექსკურსია წარმოებაში.

პოლიტგანმანათლებელი მუშაობის მიზანია მშრომელი მასის კო-  
მუნისტური აღზრდა. ამიტომ პოლიტგანმანათლებელი მუშაობის ერთ-  
ერთ მთავარ შინაარსს საერთო განათლების აყვავება და აღმშენებ-  
ლობის მორიგი ამოცანების გაშუქება წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ დიდ საკითხს შეადგენს ქვეყნის  
ინდუსტრიალიზაცია. თუ რა გაკეთდა ამ დარგში, ან რა კეთდება  
ამჟამად, შეიძლება ყველაზე უკეთ გავიგოთ წარმოებაში ექსკურსიის  
მოწყობით.

ცოდნის შესათვისებლად ექსკურსიას ერთ-ერთი უპირველესი  
ადგილი უნდა მივაკუთვნოთ. ექსკურსიის დროს კოლექტიურად ვი-  
ძენთ ცოდნას, თანაც თვითმოქმედებას ფართო გასაქანი ეძლევა. ექს-

კლრსიის მეოხებითვე, მოძრაობით, სივრცეს უფრო აქტიურად ვითვისებთ, რაც საექსკურსიო მეთოდის მთავარ ღერძს წარმოადგენს.

მოძრაობა აძლიერებს შეთვისების უნარს და გვიადვილებს მასალის საგნობრივ შეთვისებას. მხედველობის, გრძნობის დაჭიმვასთან ერთად ექსკურსიაში მოძრაობას ერთვის კიდევ სმენის, შეხების და ყნოსვის გრძნობანიც.

სხვადასხვა საექსკურსიო ობიექტს შორის წარმოებას საუკეთესო ადგილი უკავია. თუ ისტორიკოსს სჭარდება ძეგლის ნანგრევთა აღდგენა თავისი ნაამბობით და ისტორიულ მოვლენათა გამოცოცხლება მსმენელთა წარმოდგენაში, წარმოებაში ექსკურსიის ხელმძღვანელს სჭირდება მხოლოდ მასალის შეთვისების გეზის მიცემა. ქარხანა არ არის მშრალი ობიექტი, ის არის მოძრავი ორგანიზაცია, რის გამოც ქარხანა ექსკურსანტებზე დიდ შთაბეჭდილებებს სტოვებს.

ექსკურსიას წარმოებაში აქვს თავისი სიძნელენი: მასალის სიროთულე, ტექნიკური მოწყობილობა, შრომის პირობები და თვით ექსკურსიის ჩატარების ტექნიკური სიძნელენი.

წარმოებაში ექსკურსიის ჩატარების დროს საკითხი ფართოდ უნდა იქნეს დაყენებული. უპირველეს ყოვლისა, გამოამკარავებულ უნდა იქნეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ წარმოებას საბჭოთა კავშირის ან რესპუბლიკის მეურნეობაში. აქ სათანადო ანგარიში უნდა გავუწიოთ მსმენელთა მომზადებას და ინტერესებს.

უფრო რთულია მუშაობა გლეხთა ჯგუფებთან. მათთვის გაშუქებულ უნდა იქნეს ესა თუ ის ქარხანა, როგორც მათი მეურნეობის დამხმარე. გლეხთა ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკითხს, თუ რას აძლევს ქალაქი სოფელს და რაში უნდა გამოიხატებოდეს მისი კავშირი ქალაქთან, ასე რომ ექსკურსიის ხელმძღვანელი უნდა იყოს არა მარტო ტექნიკოსი, არამედ საზოგადოებრივი მუშაკიც.

საკმარისი არ არის მხოლოდ წარმოების ჩვენება. ყოველ ექსკურსიას უნდა ჰქონდეს მიზნობრივი ხასიათი, მას უნდა ახასიათებდეს თავისი საკუთარი თემა.

ერთიდაიმავე ქარხნის დათვალიერების დროს შეიძლება მრავალნაირი საკითხი დაისვას სწორედ იმისათვის, რომ ექსკურსანტების ყურადღება ერთი რაიმე მიმართულებით იყოს მიპყრობილი, რადგან სხვადასხვა დარგიდან დაგროვილი ცნობები არავითარ ახალს ცოდნას არ შესძენს მათ.

შინაარსის მხრივ წარმოებითს ექსკურსიაში შესაძლოა შესწავლილ იქნეს: 1. მხარეთმცოდნეობითი მასალა, 2. წმინდა წარმოე-

ბითი პროცესები, 3. საზოგადოებრივი მომენტები და 4. მუშათა ყოფა-ცხოვრება.

მხარეთმცოდნეობითი თემის ექსკურსია აცნობს ექსკურსანტებს, თუ რატომ წარმოიშვა ეს ქარხანა სწორედ ამ ადგილას და არა სადმე სხვაგან, განმარტავს, რომ ამ ადგილას მისი აგება გამოწვეულია ეკონომიური, გეოგრაფიული და სხვა პირობებით. ახსნილი უნდა იქნეს აგრეთვე, თუ რა გავლენას ახდენს ეს ქარხანა გარემოცულ წრეზე, მცხოვრებთა ეკონომიკაზე და სხვა.

წარმოებითი ხასიათის ექსკურსია აცნობს მსმენელთ, თუ რა პროცესების საშუალებით ხდება ქარხნის ამა თუ იმ საქონლის დამუშავება, აცნობს აგრეთვე თვით ამ პროცესების მიმდინარეობას. ამავე ხასიათის თემას უნდა შეადგენდეს ყოველგვარი ტექნიკის შესწავლა, მანქანის მნიშვნელობის გარკვევა, გაცნობა თუ რა განსხვავებაა შინამრეწველურ, ხელით დამუშავებასა და მანქანით დამუშავებას შორის. უნდა გამოაშკარავდეს აგრეთვე, თუ რა გაკეთდა ქარხნის მუშაობის რაციონალიზაციის, მისი ელექტროფიკაციის დარგში, რა შედეგები გვაქვს ამ ღონისძიებათაგან.

საინტერესოა აგრეთვე იმავე ქარხნის მუშების ექსკურსია მთელი ქარხნის მუშაობის გასაცნობად. ამისთანა ექსკურსიას წარმოებითი თათბირების ხასიათი ექნება. შეიძლება ამავე ხასიათის ექსკურსია მოაწყონ ერთი წარმოების მუშებმა მეორე წარმოების გასაცნობად, იმის გასაგებად, თუ როგორ ტარდება იქ რაციონალიზაცია.

საზოგადოებრივ ექსკურსიათა მიზანია გააცნონ ყველას, რომ საბჭოთა აღმშენებლობის უპირველეს ამოცანას შეადგენს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ამ მიზნის მიღწევისათვის საჭიროა: 1. მსხვილი სოციალისტური მრეწველობის ჰეგემონია, 2. პროლეტარიატის რიცხვობრივი ზრდა და აქტივობა და 3. გლეხთა მეურნეობის პარალელური ზრდა და მუშათა და გლეხთა მასის კავშირის განმტკიცება.

აღსანიშნავია შემდეგი საკითხები: 1. სამეურნეო მართველობის წესის გამოცვლა, პასუხისმგებლობის დეცენტრალიზაცია, მუშაობის ზუსტი დანაწილება და პასუხისმგებლობა, 2. მუშათა მონაწილეობა წარმოების რაციონალიზაციაში, წარმოებითი თათბირები, გამომგონებლობა და სხვა, 3. შრომის დაცვის საქმეში აღსანიშნავია საბჭოთა ხელისუფლების მიღწევანი: სპექტანისამოსი, ვენტილაცია, მანქანებისთვის ბადეებისა და სხვა მოწყობილობის გაკეთება უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, მკურნალობა და სხვა, 4. შრომის საკითხები: შრომის ნაყოფიერება, შრომის პირობები, 5. წარმოების ორგანიზაცია.

წარმოებით ექსკურსიათა მთავარ გეზად აღებულ უნდა იქნას სოციალისტური აღმშენებლობის გამოაშკარავება და მუშათა ხელმძღვანელობა ამ აღმშენებლობაში.

მუშათა უოფა-ცხოვრების გასაცნობ ექსკურსიათა შინაარსს შეადგენს შემდეგი საკითხები: 1. რატომ გახდენ ამ ქარხნის მუშები რევოლუციისათვის მებრძოლნი, 2. რამდენად ახდენს გავლენას ქარხნის რთული მოწყობილობა მუშათა კულტურულ დონეზე, 3. რა აძლიერებს მუშებში იმ გრძნობას, რომ წარმოების იარაღები კოლექტიურ საკუთრებას შეადგენენ. 4. მუშათა ორგანიზაცია საამქროებში და ნადებში. 5. შრომის პირობები, 6. კულტურული მუშაობა ქარხანაში და სხვა.

### როგორ უნდა ჩატარდეს ექსკურსია.

ექსკურსია არის მოვლენების ან საგნების შემეცნება მის ბუნებრივ მდგომარეობაში. ექსკურსიის დროს შეუძლებელია განყენებული საკითხების შეთვისება. აქ შეისწავლება მხოლოდ კონკრეტული მასალა. ყველა მონაწილეს უნდა გაეწიოს ერთგვარი ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელი არის შესწავლის ორგანიზატორი, თვით შესწავლა კი უნდა იყოს კოლექტიური, აქტიური და კრიტიკული, ყველა მონაწილემ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა საერთო მუშაობაში.

თვით ექსკურსია შედგება: ექსკურსიის ობიექტისაგან, ჩატარების მეთოდისაგან და საორგანიზაციო მხარისაგან.

როგორც ზემოთაც ვთქვით, უფრო მეტ შთაბეჭდილებას ტოვებს ისეთი საექსკურსიო ობიექტი, რომელიც ბუნებრივ პირობებში იმყოფება და მით უმეტეს, თუ ის მოქმედებაშია, მაგ. ქარხანა. წარმოებითს ექსკურსიას შესაძლოა მასალად ჰქონდეს მუზეუმი ან გამოფენა. აქ მასალა მოშორებულია თავის ბუნებრივ გარემოს და ამით ზევს ჰკარგავს. აქ სამაგიეროდ ხელმძღვანელმა უნდა შეავსოს ნაკლები თავისი ნაამბობით, ბუნებრივი გარემოს აღდგენით მსძენელთა წარმოდგენაში.

მუზეუმში ან გამოფენაზე შესაძლოა საგანი წარმოდგენელ იქნეს როგორც მოდელი, ან ნახატი, შესაძლოა კი ნამდვილი იყოს.

რაც უფრო მეტად დატულია საგნის ყოფისა და გამოყენების გონებრივი პირობები, მით უფრო მეტს შთაბეჭდილებას ტოვებს იგი მაყურებელზე და ამიტომაც ერთხელ ნახული წარმოება სამუდამოდ რჩება წარმოდგენაში.

ექსკურსია შეიძლება იყოს გამოკვლევითი და საჩვენებელი-დემონსტრაციული. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ექსკურსანტთა მოთხოვნილებანი. რასაკვირველია, მოსწავლეთათვის ექსკურსიას უფრო ხშირად გამოკვლევითი ხასიათი უნდა ექნეს.

ექსკურსიის ჩატარება უნდა ეყრდნობოდეს თემის ლოდიკურ განვითარებას და ამისათვის საჭიროა ზუსტი სვლიგეზის (მარშრუტის) გამომუშავება. ყოველი შეჩერება და ახსნა-განმარტება უნდა შეეფერებოდეს თემის საჭირო ნაწილს და იყოს დაბოლოებული. ექსკურსიის ჩატარებისათვის საჭიროა ერთგვარი რიტმის დაცვა. ექსკურსიის ჩატარების დროს მასალა შეფარდებული უნდა იქნეს როგორც რაოდენობით, აგრეთვე თვისებით. ეს შეფარდება ისე უნდა წარმოებდეს, რომ მსმენელებში გრძობანი თან სდევდეს ლოდიკურ მუშაობას. ზოგიერთ საჭირო ადგილას უნდა ჩაემატოს დიაგრამის, ნახაზის ან სურათის ჩვენება—ეს იქნება დამხმარე მასალა.

თვით ექსკურსია შემდეგნაირად უნდა ჩატარდეს: ჯერ ჩატარდება წინასწარი ბაასი, რითაც ექსკურსანტებს მიეცემა საერთო დებულებანი და გეგმა მასალის დამუშავებისათვის. შემდეგ მიმდინარეობს თვით ობიექტის ჩვენება და გზადაგზა ახსნა-განმარტების მიცემა, შემდეგ კი—საბოლოო ბაასი, რომელშიც შეჯამებული იქნება მიღებული შთაბეჭდილებანი და ცოდნა. ექსკურსიის ჩატარების დროს აუცილებელია საჭიროა ახსნა-განმარტება იმ მასალის მიხედვით, რომელიც თქვენ თვალწინ დგას, ახსნა უნდა იყოს მოკლე და გასაგები, გამოყენებულ უნდა იქნეს, თუ შესაძლოა, მომუშავის დასტური, ან თვით ექსკურსანტის ცოდნა, ყველა ექსკურსანტი ჩაბმული უნდა იყოს მუშაობაში და ყველა მათ კითხვაზე, თუკი კითხვა თემას შეეფერება, საჭიროა პასუხის გაცემა.

ყოველივე ზემოხსენებული ეხება საჩვენებელ ექსკურსიას. რაც შეეხება გამოკვლევით ექსკურსიას, აქ საჭიროა სხვა მიდგომა. შესაძლოა პირველი ექსკურსია, თუ მას გამოკვლევითი ხასიათი აქვს, არ იყოს მაშინვე ამოწურული. პირველად მხოლოდ საჭიროა მიიხილება იმ მომენტებზე, რომელნიც უნდა იყონ შესწავლილნი და ამით ყოველ ექსკურსანტს დაესვას კითხვები, მიეცეს ერთგვარი გეგმა ქარხნის ან რაიმე პროცესის შესწავლისათვის. როდესაც ექსკურსანტები ან ჯგუფები შეისწავლიან ცალკე საკითხებს, შეიძლება მათი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კვლავ ჩატარდეს ექსკურსია, საკითხი საბოლოოდ იქნეს შეფასებული და გამოყვანილ იქნეს დასკვნა. ექსკურსიის გეგმა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს; სქემა შეიძლება აგებულ იქნეს ნედლი მასალისაგან მზა ნაწარმოებამდე, ან წინა-

ალმდეგ, დამზადებული საგნისაგან მისი მიღების საშუალებისაკენ. ხანდახან კი საჭიროა მხოლოდ თემის მიხედვით ცალკე მომენტების გადაარჩევა.

მეტად მნიშვნელოვანია საორგანიზაციო მხარე: თუ როგორ მოაწყობთ ჯგუფს—ყველა ექსკურსანტი უნდა ხედავდეს მასალას, ყველას უნდა ესმოდეს ახსნა-განმარტება; ამისდა მიხედვით ჯგუფი უნდა იქნეს დაყენებული იქ, სადაც ყველას შეუძლია დანახვა, ხელმძღვანელმა უნდა დაიწყოს ახსნა მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფი მთლიანად შეგროვდება და სახით მათკენ უნდა დადგეს. ცოტა ილაპარაკოს იქ, სადაც ხმაურობაა.

ექსკურსანტთა ჯგუფის შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 30 კაცს. წარმოებით ექსკურსიებში სჯობია, რომ ჯგუფი რაც შეიძლება მცირე იყოს, 15-20 კაცისათვის უფრო ნაყოფიერად შეიძლება ახსნა-განმარტების გადაცემა.

ექსკურსია უნდა გრძელდებოდეს  $1\frac{1}{2}$ — $2\frac{1}{2}$  საათი. ზედმეტი გადატვირთვა საწინააღმდეგო შედეგს მოგვცემს.

იმისათვის, რომ ექსკურსიამ უნაყოფოდ არ ჩაიაროს, ხელმძღვანელმა უნდა მისცეს ჯგუფს ექსკურსიის დაბოლოებისას გეგმა მოსმენილი ექსკურსიის მასალის დამუშავებისათვის.

ყველა აღნიშნული წესით ჩატარებული ექსკურსია ყოველთვის უფრო მეტ შედეგს მოგვცემს და ის მართლა იქნება პოლიტგანმანათლებელი მუშაობის გაღრმავების საშუალება. საჭიროა მეტი ენერგია მოვახმაროთ ექსკურსიათა მეთოდების გამომუშავებას.

ასეთივე დიდი ენერგია უნდა მოვახმაროთ ექსკურსიის ცალკეობიექტების შესწავლას, ყოველივე თემის დამუშავებას. და ყველა მათთვის ცალკე მეთოდების გამონახვას—მხოლოდ ამ შემთხვევაში მივაღწევთ სათანადო შედეგებს.

### ლიტერატურა

1. „Опыт подготовки руководителей производственных и экономических экскурсий“. Главполитпросвет РСФСР. 1928 г.
2. „Производственные экскурсии“ под ред. Менжинской Г. П. П. РСФСР. 1924 г.
3. „Экономико-технические экскурсии“. Научно-исследоват. экскурсионный Институт, 1923 г.
4. „Экскурсии в сельской школе“ под ред. Закса. 1928 г.
5. „მასწავლებლის თანამგზავრი“—გან. სახ. კომ. სოც. აღზრდის მთ. მართვ., 1928 წ.
6. „თანამგზავრი ზაპესში“—საქ. პროფკ. კულტგანყ-ბა.
7. „Коммунистическое просвещение“ № 5, 1928 г.
8. „Общественно-производственные экскурсии в школьной работе“—Осипов, 1927 г.

გ. გიორგიძე.

## კულტურული ჩვეულებების კროზლემა და ქობ-სამკითხველოების საქმიანობა.

ზოგადი მიღწევები ქობ-სამკითხველოს მუშაობაში.

### ლექსების მაზრა.

**დღნორისა.** დრამატიულმა წრემ ფრიად გააფართოვა მუშაობა. შემოსავალი ხმარდება ელექტროსადგურის აგებას, სახერხი მანქანის მოწყობას და განზრახული აქვთ სართავი მანქანის შეძენა. წრემ საკუთარი საშუალებით შეაკეთა და გააფართოვა კლუბი.

„სასოფლო-სამეურნეო წრის მიღწევად უნდა ჩაითვალოს, — აღნიშნავს ქობ-სამკითხველოს გამგე, — ის, რომ ჩვენში თითქმის საყოველთაო გახდა მწკრივად თესვის წესები“.

**ლუხვანო.** (ქ. სვანეთი) 1) დრამატიულმა წრემ საკუთარი საშუალებით მოაწყო სცენა.

2) სასოფლო-სამეურნეო წრის და, საერთოდ, ქობ-სამკითხველოს ინიციატივის მეოხებით შეძენილ იქნა სალენი მანქანაო, — აღნიშნავს ლუხვანოს ქობ-სამკითხველოს გამგე.

„თემში კოოპერატიულ პროპაგანდას უმთავრესად ქობ-სამკითხველო ეწევა და მასთან არსებული კოოპერატიული წრე, რასაც შედეგად მოჰყვა მოსახლეობის 95% კოოპერაციაში ჩაწერა“.

**ალპანა.** სასოფლო-სამეურნეო წრეს ხელმძღვანელობს აგროომი და თვით ქობ-სამკითხველოს გამგე უშუალოდ. ქობ-სამკითხველოსთან მოწყობილი აქვთ სანიმუშო მინდორი, ზომით ერთი ქცევა. აქ აშენებენ სანერგებს და უფასოდ ურიგებენ გლეხობას. გარდა ამისა, ქობ-სამკითხველოს აქვს საკუთარი მიწა, ზომით 3 ქცევა. სთესენ: სათივე ბალახს სცადეს სამკურნალო მცენარეები მოშენება და საუცხოვო შედეგები მიიღეს. წელს რამდენიმე ათეული მანეთის გაჰყიდეს კიდევ.

სასოფლო-სამეურნეო წრე ხელმძღვანელობს საკირეს მოწყობას.

**დრამატიული წრე** სდგანს წარმოდგენებს თემში შემავალ ყველა სოფელში. ის მოძრავ დასს წარმოადგენს. შემოსავალი შეაქვთ ქობ-სამკითხველოს შენობის ასაგებ ფონდში. შენობის აგება თემს შემდეგი წესით აქვთ დანაწილებული: ერთი სოფელი სტეხავს ჭვას, მეორემ უნდა გადაზიდოს, მესამე ხე-ტყეს აშენებს, მეოთხემ საშუალო უნდა შეასრულოს და ასე შემდეგ. სრული კონტაქტით მუშაობის ნიმუშს წარმოადგენს სოფლების თანამშრომლობა.

საცნობარო მუშაობა. გლეხის ოჯახში დარჩა ობოლი ბაიში, რომელსაც საკმაო ქონება ჰქონდა. გლეხმა დროთა განმავლობაში შექმნა ისეთი შთაბეჭდილება მოსახლეობაში, რომ ბავში ქუჩაში გაისტუმრა „კანონიერად“, ხოლო მისი ქონება კი ქალიშვილს „მზითევი“ გაატანა. საცნობარო ბიურომ ყველა ეს გამოამხეურა და დამნაშავე სასამართლოს გადასცა.

კედლის გაზეთში მოთავსებული წერილის გამო ადგილი ჰქონდა ინციდენტს კოლპერატიული დუქნის ნოქართან, მაგრამ ნოქარი, მექობის სიტყვებს თუ გავიმეორებთ, **მორჯულებულ** იქნა.

თემში მღვდელი დიდ აქტივობას იჩენდა. მოითხოვდა ეკლესიის შეკეთებას. მღვდლის აღვირწახსნილმა მუშაობამ იქამდე მიიყვანა ქობ-სამკითხველო, რომ იძულებული გახდა შეექმნა საკუთარი პიესა და ისე ეწარმოებინა ბრძოლა მის წინააღმდეგ. პიესას არაჩვეულებრივი გასავალი ჰქონდა თემებში. შედეგი: მოსახლეობამ გასაღები ჩამოართვა მღვდელს და გადასცა ქობ-სამკითხველოს გამგეს და იქ, სადაც მღვდელი ფართაშობდა, დღეს სარეგოლუციო წარმოდგენებით სტკება გლეხობა.

**ქალთა წრემ** თავისი ძალებით მოაწყო წარმოდგენა. მოაწყო წითელი კუთხე, რისთვისაც გაიღო 25 მანეთი. წრემ წყლის გამოსაყვანად გადასდო 40 მანეთი. მოაწყო საკუთარი მიწის ნაკვეთი—საუკეთესო ბოსტნით. წრე მთლიანად გამოდის გზის შესაკეთებლად.

**ლაილაში.** კოლპერატიული წრის წევრებმა, რიცხვით 37 კაცი, დაამთავრეს პროგრამა.

სამხედრო წრეს ხელმძღვანელობს ყოფილი მეთაური. მოეწყო ლაშქრობა.

სასოფლო-სამეურნეო წრეს აქვს ერთი ქცევა მიწა, აშენებს ნერგებს. საერთოდ ლეჩხუმის მაზრაში წრეებში ჩაბმულია სულ 956 კაცი.

მიმდინარე წელს მაზრაში ჩატარდა ქობ-სამკითხველოების გამგეთა გადასამზადებელი კურსები. სულ გადამზადდა 14 კაცი, მათ შორის კომპარტიის და კომკავშირის 13 წევრი და 2 უპარტიო, 8 საშუალო, 7 კი დაბალი ცოდნით. მექობეები მომზადების მხრივ კარგ შთაბეჭდილებას სტოვენენ.

### ზორაკნია მაზრა

მასალები შეგროვილია მექობეთა მოხსენებებიდან.

**ბორითის თემი.** მეფუტკრეობის პროპაგანდას შედეგად მოჰყვა მეფუტკრეთა კოლექტივის ჩამოყალიბება.

**საზანოს თემი.** ხშირად ეწყობა აგიტ-გასამართლება: ცუდი მეურნის, ვაზის და სხვა. თემში ვრცელდება 450 ცალი სხვადასხვა გაზეთი.

**სანიტარული წრე** აერთიანებს 20 კაცს. აქედან უმრავლესობა ქალებია.

დრამ-წრე კარგად მუშაობს. წრეში მონაწილეობს 50 წლის ლარიზი გლეხი.

**ჭალის თემი.** თემში ვრცელდება 290 ცალი გაზეთი..

საცნობარო ბიურო თვეში დაახლოვებით 300 განცხადებას იძლევა. ანტირელიგიურ მუშაობას შედეგად ის მოჰყვა, რომ მოსახლეობამ უარჰყო საეკლესიო დღესასწაული „ფერისცვალება“.

თემში დაარსდა მეფუტკრეთა კოლექტივი, რომელშიც მონაწილეობას იღებს 25 კომლი.

**ლიხის თემი.** აგრონომიულ წრეს ხელმძღვანელობს გამოცდილი მეურნე გლეხი. აქვს მიწის ნაკვეთი სანიმუშო ბალით. თემში ვრცელდება 80 ცალი გაზეთი.

**თავასის თემი.** ექვს წისქვილს საკუთრად აქვს გამოწერილი გაზეთი. სულ თემში გამოწერილია 300-მდე სხვადასხვა გაზეთი. ტყის დღესასწაულის ჩატარების დროს დარგეს 300 ძირი სხვადასხვა მცენარე.

ქობ-სამკითხველოს აქვს ღვინის საზომი და დახმარებას უწევს გლეხობას.

დრამატული წრე თვეში ორჯერ სდგამს წარმოდგენას. შემოსული თანხებით მოეწყობა სცენა.

**თერჯოლის თემი.** ქობ-სამკითხველოს და კოოპერატიული წრის მეშვეობით კოოპერაციაში ჩაეწერა 150 წევრი.

ქობ-სამკითხველოს ხარჯზე წითელი ჯვრის საზოგადოებაში ჩაეწერა 7 უღარიბესი გლეხი.

სასოფლო-სამეურნეო წრეს აქვს მიწის ნაკვეთი, სადაც გაშენებულია 40.000 სანერგე.

თემში ვრცელდება 1200 ცალამდე გაზეთი.

მაზრაში სულ დაარსებულია 72 წრე, რომელიც აერთიანებს 900 წევრს, აქედან ლარიზი გლეხობა შეადგენს 20%-ს.

საცნობარო ბიუროს მიერ გამოცემულია სულ 3000-მდე ცნობა.

ერთი წლის განმავლობაში დაიდგა მაზრაში 247 წარმოდგენა, დამსწრეთა რიცხვი დაახლოვებით 43.000 კაცს უდრის.

### სენაკის მაზრა.

**ქვედა თეკლათი.** აგრონომიულ წრეს აქვს მიწის ნაკვეთი. დათესილია სათივე ბალახი. წელს გაიყიდა სამოცი მანეთის თივა. შემოსავალი მოხმარდა ქობ-სამკითხველოს. აგრო-წრის წევრები ეწევიან პროპაგანდას ბოსტნის მოვლის, თესლის დარკვევის, მწკრივში თესვის და სხვათა შესახებ.

სანიტარული წრე აერთიანებს 25 კაცს. წრემ ამოაშრო ტბა, რომელიც მალარიის ბუდე იყო. მოაწყო ნაგვის დაწვა.

**აბელათი.** ჩამოყალიბებულია კოოპერატიული წრე, რომლის მეორებით სამი თვის განმავლობაში 120 კაცი ჩაეწერა კოოპერატივის წევრად.

საცნობარო ბიურომ 189 განცხადებას გასცა პასუხი.

**ფოცხო.** საცნობარო ბიურომ 150-მდე განცხადება დაუწერა გლეხობას. საკითხები ეხებოდა საქონლის დაზღვევას, სამხედრო ბეგარას და სხვა.

აგრო-წრე იბრძოდა ვენახის მავნებელთა წინააღმდეგ. თემში ქობ-სამკითხველოს წყალობით გამოწერილი აქვს გლეხობას 250 ცალი გაზ. „ახალი სოფელი“.

**ლექიძაძი.** ქობ-სამკითხველოს აღრიცხვაზე აპყავს კოლექტიურად მომუშავეთა მსურველნი. ქობ-სამკითხველომ მოახერხა 5 ამხანაგობის ჩამოყალიბება. ამხანაგობა იმუშავებს სიმინდს.

საერთოდ მაზრაში საცნობარო ბიუროების მიერ გაცემულია 2040 სხვადასხვა ცნობა.

წრეებში გეართიანებულია 1756 გლეხი. ქობ-სამკითხველოების საბჭოების მუშაობაში ჩაბმულია მოჯამაგირე—2, ღარიბი გლეხი—112, საშუალო—99, ქალი 36. მექობეთა შემადგენლობა განათლების მიხედვით ასეთია: 13—საშუალო ცოდნით, 4—თვითგანვითარებით, 9—დაბალი ცოდნით.

პ. ხობუა.

## დაუსწრებელ კურსებზე ჩაწერილთა და ჩაწერის მსურველთა საშუალებოდ.

ჩვენ მოგვდის შეკითხვები დაუსწრებელ კურსებზე ჩაწერის შესახებ.

კურსებზე ჩაწერა გაგრძელებულია.

კურსებზე ჩაირიცხებიან მხოლოდ ჟურნალის „ახალ სკოლისაკენ“ ხელისმომწერი, შევსებული ანკეტის გადმოგზავნის შემდეგ.

ცნობები კურსების პროგრამის და ორგანიზაციის შესახებ იხ. ახ. სკ.“ 1928 წ., №№ 7-8 და 9; და აგრეთვე ამა წლის ოქტომბრიდან ჟურნალის ახალი განყოფილება: „დაუსწრებელი კურსები“, „ახ. სკ.“ 1928-29 წ. №№ 1-2 და შემდეგ.

**საკონტროლო დავალება** დაეგზავნება თითოეულ მსმენელს და აგრეთვე ჟურნალის მკითხველებს გამოთქვან აზრი დაუსწრებელი კურსების მასალის შესახებ: რა არის მისაღები, და რა არის შესასწორებელი როგორც შინაარსის, ისე ენის და დავალებების სიადვილესიძნელის მხრივ.

# დაუსწრებელი კურსები

კლასიკური თვითგანვითარებისათვის

№ 3

1929 წ.

# დაწყებითი სკოლის მუშაობის შინაარსი, მეთოდები და ორგანიზაცია.

მესამე დავალება

საბჭოთა აღზრდის ამოცანები<sup>1)</sup>.

გაგრძელება

## I. დავალების მიზანი

ამ გაკვეთილის მიზანი არის იმ ძირითად ჩვევათა გამოაშკარავება, რომელნიც ჩვენ უნდა აღვზარდოთ ბავშვებში, რომ ჩავაყენოთ ისინი ნამდვილ მებრძოლთა და კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა რიგებში, ე. ი. ისეთ პირთა რიგებში, რომლებიც მზად არიან და შესძლებენ მიიღონ აქტიური მონაწილეობა კულტურული რევოლუციის მოხდენაში და უკლასო საზოგადოების შექმნაში.

## II. დავალების დამუშავების გზა

1. საბჭოთა აღზრდის ქვემოჩამოთვლილ ამოცანათა დასაბუთებაში გარკვევა:

- ა) აქტიურ-კვლევითი ჩვევების აღზრდა,
- ბ) სწორად აზროვნების ჩვევათა აღზრდა,
- გ) მოქმედებიანობის აღზრდა,
- დ) ცოდნით აღჭურვა (შეიარაღება),
- ე) კოლექტიურ ჩვევათა აღზრდა,
- ვ) ორგანიზაციულ ჩვევათა აღზრდა,
- ზ) ბავშვის გაჯანსაღება.

2. სკოლის პრაქტიკის მაგალითებით (იხ. აქვე დართული მასალა და ჟურნალი „ახალ სკოლისაკენ“ 1927-8 წლ.) განმარტეთ—რა გზით შეიძლება ჩამოთვლილ ჩვევათა მიცემა.

<sup>1)</sup> ამ განაკვეთში ჩვენ ვიძლევიტ მხოლოდ აღზრდის ძირითად ამოცანათა ფორმულას. რაც შეეხება მათი გადაწყვეტის მეთოდებსა და საშუალებებს—ამაზე შემდეგ გაკვეთილებში.

### III. დავალების განმარტება

ამ დავალების ამოცანას არ შეადგენს საბჭოთა პედაგოგიკის მიზნების და ამოცანების პრინციპული დასაბუთება და ამომწურავი განსაზღვრა. ეს უკანასკნელი განმარტებული იყო წინა დავალებებში. ამ დავალების ამოცანა კი მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ საბჭოთა პედაგოგიკის თეორიის მიერ დასაბუთებული ამოცანებისა და მიზნების სისწორით გადასაწყვეტად და მისალწევად გამოვნახოთ უონკრეტული გზა და საშუალებანი.

### IV. სამუშაო მასალა

#### 1. აქტიურ-კვლევითი ჩვენების აღზრდა.

ჟურნალში „На путях к новой школе“ (1922 წ. № 1) ნ. კ. კრუპსკაია ამბობს: „უპირველეს ყოვლისა, სკოლამ ბავშვს უნდა გაუღვიძოს ცოცხალი, აქტიური ინტერესი გარემოსადმი...“ ეს აქტიური ინტერესი არის ადამიანის სრული (და აზრიანი) ცხოვრების და მოქმედების ძირითადი პირობა. უამისოდ წარმოუდგენელია სწორი აზროვნება, ჭეშმარიტი ცოდნა და მნიშვნელოვანი მიზანშეწონილი მოქმედება.

მაგალითად, თუ ადამიანი მოკლებულია გარემო ბუნების რომელიმე დარგის მოვლენათა დაკვირვების უნარს,—თავისთავად ცხადია, ამ დარგში იგი ვერ გამოდგება ვერც მკვლევარად და ვერც პრაქტიკულ მოღვაწედ.

იგივეა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ადამიანი, რომელიც ვერ განიცდის და ვერ გამოეხმაურება მშრომელთა საკითხებს და მოთხოვნილებებს, რადგან მოკლებულია საამისო უნარს,—ვერ იქნება კარგი თეორეტიკოსი, და მით უმეტეს კარგი კომუნისტი.

ამ გაგება-გამოხმაურების უნარზე და მის მიმართულებაზე დიდად არის დამოკიდებული მთელი კაცობრიობის მოღვაწეობის მიმართულება და ხასიათი.

ჩვენს წინაშე დგას საერთო ამოცანა—მშრომელთა ექსპლოატაციის და ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლის და ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლის აღზრდა,—და ამის მიხედვით ჩვენ უნდა გავალვივოთ და განვაავითაროთ რაც შეიძლება მეტად ჩვენ ბავშვებში მშრომელთა ცხოვრების ყველა ნხარის, მათი საჭიროება-მოთხოვნილების, მათი სურვილების და იმედის შეგროძნობა-გაგების და მათზე რეაგირების უნარი, ჩვენ უნდა აღვზარდოთ ბავშვებში მშრო-

მელთა კლასობრივი ბრძოლის და მათი გამარჯვება-დამარცხების მწვავედ განცდის უნარი.

ჩვენ უნდა აღვზარდოთ და განვაფითაროთ აგრეთვე ჩვენს ბავშვებში გარემო ბუნების მოკლენებზე დაკვირვების ნიჭი (უნარი), განსაკუთრებით კი ახალი სოციალისტური ცხოვრებისათვის ამ ბუნების გამოყენების ფაქტებზე დაკვირვების უნარი.

ამ თვისებათა აღზრდა წარმოადგენს საბჭოთა მასწავლებლის წინაშე მდგარ პირველ ამოცანას.

ამასთანავე მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა აღზრდის უინაარსს შეადგენს ის, რომ ყოველი შეთვისებული ჩვევა გამსჭვალული იყოს გარკვეული კლასობრივი მიმართულებით, სახელდობრ, მუშათა კლასის ინტერესების სამსახურით კომუნისმისათვის ბრძოლის დროს. არ შეიძლება ერთი წუთითაც გადახვევა ამ ძირითადი დებულებისაგან; პირიქით, ყოველი კერძო ამოცანის გადაწყვეტის დროს საჭიროა ამ ძირითადი დებულების გახსნა და კონკრეტიზაცია.

აღამიანის ნიჭი სინამდვილის ამა თუ იმ მხარეზე რეაგირების და თვით ხასიათი ამ რეაგირებისა მჭიდროდ არის დამოკიდებული როგორც საერთო კლასობრივ მიმართულებაზე, ისე მისი ცხოვრების და მუშაობის კონკრეტულ პირობებზე. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ დავუკვირდებით, მაგ., ვინ როგორ ხვდება გაზეთს, რას კითხულობს და რას განიცდის კითხვის დროს.

ზოგნი, მაგ., მაშინვე დაეწაფებიან ბრძოლის ფრონტიდან მოსულ ცნობებს, დებეშებსა და წერილებს გაფიცვების, ლოკაუტისა და დემონსტრაციის შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში, სხვები ეძებენ ჩვენი მტრების გამოსვლებსა და სიტყვებს, სიამოვნებენ და ტყუებიან იმ ფელეტონებითა და წერილებით, რომლებშიც გამომჟღავნებულია ჩვენი სუსტი მხარეები და ნაკლოვანობანი და სხვ.

ორივე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სხვადასხვა ხარისხისა და სხვადასხვა ხასიათის რეაგირებასთან.

აქ სავსებით მკაფიოდ მჟღავნდება სხვადასხვა კლასობრივი მიმართულება.

პროლეტარიატის ინტერესებით გატაცებული კომუნისტი, რომლის მთელი ყურადღება კლასობრივ ბრძოლაზეა მიპყრობილი, ბუნებრივად მაქსიმალურ ყურადღებას მიაქცევს მუშათა მოძრაობის საკითხებს და მისი რეაგირების ხასიათი გარკვეული იქნება—პროლეტარიატის გამარჯვებაზე—სიხარული, დამარცხებაზე—შეწუხება, გაჯავრება და მებრძოლი შეუდრეკელობა და სხვ.

ჩვენი შინაური კლასობრივი მტერი—ყოფილი მსხვილი მემამულე, კაპიტალისტი, საბჭოთა ხელისუფლების მიერ უარყოფილი ძველი დიდი მოხელე, ან ბურჟუაზიული ინტელიგენტი, რომლის ყურადღება მიპყრობილია იმპერიალისტებისაკენ და რომლის იმედს ჩვენი დაშლა და დამხობა შეადგენს,—ეს მტერი, უეჭველია, ყველაზე მეტად დაინტერესებდა და მასში გამოძახილს ჰპოვებს ჩვენი საზღვარგარეელი მტრების ყოველი გამოსვლა და ყოველი ცნობა ჩვენი ნაკლისა და შეცდომების შესახებ და რეაგირების ხასიათიც გარკვეულია: სიხარული და აღტაცება ყოველი ჩვენი მარცხის გამო.

ამიტომ, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ (გარემო სინამდვილის სხვადასხვა მხარეთა მიმართ) რეაგირების აღზრდაზე, როგორც აღზრდის საერთო ამოცანაზე, იმავე დროს ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ ამ რეაგირების მიმართვას.

ჩვენ არ უნდა აღვზარდოთ ადამიანი ისე, რომ იგი ცხოვრების ყოველგვარ მოვლენასა და უაქტს ერთნაირი მგრძნობელობით და ყურადღებით ეკიდებოდეს.

თანამედროვე ეპოქაში პროლეტარიატისათვის ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანია ბრძოლა მშრომელთა სასტიკი მტრის—ექსპლოატატორთა კლასის—წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ უპირველეს ყოვლისა უნდა აღვზარდოთ ჩვენს ბავშვებში მაქსიმალური რეაგირება, მაქსიმალური ინტერესი და ყურადღება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის საკითხებისადმი.

პროლეტარიატისათვის თანამედროვე ეპოქაში მაქსიმალური მნიშვნელობა აქვს ს. ს. რ. კავშირის აღმშენებლობის განმტკიცებას და ზრდას, როგორც კომუნიზმის ციხე-სიმაგრეს და დასაყრდნობ წერტილს, მომავალში კაპიტალთან შეტაკების დროს. ამისათვის ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა გამოვიწვიოთ და აღვზარდოთ ჩვენს ბავშვებში ძალიან მწვავე რეაგირება, მწვავე ინტერესი და ყურადღება ჩვენი სოციალისტური მშენებლობისადმი, ჩვენი სამეურნეო და კულტურული დონის აწევის და სამხედრო თავდაცვის გაძლიერების მიმართ.

ს. ს. რ. კავშირის გათავისუფლებული პროლეტარიატისათვის განსაკურთხებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, რაც ხელს უწყობს მისი საწარმოო ძალების ზრდას, უადვილებს დაბრკოლებებთან ბრძოლას, ამცირებს მის მძიმე შრომას და ათავისუფლებს მის შემოქმედებით ძალებს კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის გასაგრძელებლად. ამიტომ აუცილებლად საჭიროა გამოვიწვიოთ ჩვენს ბავშვებში უდიდესი რეაგირება, ინტერესი და

ყურადღება მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებისადმი, ყოფა-ცხოვრების და შრომის დარკის ყოველგვარ გამოგონება-გაუმჯობესებისადმი, მეცნიერული აზრის ყველა აღმოჩენისადმი, ყოველგვარ კვლევადობისადმი, რაც გვშველის გავერკვეთ გარემოში და მივწვდეთ მის კანონებს.

მაგრამ ამ ძირითადი მოპენტებით არ ამოიწურება პროლეტარული რეაგირების აღზრდას ამოცანა. უეჭველია, რომ აქტიური ინტერესი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის საკითხებისადმი, ს. ს. რ. კავშირის გამაგრებისადმი და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისადმი — საბჭოთა აღზრდის ძირითადი დასაყრდნობი მომენტებია. მაგრამ ეს არ კმარა. პროლეტარიატის განთავისუფლება კაპიტალისტების ეკონომიური და პოლიტიკური ძალაუფლებისაგან არ არის სრულად მისი გათავისუფლება.

იმისათვის, რომ პროლეტარიატმა გაიმაგროს ბრძოლის სული, განთავისუფლებისადმი მისწრაფების უდრეკელობა, საჭიროა ყველაფერს თავისი საკუთარი თვალებით, პროლეტარიატის თვალებით უცქერდეს, საჭიროა თავისებურად, პროლეტარულად ნახოს ყველაფერი და გაარჩიოს ლამაზი მახინჯისაგან, კარგი — ცუდისაგან, სინართლე — სიცრუისაგან.

ეს კი ჩვენს წინაშე, განთავისუფლებული პროლეტარიატის წინაშე, შემდეგ ამოცანას აყენებს: განვაფითაროთ ჩვენს ბავშვებში ნამდვილი პროლეტარული რეაგირება მხატვრულ-ესთეტიკურ, ეთიკურ და ფილოსოფიურ საკითხებისადმი, იმ მოსაზრებით, რომ შევიმუშავოთ და შევქმნათ საკუთარი, პროლეტარული მსოფლმხედველობა, პროლეტარული მიდგომა-განწყობილება გარემო სინამდვილის ყველა ძხარისადმი. ამის გაკეთება ჩვენთვის უფრო ადვილია, ვიდრე საზღვარგარეელი ჩვენი მოძმე კლასებისათვის. ჩვენ უკვე თავისუფალი ვართ ჩვენი მტრების ეკონომიური და პოლიტიკური ჩაგვრისაგან, ჩვენ არ გვაწევბა მათი ავტორიტეტი, ამიტომ ჩვენი მოვალეობაა ამ დარგში პიონერობა ვიკისროთ. თუ ჩვენი ახალგაზრდა, თავისუფლად მოზარდი პროლეტარიატის შემოქმედებით ძალებს საკმაო ყურადღებას მივაქცევთ და მის ინტერესს ცხოვრებისადმი და შემოქმედებისადმი სწორ მიმართულებას მივცემთ, უეჭველია, დიდ შედეგებს მივალწევთ და ბევრს გავაკეთებთ მთელი ქვეყნის მშრომელთა განსათავისუფლებლად იმ ბორკილებისაგან, რომლებითაც შებოჭა ისინი ექსპლოატატორთა კლასმა.

## 2. სწორი აზროვნების ჩვევათა აღზრდა.

შემდეგი ამოცანა, რომელიც წამოყენებულია ჩვენს წინაშე, არის მოწათის გაწვრთნა სწორად აზროვნებაში.

სწორი აზროვნების ჩვევების გაწვრთნა ნიშნავს პირველ ყოვლისა **ჯანსაღი ეჭვის** გამოწვევა-განვითარებას: პირველი შთაბეჭდილების და სუბიექტური გრძობის უნდობლობას, რელიგიურ ავტორიტეტზე და ზერელე, გავრცელებულ აზრზე დაუყრდნობლობას; ეს ნიშნავს მისწრაფებას, რომ ყველაფერი მრავალჯერ იქნეს შემოწმებული ან პირადი გამოცდილების ფაქტებით, ან მეცნიერთა ნდობით აღჭურვილ პირთა გამოცდილებით. კაცი, რომელიც ამ ჩვევას მოკლებულია, რომელიც ენდობა და ეყრდნობა თავის პირად შთაბეჭდილებას და ადვილად ემორჩილება ჩაგონებას, მუდამ ცდება, მუდამ მიზანშეუწონლად იქცევა და ხშირად საზოგადოებრივ-მავნებელ საქციელსაც ჩადის.

გარდა ამისა, სწორი აზროვნების ჩვევათა აღზრდა ნიშნავს **ფაქტების სწორად გაგება-განმარტების** მიჩვევას, სისწორით ერთმანეთთან მათ დაკავშირებას, შედარებას, დაპირისპირებას, მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების მონახვას, ურთიერთ შორის დამოკიდებულების ხარისხის გამოძებნას. ამ ჩვევებში გაუწვრთნელი ადამიანი მოკლებულია მოვლენათა განსხვავების უნარს, მას არ შეუძლია გაარჩიოს მნიშვნელოვანი უმნიშვნელოსაგან, მისწვდეს მიზეზს და გაითვალისწინოს შედეგი; ასეთი ადამიანი უვარგისია შემოქმედებითი ცხოვრებისათვის და ნაყოფიერი შრომისათვის.

სწორი აზროვნების ჩვევათა აღზრდის მესამე დამახასიათებელი ნიშანია **ეკონომიურად, გულისყურის მიპყრობით** აზროვნების მიჩვევა, საკითხზე ბოლომდე ჩაფიქრება, დასახული მიზნისა და პრობლემისაგან განზე გადაუხვეველობა. ამ თვისების უქონლობა, ე. ი. აქტიური ყურადღების უქონლობა, უგულისყურობა, ერთი აზრიდან მეორეზე გადახტომა, მოუფიქრებელი აზრების ნაწყვეტებით დაკმაყოფილება—ესეც უკარგავს ადამიანს საზოგადოებრივი ცხოვრების ღირებულებას.

რადგან ჩვენი მიზანი არის საზოგადოებისთვის სასარგებლო კაცის, შეგნებული მებრძოლის და შეგნებული მშენებლის აღზრდა, ამიტომ საბჭოთა პედაგოგის წინაშე დგას ამოცანა: სწორი, მეცნიერული აზროვნების ჩვევათა აღზრდა.

მაგრამ ჩვენ ვზრუნავთ არა საერთოდ აზროვნების აღზრდაზე, არამედ მარქსისტულად აზროვნებაზე და მის დამახასიათებელ-განმა-

სწავებელ თვისებებზე: მატერიალიზმსა და დიალექტიკაზე. მათი არსი კი მოკლედ შეიძლება გამოხატოთ შემდეგ ძირითად წესებში:

1. გარემო სინამდვილის ცოდნისათვის არ უნდა დავკმაყოფილდეთ ამ სინამდვილის პასიური ათვისებით, მისი განჭვრეტით, არამედ ყოველგვარად უნდა შევეცადოთ მის მიწვდომას მრავალმხრივი, აქტიური ცდის პროცესით; მრავალგვარი პრაქტიკით, სინამდვილეზე მრავალმხრივ ზეგავლენის მოხდენით.

2. სინამდვილის ცოდნისათვის არ უნდა დავკმაყოფილდეთ საერთო ცნებებით სხვადასხვა ფაქტებს შორის მსგავსების შესახებ, არამედ ყოველგვარად უნდა შევეცადოთ გავხსნათ და გამოვარკვიოთ ყოველი შესასწავლი კონკრეტული ფაქტის ან მოვლენის განმასხვავებელი თვისებები.

3. არ უნდა დავკმაყოფილდეთ ცალკე ფაქტებისა და მოვლენათა დამოუკიდებლად, მოწყვეტილად შესწავლით, არამედ ყოველგვარად უნდა შევეცადოთ ავხსნათ და გამოვარკვიოთ შესასწავლ ფაქტსა და გარემო სინამდვილეს შორის არსებული კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება.

4. არ უნდა დავკმაყოფილდეთ ფაქტის შესწავლით მის სტატიკურ მდგომარეობაში, არსებულ მომენტში მისი ყოფნის შესწავლით, არამედ ყოველგვარად უნდა შევეცადოთ ავხსნათ მისი გაჩენის, განვითარების და მოსპობის პროცესი.

5. არ უნდა დავკმაყოფილდეთ ფაქტების მხოლოდ აღნიშვნით, მათი მსგავსების, განსხვავების და ურთიერთდამოკიდებულების აღწერით, არამედ ყოველგვარად უნდა შევეცადოთ ავხსნათ ამ ფაქტების ობიექტური კანონზომიერება, ობიექტური აუცილებლობა, მათი მიზეზები.

6. ამა თუ იმ ფაქტებისა და მოვლენების მიზეზების სასახსნელად ყოველგვარად უნდა შევეცადოთ მოვძებნოდ და ავხსნათ ეს მიზეზები ობიექტურ პირობებში და რეალურად არსებული მატერიალური სინამდვილის კანონებში.

ყველა ამ მომენტმა, მიუხედავად მათი ფილოსოფიური მნიშვნელობისა, უნდა ჰპოვოს თავისი გამოხატულება ბავშებთან მუშაობაში, თუნდაც ძალიან პატარა ბავშებთან, მით უმეტეს, რომ სწორედ ეს მომენტები გვაძლევენ მარქსისტულ აღზრდას, აღზრდას, რომლის საშუალებით ბავში არა თუ მარტო გაიცნობს ქვეყანას ძირითადი მარქსისტული დებულების მიხედვით, არამედ კიდევ გარდაქმნის მას.

### 3. მოქმედებანიანობის აღზრდა.

შეიძლება ღრმად გრძნობდე რაიმე მოთხოვნილებას, შეგნებულ გეკონდეს იგი, შეიძლება აგრეთვე წარმოიდგინო მისი დაკმაყოფილების გზა და საშუალებებიც, მაგრამ მაინც პასიური მეოცნებე იყო. იმისათვის, რომ გრძნობამ და აზრმა მოქმედებაზე გადაგიყვანოს, საჭიროა სათანადო მიდრეკილება, სიტყვიდან საქმეზე გადასვლა, აქტიური სურვილი და მიდრეკილება, ვარემოზე აქტიური ზეგავლენის მოხდენის მოთხოვნილება, ე. ი., როგორც მარქსი ამბობს, „არა მარტო ვარემო ქვეყნიერების შესწავლის, არამედ მისი შეცვლის“ მოთხოვნილება.

ამიტომ ჩვენ თავიდანვე უნდა განვაფიქროთ ჩვენს ბავშვებში მოქმედებისადმი მისწრაფება, ჩვენ უნდა აღვზარდოთ მათში მშრომელი მოსახლეობის მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღების მოთხოვნილება, მოთხოვნილება იმის განხორციელებისა, რაც ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ, კარგად, მიზანშეწონილად.

მაგრამ მოქმედებანიანობა ჩვენი საბჭოთა გაგებით გულისხმობს არა მარტო მშენებლობას, მშვიდობიანი გზით ცხოვრების გაუმჯობესებას, არამედ უდრეკელ კლასობრივ ბრძოლასაც. ამ მომენტს განსაკუთრებით უნდა ვაღვსავს ხაზი ამჟამად, როცა ბრძოლა ჩვენ კლასობრივ მტრებთან მეტად გამწვავებულია როგორც შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

ჩვენი საბჭოთა მშენებლობა ამჟამად არ შეიძლება ცნობილ იქნეს მშვიდობიან მშენებლობად. იგი გამსჭვალული უნდა იყოს სასტიკი ბრძოლით. ამიტომ, როცა ჩვენ მოქმედებანიანობის აღზრდაზე ვლაპარაკობთ, ხაზი უნდა ვაღვსავთ მებრძოლი (კლასობრივი) მოქმედებანიანობის აღზრდას და პროლეტარიატისა და მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის მზადყოფნის საჭიროებას.

### 4. ცოდნით აღჭურვა.

თანამედროვე რთული ცხოვრება მოითხოვს ყველასაგან, ვინც მასში ფეხს შესდგამს, გამზადებული ცოდნის და პრაქტიკული ჩვევების განსაზღვრული მარაგით შეიარაღებას. ხშირად ცხოვრება წინასწარი მოფიქრების დროს არ გვაძლევს და მოითხოვს ჩვენგან სასწრაფო მოქმედებას. ჩვენ ხშირად გვიხდება ამა თუ იმ ვარემოებაში სასწრაფოდ გარკვევა და სარგებლობა წინასწარ გამზადებული პასუხებით ამა თუ იმ კითხვაზე. რაც უფრო მეტად ვიქნებით შეიარა-

ლებული ცნობებით და პრაქტიკული ჩვევებით, იმდენად უფრო ადვილად დაეძლევა ჩვენს წინაშე აღძრულ ცხოვრების ამოცანებს.

მეორე მხრივ, რამდენადაც მეტი გვაქვს სწორი, შემოწმებული ცნობები და მიზანშეწონილი ჩვევები, რამდენადაც ისინი უფრო მრავალფეროვანია, იმდენად უფრო მდიდარი და ნაყოფიერი იქნება ჩვენი აზროვნება, იმიტომ რომ აზროვნება ნიშნავს სწორი აზრის არჩევას, სწორი გზის არჩევას მოქმედებისათვის, აგი ნიშნავს აზრთა დაპირისპირებას, შეერთებას, შეხამებას, კომბინაციას, ამ უბრალო აზრებისაგან ახალი რთული აზრის აგების და მოქმედების გეგმის შედგენას. ამიტომაც, რაც უფრო მდიდარია ასარჩევი მასალა, რაც უფრო მეტი და მრავალფეროვანია სააღმშენებლო მასალა, — იმდენად უფრო მეტი საფუძველი გვაქვს, რომ ნაგებობა კარგი და გამოსადეგი იქნება.

რამდენადაც უფრო დიდია ჩვენი ცოდნის მარაგი, რაც უფრო ფართოა ჩვენი გამოცდილება ცხოვრების ამა თუ იმ დარგში, იმდენად უფრო შევიგრძნობთ და შევითვისებთ ამა თუ იმ მოვლენას, ცხოვრების ამა თუ იმ საკითხს. მაგ., აგრონომიულ დარგში გამოცდილი და მცოდნე პირი, უეჭველია, უფრო გაერკვევა, უფრო შეიგრძნობს სასოფლო მეურნეობის საკითხებსა და ფაქტებს, ვიდრე სხვა, რომელსაც ამ დარგის არაფერი გაეგება. მუსიკალურად განათლებული პირი უფრო შემთვისებელია მუსიკალური ხელოვნების სილამაზისა, ვიდრე ის, ვისაც არაფერია მუსიკალური მომზადება არა აქვს. ასეა ცხოვრების ყველა დარგში.

ამგვარად, ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები წარმოადგენენ ძირითად იარაღს, რომელიც ამდიდრებს ჩვენს გონებას და აქცევს მას როგორც შეთვისების, ისე გამოხმაურების აპარატად.

ამიტომ ჩვენი მოვალეობაა შევადარალოთ მოსწავლე ცოდნის და პრაქტიკული ჩვევების განსაზღვრული მინიმუმით, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თანამედროვე ცხოვრების ყველა დარგში: ადამიანისა და მისი გარემო ბუნების ურთიერთობის დარგში, ადამიანთა შორის ურთიერთობის დარგში, შრომისა და შემოქმედების დარგში, საბჭოთა სოც. რესპუბლიკების აღმშენებლობისა და მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის დარგებში.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კლასობრივ ბრძოლის არსის და ფაქტების ცოდნას და ამ ბრძოლასა და აღმშენებლობაში მონაწილეობისათვის საჭირო ჩვევებს. მოსწავლის მიერ სისწორით შეძენილი ცოდნა და ჩვევები ამ დარგში გამოდგებიან ამ საკითხებისადმი ინტერესის გაღრმავების საშუალებად და მარქსისტული აზროვნებისა და მოქმედების მასალად.

## 5. კოლექტიურ ჩვევათა აღზრდა.

კოლექტიურ ჩვევათა სირთულე და მნიშვნელობა მათ დაწვრილებით განმარტებას მოითხოვს.

დასახელებული ჩვევები, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობენ ცხოვრების და მუშაობის შემოღებას კოლექტივში. ეს მოითხოვს განსაკუთრებულ ვარჯიშობას.

შეიძლება ძალიან მგრძობიარე იყოს, შეიძლება ძალიან თანაუგრძობდნე მახლობელთა თუ შორეულთა სიხარულს ან ტანჯვას, მაგრამ მაინც ჟალრესი ინდივიდუალისტი არ არის შეგუებული კოლექტივში ცხოვრებასთან და მუშაობასთან, იგი ვერ შეეწყობა საერთო ტემპსა და რიტმს (საერთო ცხოვრებისა და მუშაობის ფარგლებში თავს შევიწროებულად და შებორკილად გრძობს), ვერ იქნება კოლექტიური საზოგადოების მშენებელი.

არ არის საკმაო შეგეძლოს კოლექტივისათვის მუშაობა, საჭიროს კოლექტივთან ერთად, თვით კოლექტივში შესძლო მუშაობა. ხშირად, „მასების სამსახურისათვის“ გამზადებული კაცი, როცა თვით მასაში მოხვდება, საერთო ცხოვრებასთან შეუწყობლობის და შეუგუებლობის უხერხულობას განიცდის; ამის გამო იგი გულგატეხილი და რწმენადაკარგული ტოვებს „ხალხის სამსახურს“ და იქცევა ვიწრო ეგოისტად.

ამიტომ საჭიროა თავიდანვე შევაჩვიოთ და შევაძენინოთ ბავშებს კოლექტიური თვისებები.

საჭიროა შევაჩვიოთ ბავშვები: 1) კარგი, მოწესრიგებული საერთო საცხოვრებელი სახლის ჩვევებს, შევაჩვიოთ საერთო სიკეთით თანაზიარად სარგებლობას.

2) უნდა შევაჩვიოთ საერთო და თანაზიარ აზროვნებას და განცდებს: ა) ყურადღებით ამხანაგის მოსმენას და რჩევით დახმარებას, ბ) კოლექტიურად აზროვნებას, პატიოსან კამათს, თავისი შეცდომის აღიარებას და მოწინააღმდეგის აზრში სიმართლის ცნობას.

3) უნდა აღვზარდოთ ბავშვებში მიდრეკილება კოლექტიურ მოქმედებისადმი: ა) საერთო გადაწყვეტილების დამორჩილება, დაკისრებული მოვალეობის ბოლომდე შესრულება, ბ) კოლექტიური ცხოვრების და მუშაობის საერთო ტემპის და რიტმის შეწყობა, შეგუება, გ) ამ საერთო რიტმით, კოლექტივთან ერთად შეთანხმებული მოქმედებით დატკობის გამოცდის ნიჭი.

4) უნდა შევაგნებინოთ ფართო პროლეტარული კოლექტივიზმის, კლასობრივი სოლიდარობის მნიშვნელობა არა მარტო ახლო

ნაცნობთა წრეში ან მეგობრებთან და ამხანაგებთან, არამედ მთელი კლასის მიმართ, ყველა მშრომელის მიმართ, განურჩევლად რასისა და ეროვნებისა (ინტერნაციონალი).

## 6. ორგანიზაციულ ჩვევათა აღზრდა.

კოლექტიური ცხოვრება და მუშაობა ყოველთვის ორგანიზატორულ ინიციატივას მოითხოვს. ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ კოლექტივის ცხოვრებისათვის კარგ, მკოდნე, პატიოსან და თავდადებულ ორგანიზატორებს.

ხშირად თითქოს ყველაფერი არის კარგი საერთო ცხოვრებისა და მუშაობის მოსაწყობად, საერთო საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ ორგანიზატორული ინიციატივის უქონლობის გამო საქმე არ განხორციელდება. კიდევ მეტი, ხშირად უკვე მოწყობილი, მოწესრიგებული საქმე ირღვევა და იფუშება, როგორც კი მიდის მისი ინიციატორი და ორგანიზატორი.

ამიტომ ჩვენ უნდა განვაავითაროთ მოსწავლის ორგანიზატორული ნიჭი და უნარი.

გარდა ამისა, ჩვენ უნდა განვაავითაროთ ჩვენს ბავშვებში საერთო იდეის გარშემო ხალხის გაერთიანებისკენ მიდრეკილება, კარგი პროპაგანდისტის ჩვევები, თანხმობის და სოლიდარობის შექმნის ჩვევები, საკითხის საერთო დამუშავების და საერთო შეთანხმებული გადაწყვეტილების ორგანიზაციის ჩვევები.

ჩვენ უნდა განვაავითაროთ ბავშვებში აგრეთვე კოლექტიურად მოქმედების მოწყობის უნარი, უნდა მივაჩვიოთ მომუშავეთა შორის შრომის სწორად განაწილებას, მუშაობის დროს საერთო ძალების შესაფერი ტემპისა და რიტმის არჩევას, წესრიგის მეთვალყურეობას და სამუშაოს დამთავრების პასუხისმგებლობას.

მაგრამ, რა თქმა უნდა, საერთოდ სკოლას და კერძოდ I საფეხურის სკოლას არ შეუძლია შეათვისებინოს ბავშვებს ყველა ზემოჩამოთვლილი ჩვევა დასრულებული სახით. ამ თვისებებს ადამიანი იძენს და აუმჯობესებს თანდათანობით მთელ თავის სიცოცხლეში. სკოლას შეუძლია მხოლოდ საძირკველი ჩაუყაროს ამ ჩვევებს და დააყენოს მოწაფე მათი შეძენისა და გაუმჯობესების გზაზე: შექმნას ამ ჩვევათა ზრდისა და განვითარების ერთგვარი ინერცია.

ამისათვის საჭიროა შევაჩვიოთ ბავშვები თავის თავზე მუშაობას თავისი საზოგადოებრივი ღირებულების ასამაღლებლად, ე. ი. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ბავშვებში ჩვევათა და ცოდნის შეძენის ჩვევა.

## 7. ბავშვის გაჯანსაღება,

საბჭოთა მშენებლობის ერთ აქტუალურ საკითხად ითვლება ბავშთა ნორმალურ ცხოვრებაზე ზრუნვა; ეს საკითხი საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით არის დაყენებული, განსაკუთრებულად ხაზგასმით კი—ფართო მშრომელთა მასების შეიღების მიმართ. კულტურულმა რევოლუციამ, რომელმაც უნდა მოგვეცეს ჩვეები ბურჟუაზიული ქვეყნის კულტურულ მიღწევათა შეძენის ხაზით, გაორკეცებული ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენი მუშათა და გლეხთა ფართო მასების ბავშვებს, ჩვენს მომავალს. ამ მიმართულებით მასწავლებელმა სკოლაში დიდი მუშაობა უნდა ჩაატაროს, მით უმეტეს, რომ პედაგოგიური მუშაობის წარმატების ძირითადი პირობაა—ბავშთა 'ჯანმრთელი ცხოვრება.

ჯანმრთელობის დარღვევა ხშირად გადაულახავ დაბრკოლებას ქმნის ზემოჩამოთვლილ თვისებათა განვითარებისათვის, ავადმყოფობა აჩლუნგებს ბავშვის აქტივობას; ზედმეტად აწეული აღმგზნებლობა ხშირად ამახინჯებს ბავშვის ინტერესს, უკარგავს მას აზროვნების და მუშაობის გულისყურს, აძლიერებს მისი ჩაგონების და მასზე შემთხვევითი ზეგავლენის მნიშვნელობას.

ამიტომ ასეთი ამოცანა დგას მასწავლებლის წინაშე ყოველგვარად ზრუნვა და ხელისშეწყობა ბავშვის და მათი ყოფი-ცხოვრების გაჯანსაღებისათვის. ეს ამოცანა ცილდება ვიწრო პედაგოგიური სამუშაოს ფარგლებს, ამ დარგში მასწავლებელს მხოლოდ ნაწილობრივ უხდება ბავშვებთან მუშაობა, მთავარი მუშაობა კი ამ დარგში მასწავლებელს მოუხდება მოსახლეობასთან, მშობლებთან და ბავშთა გაჯანსაღების ყველა საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან.

### I. ძალაქის ძუკა ზამთარში

ექსკურსია<sup>1)</sup>

ზამთრის მზიან დღეს ჩვენ მკიდრო გავუფიდ გამოვიდეთ სკოლიდან. ვირჩევთ მოხერხებულ ადგილს, საიდანაც იშლება ჩვენი ქუჩის საერთო სანახაობა. ვჩერდებით და ვაკვირდებით ნაცნობ ზამთრის პეიზაჟს. ქუჩა დაფარულია თეთრი, სპეტაკი თოვლით, იგი ძვეს ხეებზე, სახლის სახურავებზე, ღობეებზე; იმ ადგილებში, სადაც მზე ანათებს, იგი მეტად ბრწყინავს.

<sup>1)</sup> საექსკურსიო კრებულიდან „На зимних днях“.

ვიგონებთ, როგორ გამოიყურებოდა ჩვენი ქუჩა. შემოდგომაზე. სულ ცოტა ხნის წინათ ზედ ტალახი იყო და ლაფი იდგა. მის მაგიერ ახლა თეთრი, სუფთა ზეწარი ხურავს. თოვლმა გარშემო ყველაფერი მოალამაზა. თოვლის ქუდებ ჩამოფხატული სახლები ახლა უფრო მოკაზმული გამოიყურება. ჩაფლულან თოვლის ზვინებში და შიგ შესვლა შეუძლებელია: ჯერ კიდევ არ ჩამოუხვეტიათ დერეფანი და არ გაუწმენდიათ გზები. აი, გამოვიდა კაცი ნიჩბით. ხელის რამოდენიმე მოქნევით მიფანტ-მოფანტა თოვლი და გზა მზად არის. საკვამლეებიდან კვამლი ამოდის და მალლა სვეტივით მიიმართება: ჩანს, ჰაერში სიწყნარეა, ქარი არ არის. სახლებში სითბო და მყუდროებაა,—იქ ლუმელში ცეცხლი ანთია.

სასიამოვნოა გაბრწყვიალებული სამარხილე გზის და მტრედის ფერი ცის ყურება. ჩვენ ვმხიარულდებით, გვებადება სურვილი მოძრაობისა, გვინდა სირბილი, თამაში.

გავაკეთოთ რამდენიმე ჩქარი მოძრაობა, რომ გავთბეთ (მოვიგონოთ, როგორ ვადაქეჯა და მიფანტ-მოფანტა კაცმა ნიჩბით თოვლი), და წავიდეთ წინ.

როგორ წავიდეთ—შუა ქუჩით, თუ ქვაფენილზე? შუა ქუჩით მოუხერხებელია: შეიძლება რაიმე დაგვეჯახოს, ქვაფენილი კი თოვლით დაფარულია, იგი ახლა არც კი მოჩანს. სახლების გასწვრივ ვიწრო ბილიკი მიდის, იგი გაუტკეპნია ქვეითად მოსიარულე ხალხს. გავყვით ამ ბილიკს. გზაზე გვხვდება ხალხი, ზოგიერთები გვისწრებენ, ისინი აჩქარებული მიდიან, რომ გათბენ. ჩვენ წინ მიდის კაცი, თავზე ახურავს ბეწვის ქუდი, ხელებზე აცვია თბილი ხელთათმანები, ქამარში გაურქვია ცული და მხარზე ხერხი აქვს გადებული. ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ იგი შეშისმქრელია. ამჟამად მას ბევრი სამუშაო აქვს: ზამთრისათვის ყველა იმზადებს შემას და მისი დახმარება ყველას სჭირდება. აი, პატარა ბიჭი წიგნებიანი ჩანთით და ღვედზე ჩამოკიდებული ციგებით. მას უნდა სკოლაში მაცადინობის შემდეგ ამხანაგებთან ერთად ციგებით ყინულზე იცურაოს. მის უკან თბილ ქურქში გახვეული ქალი კალათით მიიჩქარის ბაზრისაკენ.

ჩვენ ჯგუფს რომ გვერდი აუარონ, ქვეით მგზავრებს უხდებათ გავლა რბილ, ჯერ დაუტკეპნელ თოვლზე, რომელზეც რჩება მათი ფეხის კვალი. შეიძლება თუ არა მივხვდეთ ამ დარჩენილი კვალით—რა ფეხსაცმელი სცმიათ მგზავრებს? ვცადოთ. დავიშალოთ რამდენიმე წუთით, მოვძებნოთ თოვლზე ფეხის კვალი და მერე ისევ შევხვდეთ ერთმანეთს აი იმ სვეტთან. რა ვნახეთ? ჩვენ შევამჩნიეთ დიდი ფართო კვალი—აქ ვილაცას გაუვლია მოთელილი მატყლის ფეხ-

საცმელით (ვალენკებით). შემდეგ ჩვენ დავინახეთ გარკვეული კვალი კალოშისა, მერე ჩექმისა. ზამთარში ყველა ცდილობს თავი დაიცვას თოვლისა და სიცივისაგან, ზოგი კალოშს იცვამს, ზოგი მოთელილი მატყლის ფეხსაცმელს (ვალენკებს); მაგრამ ჩექმაც თბილია: ყინვა და სიცივე შიგ ვერ შეატანს.

თოვლზე დარჩენილი კვალით ჩვენ ვგებულობთ, რომ ქუჩაში მარტო ადამიანები არა ყოფილან: აი, ცხენის ჩლიქების კვალი. თოვლის ზვინთან ბლომად ერთნაირი ფორმის ვიწრო სიღრმეები: ალბათ, აქ გაუბრუნია ძაღლს და ჩაფლულა ფხვიერ თოვლში. ჩვენ შევამჩნიეთ აგრეთვე ბევრი სხვადასხვა მიმართულების წვრილი ხაზი — ეს ჩიტების ფეხების კვალია. დავიხსოვოთ მათი ფორმა და მერე შევიტყოთ რა ჩიტები ყოფილან აქ.

წავიდეთ წინ და ისევ დავუკვირდეთ თოვლს ქუჩაში. ვუხვევთ განზე, ვჩერდებით და ერთი მეორეს შთაბეჭდილებებს ვუზიარებთ. თოვლი ახლა ისე სუფთა აღარ არის, იგი ახლა ნაცრისფერი გახდა, როგორც ქვიშა. იმ ადგილებზე, სადაც მარხილს გაუვლია, დარჩენილია ღრმა, ზოლისებური კვალი. ქუჩაში მიმოსვლა გახშირდა, და ამის გამო თოვლიც გაქუჩუქიანდა. გზა, რომელზეც ჩვენ მივდივართ, გაფართოვდა: იგი გაწმინდეს და ზედ ქვიშა მოაყარეს, რომ სიარული უფრო მოსახერხებელი იყოს. ქვაფენილზე მოსიარულე ახლა უფრო მეტია. უმრავლესობა ერთი მხრით მიიშართა — ცენტრისაკენ, სადაც მაღაზიები და ბაზარია. იქეთ მიდიან ეტლებიც და ცხენიანი ურმებიც. დავხედოთ სახლებს: ზოგიერთებზე ჰკიდია აბრები, ფანჯრები დიდი აქვთ — ეს მაღაზიების ვიტრინებია. მინა გაყინულია და ამიტომ არა ჩანს, რა საქონელია გამოწყობილი. იმისათვის, რომ მინას ყინული შემოადნეს, ფანჯრებში ზოგან გამოკიდებულია ანთებული ლამპები.

ქუჩის კუთხეში სხედან ბავშვების საყვარელი საქონლის — შაქრის ყინულის, ვაშლების და მზისუმზირას — გამყიდველნი. ვაშლებს ჰყიდის თბილ შალში გახვეული დედაბერი. ხელები მას შემალული აქვს ბეწვეულის მუფთაში (ხელის სათბუნებელში) და მაშინ გამოიღებს ხოლმე, როცა ფულს იღებს და საქონელს იძლევა.

აი, პაპიროსის გამყიდველი ბიჭი — ფეხს ფეხზე სცემს და ერთ ადგილზე ცეკვავს. მეეტლე ხელებს აქეთ-იქეთ იქნევს, რომ ცოტათი შეთბეს. ხალხი ყოველ ხერხს ხმარობს, რომ სიცივემ საქმის გაკეთება არ შეუშალოს. ვიღაცა ქალს დაუყრია პატარა (საბავშვო) მარხილზე ფიჩხი და ნაფოტი და მოაქვს შინ მცირე სათბობი მასალა. ალბათ, შინ მას შეცივებული ბავშვები ელოდებიან. ზამთრობით არა

მარტო ადამიანები, არამედ ნადირიც და ფრინველიც სიტბოს ეძებენ. ხის ტოტებზე ჩამომსხდარან აბუზული ბელურები. განსაკუთრებით ბევრია თავმოყრილი ეზოებში და სახურავების ქვეშ. აი მთელი გუნდი დაეწაფა მსუნაგურად გზაზე დაბნეულ ერთ მუჭა შერიას და ყოველი მათგანი იბრძვის თითოეული მარცვლისათვის. ცივათ და ჰშიათ ზამთარში თავშეუსაფარ ჩიტებს და ამიტომაც ეტანებიან ადამიანის საცხოვრებელ ბინას, იმ იმედით, რომ აქ უფრო გადაირჩენენ თავს სუსხისაგან და იშოვიან საკვებს გაზაფხულამდე.

დავუგდოთ ახლა ყური ქუჩიდან მოღწეულ ხმებს. ამ მიზნით გადავუხვიოთ მახლობელ მყუდრო შესახვევში, დავხუჭოთ თვალები, რომ სხვამ არაფერმა მიიპყროს ჩვენი ყურადღება და წყნარად დავუგდოთ ყური. ჩვენ ვამჩნევთ თოვლის კრიჭინს, მეეტლეთა და მეურმეების გამოხმაურებას, ზარის წკარუნს. მივხვდეთ, ვინ გაივლის ახლა იმ შესახვევის მახლობლად, სადაც ჩვენ ვდგავართ. აი ისმის ცხენების ფეხის ხმა და ეყვინის ჟღარუნია.—ეს მარხილია, მეეტლეს მიჰყავს მგზავრი; მსუბუქმა მარხილმა სწრაფად ჩამოგვიქროლა. შევეცადოთ დავიხსოვოთ ეყვინების ხმა და გავიმეოროთ მისი რიტმი ტაშის დაკვრით. ისევ ვიღაც მოდის. ისმის მარხილის ფერსოს გაჭიანურებული ჭრიალი, მათრახის ტკაცუნია. მგონია, რაღაც მძიმე მოაქვთ. გამოჩნდა ჯაგლაგა ცხენი, ფართო დაბალ მარხილში შებმული. ცხენს გვერდით მოყვება ნელი ნაბიჯით გლეხი. მას ტანზე აცვია ტყავის ქურჭი და თავზე ახურავს ცხვრის ქუდი. მარხილი დატვირთულია შეშით: კარგი არყის ხით, რომლის თეთრი კანი მზის შუქზე ბრწყყვიალებს. პირველ მარხილს მოჰყვება მეორე, მესამე. შეშის გარდა მარხილზე ძევს თივითა და ქურჭით დაფარული რაღაც რა უნდა იყოს? ეს, ალბათ, ტომრებია კართოფილით ან სხვა ბოსტნეულით. გლეხს უსარგებლნია კარგი სამარხილე გზით და ჩამოუტანია გასაყიდათ სოფლის სურსათი. მას თბილად დაუხურავს თავისი საქონელი, რადგან ბოსტნეულს სიცივე აფუჭებს და, შესაძლებელია, მყიდველმა აღარ ისურვოს მისი წაღება, თუ იგი ყინვისაგან დაზარული იქნება.

ჩვენ ისევ გვესმის თანდათან მოახლოვებული მარხილის ხმა,— მგერამ ქუჩის მეორე მხრიდან. ცხენი მსუბუქად და ჩქარა მორბის, მარხილის ფერსოს ჭრიალი ოდნავ ისმის. გლეხი უკვე ცალიერი, უტვირთოთ ბრუნდება სოფელში. ხელში უჭირავს ახალი ჩექმები. მას, როგორც გავს, იგი უყიდია კოოპერატივში—გაყიდულ სურსათში აღებული ფულით. იგი შინ მიიჩქარის, რადგან შინ სამუშაო ელის. აბა, მოვიფიქროთ, კიდევ რის ყიდვა შეეძლო გლეხს ქალაქში?

დროა სკოლაში დავებრუნდეთ. შევუხვიოთ უახლოეს ქუჩაში და შინ ახალი გზით დავებრუნდეთ. სიწყნარეა. ისევ სუფთა, თეთრი თოვლი. აქ მიმოსვლა იშვიათია. ჩვენამდე აღწევს ბავშვების მხიარული ხმები. მოწათფები გუნდ-გუნდად გამოიბიან სკოლიდან და მხიარულობენ მაცადინობის შემდეგ. სრიალობენ გორიდან ციგებითა და მარხილით, ზოგიერთები თხილამურებით დადიან. რამდენიმემ თოვლის კაცის კეთება დაიწყო. თოვლის გუნდა სწრაფად იზრდება. მთვემაროთ მათ. თხვიერი თოვლი მაგარ ბურთად იქცევა, ძლივს მივაგორებთ. ჩვენ თვალწინ აიშართა თოვლის კაცის მოუხეშავი ფიგურა. მას უფრო სწორი ფორმები უნდა მიეცეს. თოვლის პატარა ქულა, ცოტა ხანს თბილ ხელში დაჭერის შემდეგ ყინულის პატარა ბურთად გადაიქცა.

ქარგი იყო გვეთოვლავა, მაგრამ არა ვეცალია — გაკვეთილამდე ცოტა დრო დარჩა.

## II. აქვარიუმი

### (წიგნიდან „Трудовая школа“ გ. შარელმანისა)

ერთხელ გაკვეთილის დროს ვუამბე ბავშვებს ჩემა სიჭაბუკის განცდების შესახებ; ვუამბე, თუ როგორ დავდიოდით ბიჭები თევზების დასაჭერად ჭაობებში და როგორი ზღაპრულად ლამაზი წყლის უფსკრულები და თხრილებია იქ.

ბევრა უკვე იცნობდა წყლის სხვადასხვა ცხოველს, მაგრამ წყლის მცენარეებს თითქმის სრულიად არ იცნობდენ.

ბავშვები თვალდაჭყეტილი მისმენდენ, როცა ვუამბობდი ნახ „ნაძვის ქალებზე“, რომლებიც ჩვენი თხრილებისა და გუბების ნიადაგზე ხარობენ, „ალპის ველებზე“ და შიგ მცხოვრებ „ლომებსა და აფთრებზე“.

მე ავუხსენი, თუ რა ძალის დაჭიმვას მოითხოვს დაკვირვება და გამოკვლევა, რამდენი მოთმინებაა საჭირო იმისათვის, რომ დაუკვირდე ცხოველის ცხოვრებას და რომ ამიტომ უფრო მოსახერხებელი და ხელსაყრელია გავაკეთოთ გამჭვირვალე კედლებიანი გუბე ოთახში და საშუალება გვქონება ყოველდღე ვადევნოთ მის ცხოვრებას თვალყურით. აკვარიუმის გაკეთების აზრს ბავშვები აღტაცებით და საერთო აღფრთოვანებით შეხვდენ.

ჩემი ამოცანა არსებითად ამით დამთავრდა. მე დავუწყე, შემდეგი კი თვით ბავშვებზე იყო დამოკიდებული.

წამოიჭრა საკითხი: როგორ მოვაწყოთ აკვარიუმი? იყო, რასაკვირველია, წინადადებანი, რომ გაგვეკეთებინა კლდიანი მღვიმე. მე უარყავი ეს აზრი და მიეუთითე, რომ ჩვენს გუბეებში და თხრილებში ასეთი მღვიმეები არ არის.

თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს გამოვიკვლიოთ— როგორ ცხოვრობენ ჩვენს გუბეებში ცხოველები, მაშინ უნდა გავაკეთოთ აკვარიუმი ისე, თითქოს იგი ჩვენი გუბის ნაწილს წარმოადგენდეს.

ამის შემდეგ ისევ შემოაქვთ სხვადასხვაგვარი წინადადება. მე ვიწერ, რა ზომებს და ღონისძიებას გვაწვდის თითოეული მოწაფე და რის მოტანას გვპირდება აკვარიუმის მოსაწყობად. ვილაცა გვპირდება თიხის მოტანას მცენარეების დასარგავად. მაგრამ არავის არ მოაგონდა, რომ თიხა წყალს აამღვრევს და რომ საჭირო არის კარგად გარეცხილი, დაწმენდილი მდინარის ქვიშა. ერთი აპირებს თევზების დაჭერას, მეორე გვპირდება ქაობის ლოკოკინების მოტანას, მესამე— წურბელისას, დანარჩენები წყლის ბუზანკალებისა და კოლოების კვერცხებს გვპირდებიან. შეიძლება წარმოვიდვინოთ— რა გამოვა აქედან.

ცხადია, რომ ბევრი მარცხი და შეცდომა მოგველის, თუ თვითონ არ მივეცი შემდეგი მითითებანი აკვარიუმის მიზანშეწონილად მოწყობის შესახებ. თიხაზე დასხმული წყალი ყველაფერს უჩინარად აქცევს. ლოკოკინები შესჭამენ მცენარეებს. წყლის ბუზანკალი და წურბლები თევზებს დაესხმიან თავს, კოლოების კვერცხები ერთ წუთში ჩაიყლაპება და სხვ. საკმაოა კი ცოტა დახმარება—სულ რამდენიმე მითითება, და მაშინ აკვარიუმი უფრო მეტ სიხარულს მოჰგვრის ბავშებს.

მაგრამ რა უფრო სწორი იქნება? მიიღებენ ბავშები უფრო მეტ ცოდნას, თუ აკვარიუმის მოწყობას თავიდანვე მეცნიერულად დაიწყებენ? თუ მრავალჯერ განცდილი მარცხი და შეცდომა მიიყვანს მათ აკვარიუმის რაციონალურად მოწყობამდე?

მაგრამ ოდნავ გაღვიძებული ინტერესი რომ ისევ ჩაკედეს ბავშვის სულში ამ შეცდომების გამო? როგორ მოვიქცეთ მაშინ? მე გადავწყვიტე ფრთხილად წავსულიყავი ცოტაოდენ დათმობაზე.

მოხდა ისე, როგორც მოველოდი. მომიტანეს შლამიანი მიწის დიდი ბელტი, თუნუქის ქურჭლით ოცდათექვსმეტი წურბელი, ქაობის ბალახი ბლომად, რომლისგანაც გამოსადეგი იყო მხოლოდ 3-4 ცალი, ორი ოქროს თევზი შუშის ქილაში, დიდი წრიპინა ბუზანკალი, ორი ჭრიპინა და რამდენიმე ლოკოკინა.

ჩავდევეთ თიხა ყუთში, ჩავასხით წყალსადენიდან წყალი და... აკვარიუმი აივსო გაუმსჭვირვალე, ყავისფერი წვენიით.

„დავაცადოთ, დაიწმინდება“ — გადაწყვიტეს ბავშებმა. მეორე დღეს წყალი მართლა დაიწმინდა და გამკვირვალე გახდა, მაგრამ საკმაო იყო ოდნავი ამოძრავება, რომ ისევ ამღვრეულიყო. აკვარიუმის შუშის კედელი კი იფარებოდა ღია-ყავისფერი ნალექით, რაც მაინცა და მაინც ვერ უწყობდა ხელს დაუბრკოლებელ დაკვირვებას.

ჩვენს აკვარიუმში ცხოველების მოთავსებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ამიტომ, დროებით ისინი ქილებში მოვათავსეთ.

როგორ მოვიქცეთ, რომ წყალი დიდხანს დარჩეს წმინდათ? და, აი, ბოლოს მართლაც აღმოჩნდა ხერხიანი ბავში, რომელსაც მოუვიდა ასეთი მახვილი აზრი: აკვარიუმის ძირში მდებარე თიხა უნდა დაიფაროს წმინდა ქვიშით, რომ მოცურავე თევზებმა ვერ შესძლონ ნიადაგ წყლის ამღვრევა. ჩვენ ფრთხილად ვადმოვღვარეთ წყალი და გაეწმინდეთ კედლები; მეორე დღეს მართლაც მომიტანეს გარეცხილი მდინარის ქვიშა საკმაო რაოდენობით. შემდეგ წავედით ექსკურსიით ჩვენს ქაობზე, შევკრიბეთ ბლომად წყლის მცენარეები, და აი, აკვარიუმი მზად არის. მისი მოვლა ბავშებს მიენდო.

ჩვენ დავრგეთ შიგ რამდენიმე წყლის მცენარე. ოცდათექვსმეტი წურბელიდან მხოლოდ ორი შეეუშვიტ. ჩვენი წრიპინა ბუზანკალი ხტოცდა მალალ მცენარეზე და მეორე დღეს სულ გაჰქრა. ჭრიპინობელე-ბიც გაფრინდენ ღია სარკმელიდან, ოქროს თევზები კი მხიარულად დატურავდენ თავის აუზში.

ამგვარად საქმე მოეწყო სწორედ ისე, როგორც საჭირო იყო.

მე მოვუტანე კლასს რვეული, რომელშიც უნდა ჩაწერილიყო ყველა დაკვირვება.

ჩემს წინაშე მრავალი ჩაწერილი დაკვირვებაა. მნიშვნელოვანი და სერიოზული გაბნეულია შემთხვევითი ხასიათისა და მეორეხარისხოვანთ შორის. დაკვირვების დროს ბავშების წინაშე კითხვების მთელი რიგი წამოიჭრა.

რატომ იმღვრევა წყალი და რამდენიმე დღის გავლის შემდეგ მომწვანო ფერი ედება? რატომ ივსებენ თევზები დროგაპმოშვებით პირს ქვიშით და მერე უკანვე ჰყრიან ქვიშას? რატომ სჩიჩქნიან ეს თევზები ხანდახან ქვიშას, თითქო ხვეტავენო? რატომ შეუძლია ლოკოკინას, რომელიც შლამში ცხოვრობს, შუშის კედლებზე ხობვა? და სხვ.

როგორც კი წამოიჭრებოდა რომელიმე ამგვარი კითხვა, მაშინვე ყოველი მხრიდან მოისმოდა სხვადასხვა ახსნა და პასუხი.

მაგრამ როგორ გავვეგო ყოველ კერძო შემთხვევაში უტყუარი სინამდვილე? და, აი, სწორედ აქ იწყებოდა ნამდვილ მკვლევართა

მოღვაწეობა: შესწავლა, უფრო ფრთხილი დაკვირვება, აზროვნება და ცდების გაკეთება.

რატომ არის, რომ თევზები დროგამოშვებით პირს ქვიშაზე უსვამენ, თითქოს რწყილი კბენტო? ჩვენ გადავწყვიტეთ ამოვილოთ ერთი თევზი, ჩავსვათ იგი პატარა ქურჭელში და კარგად გამოვიკვლიოთ. პარაზიტებს ჩვენ ვერ ვამჩნევთ, მაგრამ კარგად ვხედავთ ლაყუჩებზე რამდენიმე თეთრ წერტილს. რა არის ეს, როგორ შევიტყუოთ? გადავსწყვიტეთ ფრთხილად მოვფხიკოთ და დავათვალიეროთ ეს თეთრი წერტილები მიკროსკოპში. აღმოჩნდა, რომ ეს წინწყლები პარაზიტი სოკოები ყოფილა.

შემდეგ ჩვენ ჩამოვსწყვიტეთ აკვარიუმის კედლებიდან რამდენიმე მწვანე ძაფი და ისიც მიკროსკოპში დავათვალიერეთ. ეს წყლის მცენარე აღმოჩნდა.

ყველაფერი, რასაც ვხედავთ და ვუკვირდებით, ფრთხილად და გულმოდგინედ იწერება და იხატება ჩვენს წიგნში.

ჩვენი საკუთარი გამოკვლევების დამატებით, მხედველობაში ვიღებთ იმასაც, რაც გაუკეთებიათ სხვა მკვლევართ ჩვენთვის საინტერესო საკითხების დარგში. ამ მიზნით კლასში მომაქვს სხვადასხვა წიგნი ბუნებისმეტყველებიდან; შესაძლებლობისამებრ, წიგნები მომაქვს ფერადებიანი სურათებით.

ჩვენ მუშაობას შედეგად მოჰყვა რამოდენიმე სახატავი ქალაქის ფურცელი, სადაც დაწვრილებით არის აღნიშნული ჩვენს მიერ ნანახი და გამოკვლეული, და მთელი რვეული მოხდენილ დაკვირვებათა აღწერისა.

### III. საბიბლიოთეკო ნაღი.

(წიგნიდან „სამოსწავლო მუშაობის პრაქტიკა“ შედგ. რ. ლემბერგის მიერ)

როგორც კი ისწავლეს ბავშვებმა კითხვა, წიგნზე გადასვლა შეიქნა საჭირო. აქამდე კი საკითხავად ბავშვები სარგებლობდნენ ბართებით და თავისი ხელით გაკეთებული, შინაარსით კომპლექსურ თემასთან დაკავშირებული წიგნებით.

სასკოლო სახელმძღვანელოების საყიდლად ბავშვების მიერ შეგროვილი ფულით რამოდენიმე საბავშვო წიგნი შევიძინე; გარდა ამისა, წიგნების ნაწილი ვიშოვე სასკოლო ბიბლიოთეკიდან, რამდენიმე წიგნი კი ბავშვებმა მოიტანეს საერთო სარგებლობისათვის შინიდან. ასე შესდგა ჩვენი პატარა ბიბლიოთეკა და საშუალება მომეცა დამეკმაყოფილებინა ბავშვების მოთხოვნილება.

პირველად წიგნებს მე თვითონ ვარიგებდი, რადგან ჯერ ბავშებისათვის წიგნების გაცემის ტექნიკა საძნელო იყო. მაგრამ შემდგომ თანდათანობით წიგნების მიღებას ზოგიერთ ბავშს მივანდობდი და ვავალებდი მკაცრად ედევნებინათ თვალყური, რომ წიგნები სუფთა და დაუზღვეველი დაბრუნებულიყო. წლის დასასრულს დავსვი ბავშების კრებაზე საკითხი საბიბლიოთეკო ნადის არჩევის შესახებ.

აიჩინეს ორი კვირით ოთხი ბავში და მიანდეს მათ წიგნების გაცემა, ჩაწერა, მიღება და დალაგება.

სამუშაო გაინაწილეს ერთიმეორეს შორის თვით ნადის წევრებმა. ჩვეულებრივ, წიგნის შინ გატანების დროს,—ორი იღებდა დაბრუნებულ წიგნებს, მესამე იძლეოდა და მეოთხე წერდა. მაგრამ, რადგან წიგნების ჩაწერა ყველას ეხალისებოდა, ამიტომ ამ მოვალეობას ნადის წევრები რიგ-რიგობით ასრულებდნენ.

ამ მუშაობამ ბავშები ძალიან გაიტაცა.

წიგნებს იძლევიან კვირაში სამჯერ, მეცადინეობის დასრულების შემდეგ. მიადგამდნენ ერთმანეთზე ორ მაგიდას, გადმოალაგებდნენ ზედ წიგნებს, დასხდებოდნენ თავის ადგილზე, და დაიწყებოდა გაცემა.

ბავშები გარს შემოეხვეოდნენ მაგიდას, აბარებდნენ წაკითხულ წიგნებს, გაცხოველებული ურჩევდნენ ერთმანეთს იმ წიგნის წაკითხვას, რომელიც მათ მოეწონათ, ხშირად მის შინაარსსაც უამბობდნენ, ირჩევდნენ ახალ წიგნს და წინასწარ რჩევას ეკითხებოდნენ როგორც ერთმანეთს, ისე მე.

ხშირად ბავში, რომელმაც ჯერ კარგად არც კი იცოდა კითხვა, ძნელ წიგნს იღებდა. ასეთ შემთხვევაში მებიბლიოთეკე მოიბრუნებდა ჩემთან და მკითხავდა: „მასწავლებლო, ვასო გაიგებს ამ წიგნს?“ თუ ეს წიგნი ბავშისათვის მართლა საძნელო იყო, მე ფურჩვედი სხვა წიგნის წაღებას.

წლის ბოლოს საბიბლიოთეკო ნადმა დაითვალა, ვინ რამდენი წიგნი წაკითხა. ყოველ მოწაფეს ეცნობა, თუ რამდენი წიგნი წაკითხა მან. თითოეულმა მოწაფემ ჩაიწერა ეს ცნობა.

#### IV. ჩვევებზე მუშაობის ცდიდან

##### (ზოგიერთ ამერიკულ სკოლაში)

ზოგიერთ ამერიკულ სკოლაში, გარდა ჩვეულებრივი მეცადინეობისა ანგარიშის ჩვევებზე, შემოღებულია ამგვარი ტიპის მაცადინეობა:

ყოველ მოწაფეს წლის დასაწყისში, ართმეტიკის ჩვეულებრივ სახელმძღვანელოთა გარდა, ეძლევა განსაკუთრებული წიგნაკი, შიგ

დაბეჭდილი მაგალითებითა და ამოცანებით, რომლებიც თავისი შინაარსით მიმდინარე წლის სამოსწავლო პროგრამას შეესაბამებინ. ყველა მაგალითი და ამოცანა დაყოფილია გაკვეთილებად იმ ანგარიშით, რომ თითო სასწავლო კვირაზე 1-2 გაკვეთილი მოდიოდეს. თითო გაკვეთილს უჭირავს გაშლილი წიგნაკის ორი გვერდი—მარცხენა და მარჯვენა. მარჯვენა გვერდზე დაბეჭდილია ამოცანები არითმეტიკულ მოქმედებებზე და პირობების გაგება, მარცხენაზე კი—წინათ დამოწმებული წესების მოკლე ფორმულები და მათი მაგალითები.


წიგნაკი ნავარაუდევია და დამყარებულია მოსწავლეთა თვითმოქმედებაზე და მათ დაინტერესებაზე თავისი ნამუშევარის შედეგებით. „თქვენ იცით ცოტა რამ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეერთება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა“,—ნათქვამია, მაგ., მოწაფეთადმი მიმართვაში მე-3 ჯგუფის წიგნაკის დასაწყისში,—„ახლა უნდა იზრუნოთ იმაზე, რომ ადვილი გახდეს ის, რაც აქამდე თქვენთვის საძნელო იყო. ამისათვის თქვენ ხშირად უნდა ივარჯიშოთ ანგარიშში. ამ წიგნაკში თქვენთვის დაბეჭდილია მთელი წლის სავარჯიშო და ამოცანები. თუ დახედავთ წიგნაკის ბოლოს, თქვენ ნახავთ იქ ამოცანებს, რომელთა გამოყვანას ამ უამად თქვენ ვერ შესძლებთ. თუ გაკვეთილებზე ყურადღებით იქნებით და შეასრულებთ ყველა სავარჯიშოსა და მითითებას, რომელთაც კლასში გაძლევენ და რომელნიც ამ წიგნაკში მოყვანილი,—თქვენთვის ადვილი გახდება ამ წიგნაკში დაბეჭდილ ამოცანათა შორის უძნელესი ამოცანების „გამოყვანა“.

წიგნაკის მარჯვენა გვერდს, რომელიც ამოცანებს შეიცავს, მთელი კლასი ერთდროულად დაამუშავებს. მასწავლებელი წინადადებას აძლევს მოწაფეებს გადაშალონ წიგნი განსაზღვრულ გვერდზე და მოწაფეებთან ერთად კითხულობს ინსტრუქციას, რომელიც ამოცანების წინ არის დაბეჭდილი. ინსტრუქციაში, რომელიც მოწაფეებისადმი მიმართული, ნათქვამია: თქვენ გეძლევათ იმ ამოცანების გამოსაყვანად, რომელიც ამ გვერდზეა დაბეჭდილი, სწორედ თხუთმეტი წუთი. ამოცანები გამოიყვანეთ რიგ-რიგობით, ერთი მეორეს შემდეგ; გამოიყვანეთ რაც შეიძლება ჩქარა და სისწორით. პასუხი და გამოანგარიშება ჩასწერეთ თვით წიგნაკში, ამისათვის მიჩენილ ადგილებზე. თხუთმეტი წუთის შემდეგ რომ გამოგეცხადებთ—„კმარა“,—შეწყვიტეთ სამუშაო და დააწყეთ მაგიდაზე.

ინსტრუქციის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი ინაწილებს მოწაფეებს და ყველანი ერთდროულად იწყებენ ამოცანების გამოყვანას. ამოცანები გაკვეთილებისათვის შერჩეულია იმ ანგარიშით, რომ

მათი გამოყვანა შეუძლია მოწაფეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო საანგარიშო ოპერაციები მას სავსებით აქვს შეთვისებული.

მას შემდეგ, რაც მიცემული იქნება ნიშანი — „კმარა“, მოწაფეები წყვეტენ მუშაობას და იწყებენ მასწავლებელთან ერთად ყოველი ამოცანის გამოყვანის შემოწმებას. ერთი მოწაფეთაგანი აცხადებს ამოცანის პასუხს; დანარჩენები ადარებენ მას თავის პასუხს. თუ პასუხი სწორია და ყველა მოწაფის მიერ ამოცანა სწორად არის გამოყვანილი, გადადიან მეორე ამოცანის გამოყვანის შემოწმებაზე. თუ რომელიმე მოწაფე სხვა პასუხს ასახელებს, — იწყება მთელი კლასის მიერ განხილვა იმისა, თუ რომელი პასუხი უნდა იქნეს ცნობილი სწორედ და რატომ. მას შემდეგ, რაც მთელი გაკვეთილი ამგვარად იქნება გარჩეული, ყოველი მოწაფე ითვლის სწორად გამოყვანილი ამოცანების რიცხვს. ეს რიცხვი შეაქვთ წიგნაკის ბოლოში მოთავსებულ ცხრილში. ცხრილს ზოგიერთ წიგნაკში ასეთი სახე აქვს:



ჰორიზონტალურ ხაზზე ციფრები აჩვენებენ გაკვეთილების ნუმრებს. ვერტიკალურ ხაზზე — გამოყვანილ ამოცანათა რიცხვს ან წარმატების ციფრობრივ შეფასებას. ცხრილზე გაყვანილი მრუდი ხაზი გვიჩვენებს, რომ პირველი გაკვეთილის დამუშავების დროს მოწაფეს

გამოუყვანია ორი ამოცანა, მეორე გაკვეთილზე აგრეთვე ორი, მესამეზე — ერთი, მეოთხეზე სამი და სხვ. სასწავლო წლის დასასრულს მეოცდაათე გაკვეთილზე მას გამოუყვანია ათივე ამოცანა. ამგვარად ეს ცხრილი მოწაფეს თვალსაჩინოდ უჩვენებს მისი წარმატების და მიღწევების დონეს როგორც ცალკე მომენტში, ისე მთელი წლის განმავლობაში მაცადინობის სხვადასხვა პერიოდში, მრუდი ხაზის მაღლა მიმართვა აჩვენებს მოწაფის წარმატების აწევას, ქვევით მიმართვა კი — მის შესუსტებას, დაწევას.

ყოველი ასეთი მუშაობის შემდეგ მოწაფეები ადარებენ თავის შედეგებს სხვა ამხანაგებისას და აგრეთვე ჯგუფის საშუალო შედეგს, მასწავლებელი კი აცნობებს მათ სწავლის ამ მომენტის მიღწევათა ნორმას ანუ სტანდარტს, გამოყვანილს და დაწესებულს სპეციალურ გამოკვლევათა მეშვეობით. თუ მოწაფის მუშაობის შედეგები სტანდარტის ანუ მისი ჯგუფის ამხანაგთა უმრავლესობის შედეგზე დაბალია, ან თუ მოწაფეს სურს ასწიოს თავისი წარმატება, მას წინადადება ეძლევა დამოუკიდებლად შეასრულოს ის სავარჯიშო, რომელიც მოყვანილია გაკვეთილის მარცხენა გვერდზე. ამ სავარჯიშოებში მოცემულია მოწაფეთათვის ყველაზე უფრო საძნელო ამოცანათა ტიპები და რიცხვობრივი კომბინაციები.

ჯგუფის ხელმძღვანელს გამოცდის შედეგები, თავის მხრივ, შეაქვს სპეციალურ ოქმში. ამ ოქმში აღრიცხულია, თუ რომელი ამოცანა მოწაფეთა რა რიცხვმა გამოიყვანა და რა ტიპების ამოცანები აღმოჩნდა სუსტად შეთვისებული მოწაფეების მიერ. აქვე იწერება, თუ რა კითხვები და რომელი სავარჯიშოები უნდა იქნეს დამატებით დამუშავებული კლასში. ყოველ გაკვეთილზე გამოყვანილ ამოცანათა საშუალო რიცხვი მთელი ჯგუფისათვის მასწავლებელს შეაქვს ისეთსავე ცხრილში, როგორიც იყო ზემომოყვანილი ინდივიდუალური ცხრილი. ამ ცხრილზე მიღებული მრუდი ხაზი გვიჩვენებს მთელი ჯგუფის ჩვევათა განვითარების ტემპსა და განსაკუთრებულ ხასიათს. მოწაფეებს აცნობებენ მათი ჯგუფის საშუალო მიღწევებს და აგრეთვე იმას, თუ რამდენად ახლოა ან ჩამორჩენილია ეს ჯგუფი იმავე წლის საშუალო ნორმალური ჯგუფისაგან. ამის მიხედვით თვით მოწაფეები მასწავლებელთან ერთად აკეთებენ დასკვნებს, თუ როგორი გეგმით უნდა იმუშაონ შემდგომ ანგარიშის ჩვევებზე.

## V. ოქტომბრის დღესასწაული მე-III და მე-IV ჯგუფებში

(კრებულიდან: „Практика работы по программе Гүс-а“ ზაკოქურნიკოვის, ლიტვინენკოს, იანოვსკი-ბაილინის რედაქციით)

მასწავლებელთა და ჯგუფების წარმომადგენელთა საერთო კრებაზე ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის ჩატარებას საფუძვლად დაედო შემდეგი: 1) დღესასწაულობენ ერთად ყველა მესამე და მეოთხე ჯგუფები, რიცხვით 240 კაცი (პარალელები). 2) დღესასწაულში აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ ჯგუფების ყველა მოწაფე და ყველა მასწავლებელი. 3) დღესასწაულს მასიური მოქმედების, მასიური თამაშობის ხასიათი უნდა ექნეს. 4) დღესასწაულის შინაარსი უნდა იყოს ბავშებისათვის გასაგები და მისაწვდომი, მან უნდა გამოხატოს ოქტომბრის მთავარი მიღწევანი. 5) დღესასწაულის საზეიმო ნაწილი უნდა შეცვალოს მხიარულებამ, ბავშების უშუალო შემოქმედებამ, თამაშობამ, ხალხურმა ცეკვამ, რადგან ეს დღესასწაული მშრომელთა გამარჯვების დღესასწაულია.

კონკრეტულად, დღესასწაულის პროგრამა ასეთი შესდგა: დღესასწაულის პირველ ნაწილში ყოველმა ჯგუფმა უნდა გამოხატოს— პლაკატებით, მაკეტებით, სცენებით, ლექსებით, მოხსენებებით და სხვ. ოქტომბრის რევოლუციის მიღწევათა დამახასიათებელი ერთ-ერთი ლოზუნგი.

დღესასწაულის მეორე ნაწილის, ეგრეთწოდებული სამხიარულო ნაწილის ჩატარების შესახებ შემდეგი გადაწყდა: ყოველი ჯგუფი გამოჰყოფს აქტიურ უჯრედს, რომელიც დაამზადებს რაიმე საინტერესოს, მაგ. შარადას, მოაწყობს სცენას, სიმღერას, თამაშობას, ცეკვას და სხვ. სხვა ბავშები კი, მონაწილეთა გარდა, დაიშლებიან, მიდიან იქ, სადაც სურთ და უყურებენ იმას, რაც აინტერესებთ. ამავდროს ყველა რვა კლასის კარებზე გამოფენილი უნდა იქნეს იმის მაჩვენებელი პლაკატი, თუ რა იქნება მოწყობილი ამ კლასში, მაგ. „მოდი ჩვენთან—აქ თამაშობაა“, ან „მოდი შარადის საყურებლად“ და სხვ. ამგვ.

მოვიწვიეთ მეზობელი სკოლის მოწაფეთა მშობლები და იმ მუშათა კლუბის წარმომადგენლები, რომლებთანაც დაკავშირებულია ჩვენი დღესასწაულის პირველი ნაწილი. საღამოს 6 საათზე სკოლა სკასავით ახმაურდა. ყოველი კლასი მაგრად ხურავდა თავის კარებს, რადგან თავის გამოსვლის საიდუმლოებას ინახავდა; შიგ მზადებას ამთავრებდენ: ტანს იცვამდენ, დახატულ პლაკატებს ღებავდენ და სხვ. ბოლოს მოისმა ზარის ხმა, და რვა კლასიდან წამოვიდა ძირს პრო-

ცესია—ჭრელი, მოკაზმული, ავზნებული. ყოველ კლასს მოჰქონდა არა ნაკლებ 6-8 ემბლემისა, ჯგუფის წინ კი—მთავარი დროშა, რომელზეც გამოხატული იყო ჯგუფის მიერ თავზე აღებული ამოცანის მთავარი აზრი.

ნელი ნაბიჯით შევიდნენ ბავშვები მორთულ-მოკაზმულ დარბაზში. შემოიარეს დარბაზი რამდენიმეჯერ, შემდეგ მედროშეები გაჩერდნენ შუაზე, დანარჩენები კი გარშემო დასხდნენ იატაკზე.

დაიწყო საზეიმო ნაწილი. ჯგუფები გამოდიოდნენ რიგ-რიგობით და აწყობდნენ თავისი ლოზუნგის დემონსტრაციას, აწყობდნენ ამ ლოზუნგის შინაარსის ამხსნელ სცენებს, დეკლამაციას. ზოგიერთი ჯგუფიდან გაკეთებულ იქნა მცირე მოხსენებები. ბავშვები დიდი ყურადღებით და ინტერესით ისმენდნენ და უყურებდნენ. სასწავლო კომიტეტის და ფორპოსტის წარმომადგენლებმა სთქვეს რამდენიმე მისასალმებელი სიტყვა. მასწავლებელმა ყველა გამოსვლის მიხედვით საერთო დასკვნა გააკეთა.

ამის შემდეგ ყველანი წამოდგნენ. მედროშეებმა ისევ შემოუარეს დარბაზს, შემდეგ დაალაგეს დროშები და პლაკატები წინასწარ მიჩენილ ადგილზე და ყველანი ჩამწკრივდნენ ფიზკულტურისათვის. ორასორმოცამდე კაცი ერთდროულად ერთგვარ ფიგურულ მოძრაობას აკეთებდა; ძალისა და მოქნილობის გამომხატველი იყო ეს კოლექტიური გამოსვლა. ეს მოძრაობა დამთავრდა ორი საერთო წრით. შემდეგ მოაწყეს მოძრაობით ინსცენირობა და დეკლამაცია ლექსისა— „ბავშვებო ყველა ქვეყნისა“, იმღერეს „ინტერნაციონალი“ და „ახალი გვარდია“.

დარბაზიდან ბავშვები მწყობრად გამოვიდნენ და გაემართნენ მალა. მედროშეებმა კი აიღეს თავისი დროშები, პლაკატები და თავისუფლად დაიწყეს სიარული სტუმრების თხოვნით, რომ ერთხელ კიდევ მიეცათ საშუალება დამტკბარიყვენ კარგად შესრულებული სურათებით.

**დღესასწაულის მეორე ნაწილი.** ზემო სართულში ასული ბავშვები შეჯგუფებულიყვნენ და ერთიმეორეს ეჯახებოდნენ დერეფანში. ყველა მიისწრაფოდა დაკეტილი კარებისაკენ, რომლებზეც უკვე გაკეთებული იყო მომპატიყებელი წარწერა. ყოველ ბავშს უკვე არჩეული ჰქონდა ადგილი, სადაც ის წავიდოდა საცქერად. წინასწარ დათქმული იყო, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ კლასში აღარავის არ შეუშვებდნენ.

ორას ორმოცი ადამიანის ხმაურობის შემდეგ უცებ ჩამოვარდა არაჩვეულებრივი სიჩუმე. ეს ნიშნავს—დაიწყო.

ერთ კლასში მოაწყეს თეთრების და წითლების თამაშობა; თამაშობა შეიძლებოდა სკოლის ოთხივე სართულში. უნდა აღინიშნოს, რომ იმათ ვერაფერს ამჩნევდა, ისე მოხერხებულად იმალებოდნენ და ხელს არავის უშლიდნენ (თამაშობდა ორმოცი კაცი). წითლებს გაარჩევდით წითელი წასაკრავით, თეთრებს—თეთრით.

სხვა კლასში მოაწყეს პატარა ინსცენირობა. ორ კლასში მოწყობილი იყო შარადები. ძირს დიდ დარბაზში გამართული იყო მოძრავი თამაშობანი და ხალხური იმპროვიზაციული ცეკვა კოსტიუმებით: ჩინური, ინდუსური, რუსული.—ცეკვავდა ჯერ ერთი წყვილი სათანადო კოსტიუმებით, შემდეგ ყველანი.

როცა წასვლის ზარი გაისმა, ჩვენ დიდხანს ვერ შევძლეთ ბავშვების, მათი მშობლებისა და სტუმრების გასტუმრება.

„არასოდეს არა ყოფილა ასეთი დღესასწაული“, ამბობდნენ წასვლისას ბავშვები.

## VI. ბუზთან ბრძოლა

### (მოსკოვის ერთი სკოლის ცდიდან)

ჯერ კიდევ ზამთარში, გარემო ცხოვრების გაჯანსაღების საკითხის დამუშავების დროს, ბავშვებმა შეიტყეს, რომ სხვადასხვა შინაურ მწერებს (ბალლინჯოს, რწყილს, ბუზს და სხვ.) დიდი მავნებლობა მოაქვთ ადამიანისათვის. მაშინვე გადასროლილ იქნა ლოზუნგი: „ომი ადამიანის მტრებს—შინაურ მწერებს“.

როცა დადგა გაზაფხული და გამოჩნდა ბუზების დიდი რიცხვი, ბავშვების წინაშე ბუნებრივად დაისვა საკითხი ბუზების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

რა იცოდნენ ბუზის შესახებ ბავშვებმა?—ბუზი მომამბეზრებელია, გეჩრება პირში, თვალში, დაცოცავს სახეზე, აჯდება საჭმელს. იმავე დროს იგი დაფრინავს ბინძურ ადგილებში და იქედან მოაქვს ჭუჭყი, ჭუჭყში კი არის გადამდები სენი; მაშასადამე, ბუზს შეუძლია სენის მოტანა.

ეს ცნობები საკმაო იყო, რომ ბუზს ბრძოლა გამოცხადებოდა. მაგრამ ამ ბრძოლის საწარმოებლად ეს ცნობები არ კმაროდა, რაც ბავშვებმა აშკარად დაინახეს პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე.

ჯგუფის კრებაზე დაისვა საკითხი:—როგორ მოვსპოთ ბუზი? ჩამოთვლილ იქნა ყველა ცნობილი საშუალება: ბუზისსაჭერი, შხამიანი წებოიანი ქაღალდი... მაგრამ გადაუწყვეტელი დარჩა საკითხი: როგორ მოვსპოთ ბუზი ოთახის გარეთ, იმ ადგილებში, სადაც ისი-

ნი მრავლად არიან და საიდანაც მოფრინავენ ჩვენთან; სად და როგორ მრავლდებიან და სხვ. გადაწყდა ჯერ ბუზის ცხოვრების გაცნობა და შემდეგ მის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმის შედგენა.

ექვს ბავშვს მიენდო ეშოვნათ წიგნები ბუზის შესახებ სასკოლო და სარაიონო ბიბლიოთეკიდან და პედაგოგიური მუზეუმიდან. ორს დაევალა წასულიყვნენ სანიტარული განათლების სარაიონო მუზეუმში, ეთხოვათ იქ შესაფერი წიგნები და, თუ მუზეუმში ბუზის შესახებ რაიმე სანახავი არის, ჩაეწერათ მთელი ჯგუფი ექსკურსიაზე.

შემდეგ გადაწყდა: 1) მიღებული წიგნები წაიკითხონ გაკვეთილებზე. რომ ერთიმეორესათვის ხელი არ შეეშალოს, უნდა დაყოფილიყვნენ პატარა ჯგუფებად და დაბალი ხმით ეკითხათ.

2) სანიტარული განათლების მუზეუმში ექსკურსიის გაკეთება.

3) ბუზებთან ბრძოლის საკითხის განხილვა ექიმთან ერთად.

ლიტერატურის კითხვას ოთხი საათი მოუხდა. კითხვასთან ერთად ხდებოდა სხვადასხვა გამოანგარიშება, რომელიც ახასიათებს ბუზის გამრავლების სისწრაფეს, შედგენილ იქნა სათანადო დიაგრამები, გაკეთდა ნახატები. ამ მუშაობაზე წავიდა ორი საათი. ორი საათი მოუხდა მუზეუმში ექსკურსიას.

საშინლად გააოცა ბავშვები ბუზების ნაყოფიერების სურათმა. გააოცა აგრეთვე ბუზის მიერ მოტანილ გადამდებ ავადმყოფობათა რიცხვმა, ბუზის ცხოვრების დაწვრილებითმა ცნობებმა და საერთო დასკვნამ, რომ ბუზი—ჩვენი ჯანმრთელობის ყველაზე საშიში მტერია.

დიდი სიცხოველით ცდილობდნენ ბავშვები გამოენახათ წიგნიდან ბუზებთან ბრძოლის ყოველგვარი საშუალება.

კითხვის შემდეგ ბავშვების პირველი უშუალო ნაბიჯი იყო — სურვილი ბუზების ამ საშინელი მილიარდი კვერცხების ნახვისა. სანაგვე, რასაკვირველია, არ გამოდგება დაკვირვების ადგილად. მაგრამ საჯინიბოში, ნეხვში ბავშვებმა ნახეს თავმოყრილი კვერცხები, უფრო ღრმად კი, მიწასთან ახლოს—ბუზის უთვალავი მატლები.

დაიბადა კითხვა: იქნება ამ მატლებს არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ ბუზთან? როგორ შევამოწმოთ. დაკვირვების წარმოება არ შეიძლება არც სანაგვეზე და არც საჯინიბოში.

გადაწყდა: 1) წავილოთ ბუზისკვერცხებიანი ნეხვის პატარა ნაქერი, მოვათავსოთ ცოცხალ კუთხეში ხშირი ბადის ქვეშ და დაუკვირდეთ კვერცხების გარდაქცევას.

2) დაუკვირდეთ ბუზის თავიდანვე განვითარებას. ამისათვის ავილოთ უმი ხორცის პატარა ნაქერი და თეთვით დაედოთ ღია ფანჯარაზე, — ვადევნოთ თვალყური, როგორ ასხდებიან ცხელ დღეში

მას ბუზები, შემდეგ დავხუროთ იგი მჭიდრო ბადით და ვაწარმოოთ ყოველდღიურად დაკვირვებანი.

მობდენილმა ცდამ ბავშვებს სრული საშუალება მისცა დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ ბუზი დებს უთვალავ კვერცხს [და ენახათ ბუზის განვითარების მთელი მსვლელობა.

ბუზის გადაქცევაზე დაკვირვების არაჩვეულებრივი ინტერესი ჰქონდა ყველა ბავშვს. პირველ დღეს ბუზის კვერცხებს ყველა ნახულობდა გამადიდებელ შუშით, შემდეგ კი უბრალო თვალითაც ხედავდნენ, უკვირდებოდნენ კვერცხების ზრდას და მათ თანდათან ბუზად გარდაქმნას. როცა ორი კვირის შემდეგ (ცხელ ამინდში) წამოზრდილმა ბუზებმა ბადის ქვეშ ფრენა დაიწყეს, — ბავშვების გაკვირვებასა და წამოძახილებს საზღვარი არა ჰქონდა.

ბუზის განვითარებაზე დაკვირვებასთან ერთად, ყოველი მოწაფე ახდენდა თავისი ბინის გამოკვლევას. გამოკვლევა წარმოებდა შემდეგი ანკეტით:

1. არის თუ არა სახლში ბუზები?
2. როგორ ინახება სახლში საკმელი? (დახურულად, ღიად).
3. როგორ ინახება სახლის სანაგვე ყუთი ან ვედრო (ღიად, დახურულად, მშრალია თუ სველი, დიდხანს რჩება სახლში თუ არა)?
4. როგორ ინახება საპირფარეშო?
5. შორს არის თუ არა სახლიდან სანოვავე ყუთი და სანარეცხე?
6. როგორ ინახება (ღიად, დახურულად, ხშირად იწმინდება თუ არა)?
7. არის თუ არა სახლთან ნახირი, ფრინველები?
8. როგორ სადგომში არიან მოთავსებული (ხშირად იზიდება თუ არა ნეხვი და რამდენად შორს მიაქვთ)?

ანკეტები დამუშავდა (2 საათში) და მივიღეთ საცხოვრებელი ბინის და განსაკუთრებით სანარეცხეს ანტისანიტარული მდგომარეობის სურათი.

ბავშვების მესამე საერთო კრებამ სკოლის ექიმის თანადასწრებით მოისმინა ყველა მოხსენება, განიხილა დასურათებული დიაგრამები, ნახატები და შეადგინა ბუზთან ორი მიმართულებით ბრძოლის გეგმა:

1) ჩატარდეს მოსახლეობას შორის პროპაგანდა ბუზთან ბრძოლის საჭიროების შესახებ, განემარტოს და ეჩვენოს მცხოვრებლებს, თუ რამდენად დიდი მავნებლობა მოაქვს ბუზს ადამიანისათვის.

2) მეზობელი ქარხნის ჯანმრთელობის უჯრედთან და საბინაო ამხანაგობის სანიტარულ უჯრედთან კავშირის გაბმა და სკოლის რაიონში ნაგვის შენახვის საკითხის გამოკვლევა. ბავშების მიერ მოხდენილმა გამოკვლევამ გამოაშკარავა, რომ ბუზების გამრავლების მთავარი კერა სწორედ აქ არის.

3) ჯანმრთელობის უჯრედთან და მსხვილ საბინაო ამხანაგობათა სანიტარულ უჯრედთან ერთად გამოკვლევის მასალის დამუშავება და ბუზების გამრავლების კერათა ლიკვიდაციის მოსახდენად მომავალი საჭირო მუშაობის გეგმის შედგენა.

გამოკვლევა ასეთი წესით იქნა მოხდენილი: სასკოლო მაცადინობის უკანასკნელი ორი საათის განმავლობაში ყველა მოწაფე, მასწავლებელი, ექვსი კაცი მშობლებისაგან (რომელნიც გამოეხმაურენ ბავშების წერილს—საბინაო ამხანაგობის სანიტარული უჯრედისადმი), 2 წევრი ქარხნის ჯანმრთელობის უჯრედისა, ფორპოსტის წინამძღოლი, სასწავლო კომიტეტის წარმომადგენელი—გაიყვენ ჯგუფებად (სამ სამი კაცი) და შემოიარეს სკოლის რაიონი. წინასწარ განზადებულ რაიონის სქემატიურ პლანზე ისინი ნიშნავდენ ყველა სანაგვე ადგილს.

მეორე დღეს გაკვეთილზე მოხდა გამოკვლევის მასალის დამუშავება და გამოტანილ იქნა დასკვნა, რომ ეს სანაგვე, სანარეცხე ადგილები ბუზების გამრავლებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენენ.

მასწავლებელმა თავის თავზე აიღო ბავშების დავალება—შეიტყოს რაიონულ კეთილმოწყობის განყოფილებაში, არის თუ არა ეს ადგილები გატარებული რეგისტრაციაში და იწმინდება თუ არა ისე ხშირად, როგორც საჭიროა.

მასწავლებლის მოლაპარაკების შედეგმა გამოარკვია, რომ იმ ადგილების უმრავლესობა, სადაც ნაგავს ჰყრიან, აღრიცხული არ არის, მეთვალყურეობა აკლია და ნაგავი იქიდან არ იზიდება.

მოწაფეთა მეოთხე საერთო კრებამ (რომელზედაც დაესწრენ სკოლის ექიმი, ქარხნის ჯანმრთელობის უჯრედის წარმომადგენელი, ფორპოსტის წინამძღოლი და სასწავლო კომიტეტის წარმომადგენელი) მოისმინა მოხსენება სასკოლო რაიონის გამოკვლევის შესახებ და დაადგინა:

1) ეთხოვოს სარაიონო კეთილმოწყობის განყოფილებას — მიიღოს ზომები სანაგვე ადგილების და სანარეცხე ორმოების მოსასპობად.

2) ეთხოვოს ჯანმრთელობის უჯრედს მიიღოს ზომები და გაწმინდოს ნაგვისაგან სკოლის გვერდით მოთავსებული მოედანი.

3) დათესოს სკოლამ ამ მოედანზე ბალახი. შემდგომ, თუ ადგილობრივი კომუნალური მეურნეობის განყოფილება დაუთმობს სკოლას ამ მოედანს, თუნდაც დროებით სარგებლობისთვის—მოეწყოს ზედ უპატრონო ბავშთა მოედანი.

ბუზთან ბრძოლის მთელი სამუშაო დასრულებულია:

1) ბავშვების მუშაობით ქარხნის კომიტეტის მიერ, გაწმენდილ მოედანზე.

2) ბუზთან ბრძოლის საჭიროების პროპაგანდით.

ბუზთან ბრძოლის პროპაგანდა ამ სახით ჩატარდა:

ა) შედგენილია კედლის გაზეთი, სადაც მკაფიოდ არის ნაჩვენები ბუზის მავნებლობა და მითითებულია მის წინააღმდეგ ბრძოლის ზომებზე (ამოწერილია ბროშიურებიდან). გაზეთი დაკიდებულია საქარხნო კლუბის სან-კუთხეში.

ბ) ამოწერილია ყველაფერი, რაც საბინაო ამხანაგობებს ეხება და გამოკიდებულია სკოლის კანტორებში.

გ) ჩატარებულია კრება მშობლებთან ერთად. მოხსენება გააკეთა მოწაფემ, თანამოხსენება—მასწავლებელმა.

დ) გაკეთებულია (კედლის გაზეთით) მოხსენება საქარხნო კლუბში.

## V. საკონტრაქტო პრაქტიკული მუშაობა

(დაუსწრებელი კურსების თითოეული მსმენელი ვალდებულია ზემომოყვანილი მასალის დამუშავების შემდეგ გადმოგვიგზავნოს სარეცენზიოდ პასუხი შემდეგ კითხვებზე).

1. რა კონკრეტული ამოცანები გქონდათ დასახული ბავშთა აღზრდის მიზნებთან დაკავშირებით ამ წლის საწარმოო გეგმაში (ამოწერეთ ის ადგილები, რომელიც ეხება ამ საკითხს).

2. შეადარეთ თქვენი ამოცანები აქ გარკვეულ ამოცანებს და გვაცნობეთ, თუ რა განსხვავებაა და რით არის გამოწვეული ეს განსხვავება.

3. გაარჩიეთ ამ დავალებაში მოყვანილი პრაქტიკული მუშაობის თითოეული ნიმუში და გვიპასუხეთ, თუ რა მიზნით ხელმძღვანელობდა მასწავლებელი მუშაობის ამა თუ იმ სახის ჩატარების დროს. (ექსკურსია, აკვარიუმის გარშემო მუშაობა, სარეგულაციო თემების ჩატარება და სხვა.)

4. მოიყვანეთ მსგავსი მაგალითები თქვენ მიერ ჩატარებული მუშაობიდან (პირველი ან მეორე ტრიმესტრი) და განმარტეთ, თუ რა მიზანს ისახავდით მუშაობის ჩატარების დროს და რა ჩვევები შეიმუშავეს ბავშებმა.

5. გაარკვიეთ ჩვენ მიერ ჩამოთვლილ აღზრდის მიზანთა შორის რას ისახავთ, როდესაც: ა. უკითხავთ ბავშვებს მხატვრულ ნაწარმოებს (გაარჩიეთ კონკრეტული მაგალითი), ბ. ავარჯიშებთ არითმეტიკულ ამოცანებზე, გ. მოთხოვთ ბავშვებს წაკითხული მოთხრობის შინაარსის გადმოცემას, დ. დაავალებთ ბავშვებს იმ ლექსების გადმოწერას, რომელნიც მათ მოეწონათ.